# ლელო

№010
(12 387)
15 იანვარი სამშაბათი 2008
გამოდის 1934 წლიდან
ფასი
50 თეთრი

ყაზბეგი
ეროვნული
ბიბლიოთეკა



# დღეს სოფიაში კალენდარზე იმსჯელებენ



ფიფია თურქეთში წაიყვანეს 2



ჩასემი დღეს იტყვის 3

თუ მხარეები ვერ შეთანხმდნენ, ოთხშაბათს ფიფა გადაწყვეტს...

2



სეთურიძე დაბრუნდა 5

# რა დროს გმირებია

## გუნდთან ერთად ვვარჯიშობ, მაგრამ მარჯვენა მუხლი ისევ მტკივა

ინტერვიუ შოთა არველაძესთან



4

გახსენი... ყაზბეგი

www.kazbegi.com

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge



გოგიტა გოგუა

ეროვნული ნაკრები

# კალენდარზე დღეს იმსჯელებენ

დღეს უნდა მიუჯდნენ მოლაპარაკების მაგიდას მსოფლიოს შესარჩევში ჩვენი ჯგუფის მონაწილე ნაკრებების წარმომადგენლები კალენდრის შესათანხმებლად. გუშინ მათი პირველი შეხვედრა შედგა "გრანდ ოტელ სოფიაში", ოღონდ არაოფიციალური, კალენდრის ვარიანტები გააცნეს ერთმანეთს. მერე კი ვახშამზე **ნოდარ ახალკაცის** სადღეგრძელოც შესვეს, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტს დაბადების დღე ჰქონდა.

**ტოპმიოლერის** ვარიანტის შესახებ გეცოდინებათ, "ლელოს" არაერთხელ დაუწერია ამის შესახებ, ჩვენები იტალიელბსაც კი შეუთანხმდნენ ამაზე, თუმცა სხვები მოიწონებენ თუ არა ტოპისეულ ვარიანტს, დღეს გაირკვევა.

თუ მხარეები ვერ შეთანხმდნენ, ოთხშაბათს ფიფა უკვე წილისყრით დაგვიდგენს კალენდარს.



კლაუს ტოპმიოლერი

ლეგიონერი

# რა მოიგო ჩერვიჩენკომ გოგუას გაყიდვით?

**გოგიტა გოგუა** ნალჩიკის "სპარტაკში" დაბრუნდა და სამ საკონტროლო შეხვედრაში ორი ბურთი გაიტანა. თავდაპირველად "სპარტაკმა" შეკრებაზე ზაპოროჟიეს "მეტალურგს" სძლია 3:1, შემდეგ კი ორჯერ კრივოი როგის "კრივბასს" დაუპირისპირდა და ორჯერვე სძლია - 3:0 და 2:0. გოგიტამ კრივოიროგელებთან პირველ შეხვედრაში კიდევ ერთხელ გაიტანა.

რუსები იუწყებიან, რომ 24 წლის ქართველი ნახევარმცველი ნალჩიკელებთან უახლოეს დღეებში კონტრაქტს გააფორმებს. ეს იქნება არა იჯარა, არამედ სრულფასოვანი კონტრაქტი.

გაზეთი აქამდე გავრცელებულ ინფორმაციას ადასტურებს, რომლის მიხედვითაც, **ანდრეი ჩერვიჩენკო** მზადაა გოგუა ნახევარ მილიონ ევროდ დათმოს.

*"გოგუამ საკონტროლო მატჩებში თავი კარგად წარმოაჩინა და ორი ბურთი გაიტანა. ნალჩიკელებმა, "ხიმკის" ყოფილ ვიცე-პრეზიდენტთან კონტრაქტის ყველა დეტალი შეათანხმეს და მალე ქართველ ნახევარმცველს "სპარტაკი" ოფიციალურად წარადგენს"*, - იუწყება გაზეთი.

ავმა ძაღლმა არც თვითონ ჭამა და არც სხვას აჭამაო, ანდრეი ჩერვიჩენკოს ასე მოუვიდა. რა თქმა უნდა, ეს არ უნდოდა, მაგრამ ფაქტია და ვერსად გავექცევით. როდესაც "ხიმკიში" გადაიყვანა და 200 ათასი დოლარი გადაიხადა, პირველად მან უწოდა გოგიტას ქართველი გატუზო და დაიქადნა, მალე ნახავთ, მისი ფასი 25 მილიონ დოლარამდე გაიზრდება და ევროპის წამყვანი კლუბები ტაციაობას დაიწყებენო.

25 მილიონის რა გითხრათ, ევროპის რამდენიმე კლუბი კი მართლა იყო დაინტერესებული. ყველაზე რეალური შარშან შოტლანდიის ვიცე-ჩემპიონ "ჰართსში" გადასვლა იყო. შოტლანდიური გაზეთის, "სკოტსმენის" ინფორმაციით, მისი მეპატრონე **ვლადიმერ რომანოვი** ერთ მილიონ გირვანქას იხდიდა, მაგრამ საბოლოოდ ტრანსფერი ჩაიშალა, გოგიტა რუსულ სივრცეს ვერა და ვერ მოწყდა და ევროპისთვის ჯერ კიდევ უცნობ მოთამაშედ რჩება. ეს კი მისი წინსვლისთვის მნიშვნელოვანი დეტალია.

ასე რომ, ჩერვიჩენკოს ბევრი არაფერი მოუგია - 200 ათასად ნაყიდ მოთამაშეში 500 ათას აილებს. მოდით, სიკეთეც არ დავუკარგოთ. ეტყობა, რუს ბიზნესმენს ფეხბურთელის წინსვლის შეჩერება არ სურს და იაფად უშვებს.

ნალჩიკელები "ზესტაფონის" თავდამსხმელ **ბექა გოცირიძესაც** ინვევდნენ, მაგრამ როგორც ჩანს, ეს ტრანსფერი ჩაიშალა. კომენტარი "ზესტაფონის" პრეს-ატაშე **სერგო ფუტკარაძეს** ვთხოვეთ: *"ნალჩიკელებს სერიოზული წინადადებით არც მოუმართავთ და ბექა ამჟამად ისევ ჩვენთან ვარჯიშობს."*

**მერაბ მამულაშვილი**

განსხვავებული ვერსიები

# ქართველი თურქეთში გაემგზავრა



გოგა ფიფია (მარცხნივ) დნეპრის დუბლებთანაა

დნეპროპეტროვსკის "დნეპრის" გენერალურმა დირექტორმა **ანდრეი სტოცენკომ** ახალწვეულებზე პირველი კომენტარი გააკეთა. ბუნებრივია, ის "ზესტაფონის" თავდამსხმელ გოგი ფიფიასაც შეეხო.

*"ჩვენ რამდენიმე ახალწვეული გვყავს და ერთ-ერთი მათგანი პერსპექტიული ქართველი თავდამსხმელი გოგი ფიფიაა. ის ჩვენ "ზესტაფონიდან" მოვიწვიეთ. ჯერ მას დნეპროპეტროვსკში ვტოვებთ. სანამ "დნეპრი" თურქეთში მოემზადება, ის დუბლშემადგენლობასთან ერთად ივარჯიშებს და რამდენიმე საკონტროლო შეხვედრას ჩაატარებს. თუკი დუბლშემადგენლობაში თავს გამოიჩენს, მაშინ სეზონისთვის მომზადებას ძირითად გუნდთან გააგრძელებს და არაა გამორიცხული, კონტრაქტიც გავუფორმოთ"*, - ბრძანა სტოცენკომ.

ძნელია სათქმელია, ამის შემდეგ რა შეიცვალა, მაგრამ ფაქტია, რომ გუშინ "დნეპრი" პირველ მოსამზადებელი ეტაპის ჩასატარებლად თურქეთის ქალაქ ბელექში 31-კაციანი შემადგენლობით გაემგზავრა და სიაში ქართველი თავდამსხმელის გვარიც ამოვიკითხეთ.

ბუნებრივია, ბელექში მოემზადება "დნეპრის' ერთ-ერთი ლიდერი **ჯაბა კანკავა**. რაც შეეხება **სანდრო კობახიძეს**, მის შესახებ დღემდე უკრაინული კლუბში არანაირი ოფიციალურ განცხადება არ გაკეთებულა.

"დნეპრის" ოფიციალური ვებ-გვერდის ინფორმაციით, გალასინჯი ფეხბურთელებიდან, თურქეთში მხოლოდ გოგი ფიფია და ბელარუსის ნაკრებისა და მოსკოვის "სპარტაკის" ყოფილი ნახევარმცველი **მაქსიმ რომაშჩენკო** მოემზადებიან.

**მერაბ მამუალშვილი**

# იმედაშვილი თანამეგობრობაზე ითამაშებს

გუშინდელ ნომერში ვიუწყებოდით, რომ კიევის '"დინამოს" მცველის **დათო იმედაშვილის** გადაყვანა უჟგოროდის "ზაკარპატიეს" სურს. ამ ორი გუნდის ხელმძღვანელობას ერთმანეთთან თბილი ურთიერთობები აკავშირებს და სწორედ ამის შედეგად მოხვდა შარშან ზაფხულში "ზაკარპატიეში' **კახა ალადაშვილი და ოთარ მარცვალაძე**.

კიეველები ახლაც მზად არიან იმედაშვილი მეგობარ კლუბს დაუთმონ, მაგრამ გუშინ გავცელებული ინფორმაცია ბევრს დააბნევდა. კიევის "დინამო" "თანამეგობრობის თასზე" მეორე შემადგენლობით გაემგზავრება და სიაში ორი ქართველი ეწერა კიევის 'დინამოს" აკადემიის გაზრდილი **თემურ ფარცვანია** და დათო იმედაშვილი.

კიეველები ტაშკენტის "პახტაკორს" (19 იანვარს), ბორისოვის "ბატეს" (20) და ერევნის "ბანანცს" (22)შეხვდებიან.

გეტყვით თავიდანვე, რომ კიეველთა და უჟგოროდელთა წინასწარი მოლაპარაკება ძალაშია. ოღონდ, არსებობს ერთი მნიშვნელოვანი მომენტი: კიეველებს სურთ ყველა იმ მოთამაშის გაყიდვა, რომლებმაც ძირითად შემადგენლოაბაში ადგილი ვერ დაიმკვიდრეს. ასეთია დათო იმედაშვილი და "დინამოს" მეპატრონეები პეტერბურგის ტურნირს გამოფენა-გაყიდვის რანგში განიხილავენ. თუკი რომელიმე ფეხბურთელი რუსული ან სხვა ქვეყნის კლუბების სელექციონერებს მოეწონება, რა თქმა უნდა, მათი ბითუმად გაყიდვა და ამ ფულის სოლიდურ ტრანსფერებში დახარჯვა სურთ. ეს კლუბის ამ;ამინდელი სატრანსფერო პოლიტიკის შემადგენელი ნაწილია, რაც კიეველთა პრეზიდენტმა **იგორ სურკისმა** ერთი თვის წინათ განაცხადა.

**მერაბ მამულაშვილი**



დავით იმედაშვილი

გახსენი... ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.kazbegi.com

www.pfl.ge



ალექსანდრე იაშვილი



სანდრო იაშვილი

ლეგიონერები

# იაშვილების პირველი ტესტი

თურქულ შეკრებაზე მყოფმა "კარლსრუემ" ამ წლის პირველი შეხვედრა ჩაატარა. **ალექსანდრე იაშვილის** გუნდი ტესტ-მატჩში მეორებუნდესლიგურ "ვეენს" დაუპირისპირდა. თამაში "კარლსრუეს" კარნახით წარიმართა და მისივე გამარჯვებით, 3:1 დასრულდა. გუნდის მთავარმა მწვრთნელმა **ედმუნდ ბეკერმა** 22 ფეხბურთელი გამოსცადა, პირველი ტაიმის შემდეგ მან ძირითადში გამწესებული თერთმეტივე ფეხბურთელი შეცვალა. იაშვილმა მოედანზე მეორე 45 წუთი გაატარა, მისი მოედანზე შესვლისას "კარლსრუე" წინ ანგარიშით 2:1 იყო.

ზუსტად იგივე დროს შევიდა და იგივე პერიოდი გაატარა მინდორზე **სანდრო იაშვილმაც**. მისი "თუნი" ამხანაგურად ჩვენთვის კარგად ნაცნობ "ვადუცს" დაუპირისპირდა და 0:1 დამარცხდა. ლიხტენშტაინელებმა გამარჯვების გოლი 87-ე წუთზე გაიტანეს. ეს შვეიცარიული კლუბის პირველი თამაში იყო 2008 წელს, 16 იანვარს "თუნი" ასევე ამხანაგურად "დელემონს" შეხვდება.

ლევან ჯანეზაშვილი

დილა

# ჯერ არაფერი გარკვეულა

"დილა" რამდენიმე დღის წინათ შეიკრიბა, მაგრამ გორული კლუბის ბანაკიდან სიახლეები ჯერჯერობით არ ისმის. იანვრის პირველი რიცხვებიდან **ზურაბ ხორგუაშვილი** შეგირდებს გორში ამზადებს და სავარაუდო ახალწვეულებს აკვირდება. ჯერჯერობით, "დილას" არავინ დაუმატებია, არც გუნდიდან წასული ფეხბურთელების ვინაობა დასახელებულა.

ყველაფერი დაახლოებით ერთ კვირაში უნდა გაირკვეს. ამ დროისთვის გორელები ალბათ თბილისშიც გადმოინაცვლებენ და საკონტროლო მატჩებსაც ჩაატარებენ. აქამდე ხორგუაშვილის გუნდს ძალები არავისთან მოუსინჯავს, მისი ფეხბურთელები მხოლოდ ორმხრივად თამაშობდნენ. "დილას" მესვეურები იმედოვნებენ, რომ მათი გუნდი უმაღლეს ლიგაში დასარჩენად რეალურად იბრძოლებს. ვნახოთ, სამეორეწრეო გუნდის კონტურები მალე უნდა გამოიკვეთოს.

ლევან ჯანეზაშვილი

# ჩასემის პასუხი: დღეს, დილის 11-ზე!

წესით და რიგით, **ერიკ რომეო ჩასემის** გაჯანჯლებული ამბავი დღეს უნდა დასრულდეს. კამერუნელმა ფორვარდმა დილის 11 საათზე უნდა თქვას, თანახმაა თუ არა "ზესტაფონში" გადასვლაზე. შეგახსენებთ, მოლაპარაკებები უკვე კარგა ხანია, რაც მიმდინარეობს, "ზესტაფონი" და "სიონი" ფეხბურთელის ფასზე შეთანხმებულები არიან, თუმცა თავად ჩასემი ყოყმანობს, მას შეთავაზებულზე უკეთესი პირობები სურს.

გუშინ მას ფეროელთა პრეზიდენტი **ილია კოკაია** პირისპირ ესაუბრა და ვნახოთ, ეს შეხვედრა როგორ შედეგს გამოიღებს. ბუნებრივია, თუ ჩასემმა "ზესტაფონში" გადასვლა არ ისურვა, მყისვე "სიონს" დაუბრუნდება, სადაც ან სეზონის ბოლომდე დარჩება და ბოლნისური კონტრაქტის დასრულებას დაელოდება, ანაც ახლავე შეეცდება სხვაგან მოწყობას. გამორიცხული არაა, აფრიკელმა კარიერა აზერბაიჯანში გააგრძელოს. "სიონის" ხელმძღვანელობის სურვილი მისი დროულად გაყიდვაა.

შეგახსენებთ, ჩასემი "ზესტაფონთან" ერთად იყო ბაკურიანულ შეკრებაზე, რომელიც 11 იანვარს დასრულდა. დღეს იმერული კლუბის წევრები ვარჯიშს თბილისში განაახლებენ, 23 იანვარს კი "ზესტაფონი" ანთალიაში გაემგზავრება. ჩასემთან ერთად თუ მის გარეშე, ეს დღეს გაირკვევა...

ლევან ჯანეზაშვილი



ჩასემის ამბავი დღეს გადაწყდება

სპარტაკი

# ანთალია და ალტერნატივა

## ყორყიკაშვილს სავარაუდო მეტოქეებიც შეგულებული ჰყავს

სეზონის მეორე ნახევრისთვის მზადებას ცხინვალის "სპარტაკიც" განაგრძობს. **კობა ყორყიკაშვილი** გუნდს თბილისში ამზადებს. უამინდობის მიუხედავად, გუნდის თავკაცი საწვრთნელი პროცესის მიმდინარეობით უკმაყოფილო არაა. "სპარტაკი" ჯერ ფიზიკურად ემზადება, მალე კი საკონტროლო მატჩებზეც გადავა.

ყორყიკაშვილს სავარაუდო სპარინგ-პარტნიორები უკვე შეგულებული ჰყავს. საქართველოს უმაღლესი და პირველი ლიგის ბინადრებთან ერთად, "სპარტაკი" შესაძლოა, აზერბაიჯანულ "სიმურგსაც" შეხვდეს. ეს გუნდი რამდენიმე დღეში თბილისში ჩამოვა და მოსამზადებელი ეტაპის ნაწილს აქ გაივლის. შეგახსენებთ, "სიმურგი" ჩვენს დედაქალაქს შარშანაც ეწვია.

"სპარტაკი" უკვე დატოვა რამდენიმე ფეხბურთელმა. ესენი არიან **პარამონოვი, გოგოლაძე, ცქვიტაია, კეტაშვილი** და **ქემოკლიძე**. შესაძლოა, წასულთა რიცხვი კიდევ უფრო გაიზარდოს. ჯერჯერობით, ცხინვალურ კლუბს ოფიციალური ახალწვეულები არ ჰყავს, თუმცა ყორყიკაშვილი და მისი ასისტენტები ახალ ფეხბურთელებს აკვირდებიან და ალბათ, რამდენიმე მათგანი მალე "სპარტაკთან" კონტრაქტს გააფორმებს.

კლუბის ფინანსური მდგომარეობა უცხოური შეკრების მოწყობის საშუალებასაც იძლევა. კერძოდ, საუბარია ანთალიაში გამგზავრებაზე. თუმცა ეს საკითხი ჯერ ღიადაა. "სპარტაკის" ხელმძღვანელები და მწვრთნელები ითათბირებენ და შესაძლოა, საანთალიოდ გამოყოფილი თანხები სხვა მიმართულებით დაიხარჯოს. არაა გამორიცხული, ანთალიაში გამგზავრების ნაცვლად, "სპარტაკმა" უფრო ძლიერი მოთამაშეები გადაიბიროს და გუნდის წევრებს უფრო ხელსაყრელი ფინანსური პირობები შეუქმნას. ყორყიკაშვილი დარწმუნებულია, რომ უმაღლეს ლიგაში ადგილის შენარჩუნება საქართველოს ფარგლებში მომზადებითაც სავსებით რეალურია.

ლევან ჯანეზაშვილი

GEO FM 95.1

ავტორადიო თბილისი

გახსენი...
ყაზბეგი
www.kazbegi.com
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.pfl.ge

ინტერვიუ შოთა არველაძესთან

# რა დროს გმირებია



**ვფიქრობთ, საქართველოს ეროვნული ნაკრების მთავარ მეგოლესთან ამჯერად სპეციფიკური ინტერვიუ გამოგვივიდა. შოთა არველაძეს აქეთურ-იქითურის გარდა, პოლიტიკაზეც ვესაუბრეთ. მაშ ასე, "ლელოს" კითხვებს არველაძე პასუხობს.**

**- პირველ რიგში, ჯანმრთელობაზე უნდა გკითხო - ჯერაც ვერ გვეტყვი დაახლოებით როდისთვის უნდა ველოდოთ შენს დებიუტს პრიმერა დივიზიონში?**

- სამწუხაროდ, კონკრეტულს ამჯერადაც ვერაფერს გეტყვით. გუნდთან ერთად ვვარჯიშობ, მაგრამ მარჯვენა მუხლი ისევ მტკივა.

**- ნაკრებში ბოლო, გამოსათხოვარი მატჩის თამაშს აპირებ. ეს თებერვალში ლატვიასთან ვერ მოხერხდება?**

- არა, ეს გამორიცხულია.

**- ჩვენი ეროვნული გუნდის პერსპექტივას როგორ უყურებ დამდეგ შესარჩევში?**

- იმედი მაქვს, უკეთესობა იქნება.

**- რა არის ამ იმედის საფუძველი?**

- ქართული გენი და ნიჭი.

**- ქართული გენი და ნიჭი ეროვნულ ნაკრებში ადრეც იყო, მაგრამ შედეგი არ გვქონდა. ახლა ამას რომ ამბობ, ლევან ყენიას და ლევან მჭედლიძეს გულისხმობ?**

- არა მარტო. მთელ გუნდს.

**- ეს ძალიან ზოგადი პასუხია. მწვრთნელის როლზე რას იტყოდი?**

- რა თქმა უნდა, მწვრთნელის ფაქტორს დიდი მნიშვნელობა აქვს. მიმაჩნია, რომ ტოპმიოლერი ახლა უკეთესად იცნობს ჩვენს ნაკრებს და მას, ალბათ, უკეთესადაც განვრთნის.

**- ფეხბურთელობის შემდეგ მწვრთნელობას აპირებ და კლაუს ტოპმიოლერისგან რაიმე დაიკონსპექტე?**

- რალაც-რალაცეები მართლა ჩავინიშნე. ისე კი ძნელია, 3-4-დღიან სანაკრებო შეკრებებზე რაიმე განსაკუთრებული აღმოაჩინო.

**- ისე გამოგდის, თითქოს, ნაკრების მწვრთნელი უფრო ფსიქოლოგი უნდა იყოს, ვიდრე ტაქტიკოსი...**

- არა, ნაკრების მწვრთნელისთვის ეს ორივე ფაქტორი ძალიან მნიშვნელოვანია.

**- მაშინ რატომ ვერ დააკონსპექტე ბევრი მასალა?**

- მთლად ასეც არ არის. რალაც-რალაცეები მართლა დავაკონსპექტე.

**- თუ საიდუმლო არ არის, ყველაზე მეტად რას მიაქციე ყურადღება?**

- პატარ-პატარა ნიუანსებს. თამაშის წინ ცალკეულ ფეხბურთელებთან დიალოგებს. და კიდევ სხვა რამეს...

**- სხვა თემაზე გადავერთოთ. ახლა ბევრი ქართველი სპორტსმენი ლიად გამოხატავს თავის პოლიტიკურ სიმპათიებს. საინტერესოა, შოთა არველაძის აზრიც...**

- მე ყოველთვის მქონდა ჩემი პოზიცია და რა თქმა უნდა, ახლაც მაქვს.

**- იქნებ, დაგვიკონკრეტო...**

- მე სიმშვიდის და განვითარების მომხრე ვარ. მინდა, რომ გემრიელ ქვეყანაში ვიცხოვრო, რომელსაც გმირები არ ეყოლება და, თუ ეყოლება, მხოლოდ სპორტში.

**- საქართველოში გმირს თითქმის ყველა პოლიტიკოსი ეძებს საკუთარ თავში და საკუთარ გუნდში - ამაში ცუდს რას ხედავ?**

- იმას, რომ ქვეყანას, რომელსაც გმირები სჭირდება, საქმე კარგად ვერ აქვს.

**- ალბათ, საკამათო საკითხია. თავის დროზე ამერიკას ჰყავდა გმირი პოლიტიკოსები, რომლებმაც ქვეყნისთვის ძალიან ბევრი გააკეთეს...**

- გმირები იმას სჭირდება, ვისაც უჭირს, მე კი არ მინდა, რომ ჩემს ქვეყანას უჭირდეს. სალი აზრი უნდა არსებობს, ხოლო, როცა ქვეყანა ყირაზე დადგება, გმირი მერე გახდება საჭირო სიტუაციის გამოსასწორებლად. არ მინდა, ჩემი სამშობლოს ბედი ვილაცის გმირობაზე იყოს დამოკიდებული. ერის მამა და ლიდერი - ასეთი იყო ილია ჭავჭავაძე, ახლა კი ილია II მიმაჩნია ასეთად, მაგრამ მე მათ გმირებად არ ვთვლი.

დავით თავართქილაძე

# გრძელდება ქართველ ფეხბურთელთა მომზადება არგენტინაში

## დიდი ტრამპლინი საქართველოს ნაკრები გუნდებისა და ევროპის კლუბებისკენ



ედუარდო დელგადო და მისი სამწვრთნელო შტაბი აგრძელებს ქართველ ფეხბურთელთა მომზადებას არგენტინაში. ედუარდო დელგადო იწვევს და მაღალ დონეზე მოამზადებს 17-18 წლის პერსპექტიულ 2 მეკარეს, 5 მცველს და 4 ნახევარმცველსა და 4 თავდამსხმელს არგენტინაში. მომზადების პროცესში ისინი ითამაშებენ ამხანაგურ თამაშებს არგენტინულ კლუბებში. ამას გარდა, არგენტინაში სტაჟირებაზე მყოფ ფეხბურთელთა ნაკრებს, კვირაში ერთხელ ექნებათ ამხანაგური შეხვედრები არგენტინის კლუბებიდან. სტაჟირების ვადა 6 თვიდან ერთ წლამდეა. სტაჟირების სრული კურსის დაძლევის შემდეგ ფეხბურთელები დელგადოს მიერ წარდგენილნი იქნებიან არგენტინის კლუბებში, სადაც ითამაშებენ ოფიციალურ თამაშებს. სტაჟირების პროცესი ფასიანია. ასევე, ავიაბილეთების, ადგილზე ცხოვრების, კვების, არგენტინის ვიზისა და შიდა ტრანსპორტით გადაადგილების ხარჯები გაღებულ უნდა იქნას მსურველთა ან მათ სპონსორთა მიერ. დელგადოს მიერ მომზადებულ ფეხბურთელებს, რომლებიც ითამაშებენ ოფიციალურ თამაშებს არგენტინულ კლუბებში, შეეძლებათ ითამაშონ და გააფორმონ კონტრაქტი ევროპის კლუბებთანაც, მაღალი ფინანსური პირობებით.

დაწვრილებითი ცნობებისთვის მსურველები უნდა გამოცხადდნენ მისამართზე: თბილისი, ლეონიძის ქ. 4 (თავისუფლების მოედანი, ეროვნული ბანკის მოპირდაპირედ). მსურველთა მიღებას აწარმოებს არგენტინის წარმომადგენელი საქართველოში, მიმდინარე წლის 8 იანვრიდან 25 იანვრამდე, ყოველდღე 13 საათიდან 15 საათამდე, კვირის გარდა.

ფეხბურთელები არგენტინის ვიზას მიიღებენ 28 იანვრიდან და მათ ვარჯიშები არგენტინაში დაეწყებათ 1თებერვლიდან.

საკონტაქტო ტელეფონი: 899 23-55-20

ლეგიონერი

# სირაძის საგოლე პასი დორტმუნდთან

როგორც ჩანს, **დავით სირაძე** ძალიან სწრაფად შედის ოპტიმალურ ფორმაში. გამოჯანმრთელების შემდეგ პირველი მატჩი მან სამი დღის წინათ ჩაატარა, გუშინ კი მარბელაში უკვე "დორტმუნდის" წინააღმდეგ ითამაშა.

კლასით უფრო ძლიერმა დორტმუნდელებმა დამაჯერებლად, 3:1 გაიმარჯვეს, თუმცა სანამ შეხვედრის დასკვნითი ნაწილი დადგებოდა, "პადერბორნი" მეტოქეს მედგრად ებრძოდა. პირველი ტაიმი ფრედ, 1:1 დასრულდა, ზედ შესვენების წინ პადერბორნელმა **სორენ გონტერმა** ანგარიში სირაძის პასით გაათანაბრა.

ქართველი ფორვარდი მოედანზე მეორე ტაიმის დაწყებისთანავე შევიდა და ძირითადად, უკანა თავდამსხმელად ირჯებოდა.

ლევან ჯანეზაშვილი



www.kazbegi.com

გახსენი... ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge



ინტერვიუ ზვიად ჩხეტიანთან

# ყაზახეთში გვითხრეს, ქართველები არ გვჭირდებაო...

## ლოკომოტივში გადავდივარ

ქუთაისის „ტორპედოს" ყოფილი ნახევარმცველი ზვიად ჩხეტიანი თავის ახალ კლუბს ახალციხის „მესხეთს" კარგად შეეწყო და გუნდის ერთ-ერთ ლიდერად ჩამოყალიბდა, თუმცა მისი ახალციხური კარიერა ჩემპიონატის პირველ წრესთან ერთად დასრულდა. ზვიადს „მესხეთთან" კონტრაქტი დაუსრულდა და კლუბის გამოცვლა გადაწყვიტა. თავდაპირველად მან ყაზახეთს მიაშურა და იქაურ უმაღლესი ლიგის კლუბებში სცადა ბედი, თუმცა უცხოური ვარიანტი არ გამოუვიდა, საქართველოში დაბრუნდა და თავისი ბედი თბილისის „ლოკომოტივს" დაუკავშირა. ზვიად ჩხეტიანს, გუშინ ქუთაისში შევხვდით და გავესაუბრეთ. იგი მისი ძმის, კახა ჩხეტიანის შესახებაც გვესაუბრა და საინტერესო ამბავი გაგვიმხილა, თუმცა ამაზე ქვემოთ...

**- „მესხეთმა" დებიუტანტის კვალობაზე პირველ წრეში საკმაოდ კაგად იასპარეზა, შენ კი გუნდის ერთ-ერთი ლიდერი იყავი, ასეთ ვითარებაში გუნდიდან რატომ წამოხვედი?**

- გუნდით უკმაყოფილო ნამდვილად არ ვყოფილვარ, პირიქით, „მესხეთი" მართლაც პერსპექტიული გუნდია. ჰყავს ძალიან კარგი პრეზიდენტი და მთავარი მწვრთნელი. ახალციხეში ბევრი მეგობარი დავტოვე და ამ გუნდს ყოველთვის დიდი წარმატებებს ვუსურვებ. იქ თავს საკმაოდ კარგად ვგრძნობდი, მაგრამ „ლოკომოტივში" გადასვლა იმად ვამჯობინე, რომ თბილისურ გუნდს სამომავლოდ დიდი ამბიციები ექნება და ყოველთვის ასეთ კლუბში თამაშზე ვფიქრობდი. ახალციხიდან მე და კაიდარაშვილი გადავედით „ლოკომოტივში".

**- კი მაგრამ, პირველი წრის შემდეგ „ლოკომოტივს" არც თუ სახარბიელო სატურნირო მდგომარება აქვს და ასეთ გუნდში გადასვლა სარისკო არ არის?**

- წლეულს უმაღლეს ლიგაში დარჩენისთვის მოგვიწევს ბრძოლა, მაგრამ როგორც მითხრეს გუნდი გაძლიერდება და გაისად უკვე ჩემპიონობისთვის ვიბრძოლებთ. პირველ წრეში „ლოკომოტივს" ჩავარდნა ჰქონდა, შევეცდებით, რომ ეს ჩამორჩენა აღმოვფხრათ და საშიშ ზონას თავი დავაღწიოთ. მომავალი წლიდან კი სხვა მიზნებისთვის ვიბრძოლებთ.

**- „ლოკომოტივთან" რამდენწლიანი კონტრაქტი გააფორმე?**

- გუნდს ხვალ შევუერთდები და კონტრაქტსაც ხვალ გავაფორმებ. შეთანხმებულები ვართ, რომ „ლოკომოტივში" 2010 წლამდე ვითამაშებ.

**- ალბათ, გიორგი კიკნაძისა და ზაზა ზამთარაძის ფაქტორმაც გადაგაწყვეტინა „ლოკომოტიში" გადასვლა. მათი ხელმძღვანელობით ხომ ქუთაისის „ტორპედოში" თამაშობდი.**

- კმაყოფილი ვარ, რომ ისევ მომიწევს მათან მუშაობა. „ტორპედოდან" მოყოლებული კიკნაძესთან და ზამთარაძესთან კარგი ურთიერთობა მქონდა და ამ ურთიერთობებს ახლა უფრო გავაღრმავებთ.

**- როგორც ვიცი „ლოკომოტივამდე" ყაზახეთში იმყოფებოდი და იქაურ კლუბში აპირებდი ჩარიცხვას...**

- რამდენიმე დღის წინათ მე და ალეკო ლალაძე ვიყავით ყაზახეთში. თავდაპირველად უმაღლეს ლიგაში ახლად გადასულ „ყაზახმუსში" ვიყავით სინჯებზე, მაგრამ იქიდან უარით გამოგვისტუმრეს. კაი ბიჭები ხართ, მაგრამ კონტრაქტს ვერ გაგიფორმებთო. არადა, გულწრფელად გეუბნებით ვარჯიშებზე სხვაზე უკეთ თუ არა, ნაკლებად არ ვირჯებოდით. ამის შემდეგ რევაზ ძოძუაშვილს შევეხმიანეთ, ყარაღანდის „შახტიორში" გვინდოდა სინჯების გავლა, მაგრამ კატეგორიული უარი მივიღეთ - გუნდის ხელმძღვანელობას ძოძუაშვილისთვის უთქვამს ქართველის გარდა ვინც გინდა ის ჩამოიყვანეო, თუნდაც 10 რუსიო... ჩვენც რაღა დაგვრჩენოდა საქართველოში დავბრუნდით. თუმცა ახლა ნამდვილად არ ვდარდობ, ყაზახეთში რომ არ დავრჩი. ყველას იმედი ვაქვს, რომ „ლოკომოტივი" ძლიერ და სტაბილურ გუნდად ჩამოყალიბდება და აქ თამაში ყველასთვის სასურველი იქნება.

**- ისე ცოტა ხომ არ იჩქარე, როგორც ამბობენ მალე ქუთაისის „ტორპედოს" ახალი სპონსორი ეყოლება და გუნდი ძველ ამბიციებს დაიბრუნებსო... ქუთაისელი კაცი ხარ და „ტორპედოში" თამაში არ გიჯობს?**

- უკვე ოთხი წელია გაიძახიან, რომ „ტორპედოს" სპონსორი მალე ეყოლებაო. ხან ივანიშვილი მოიყვანეს, ხან რომანოვი, ხან პატარკაციშვილი... თუმცა ვიცით, რომ რეალრად საქმე წინ არ დაძრულა. როდემდე უნდა მეცადა? ღმერთმა ქნას „ტორპედოში" მართლაც ყველაფერი კარგად იყოს. ქუთაისური გუნდის აღორძინება ვის არ გაუხარდება? მინდა დათო ჯანაშიას წარმატებები ვუსურვო, თუ ფინანსები ექნება დარწმუნებული ვარ კარგ გუნდს დააყენებს.

**- შენი ძმის, კახა ჩხეტიანის გეგმებზე რას გვეტყვი?**

- კახას „ზესტაფონთან" კონრაქტი დაუსრულდა და სავარაუდოდ საზღვარგარეთ გააგრძელებს კარიერას. რომელ გუნდში, სად და როგორ, ამის შესახებ ჯერჯერობით არაფერი ვიცი.

**დავით კოხრეიძე**
ქუთაისიდან

ლეგიონერი

# ვასილ გიგიაძემ ნეფტიანიკი დატოვა

ახტირკის "ნეფტიანიკი" პირველ მოსამზადებელ ეტაპს თურქეთში ატარებს. მთავარმა მწვრთნელი "დნეპრიდან" იჯარით წამოყვანილი თავდამსხმელის, **კონსტანტინე ბალაბანოვი** იმედადაა. ქართველი თავდამსხმელი **ვასილ გიგიაძე** კი შეკრებაზე არ წასულა. აშკარაა, ის ახალ კლუბს ეძებს და ყველასათვის ცნობილია, რომ ეს კლუბი ლუგანსკის "ზარიაა" - იუწყება უკრაინული "სპორტ-ექსპრესი".

უკრაინული ინტერნეტ-გაზეთი "უაფუტბოლი" კი წერს: "გუნდმა პირველი წრე საზიზღრად ჩაატარა. ვარსკვლავახალწვეულ ვასილ გიგიაძეზე დადებულმა ფსონმა აბსოლუტურად არ გაამართლა. ქართველმა პირველ წრეში ერთი ბურთიც ვერ გაიტანა, არადა, მასზე დიდი იმედებს ამყარებდნენ. ამის გამო, გიგიაძეს ჯერ კაპიტნის სამკლაური ჩამოართვეს, შემდეგ ადგილი ძირითადში და ბოლოს სულაც დაემშვიდობნენ."

რეალურ მიზეზებზე უკრაინელები არაფერს იუწყებიან. გაჭირვებულს ქვა აღმართში დაეწიაო, გიგიაძეს ასე შეემთხვა: მას "ნეფტიანიკში" მთავარ მწვრთნელად **ვალერი გოროდოვი** დაუნიშნეს. გოროდოვი კი "კრივბასში" **ოლეგ ტარანის** ასისტენტი გახლდათ და ვასიკომ გუნდი სწორედ მათთან კონფლიქტის გამო დატოვა.

ახლა მას **ალექსანდრ კოსევიჩი** ელის "ზარიაში". რაკი "ნეფტიანიკს" პირველ შეკრებაზე არ გაჰყვა, აშკარაა, ფაქტობრივად, ქართველმა ფორვარდმა გუნდი მიატოვა.

**მერაბ მამულაშვილი**

# სეთურიძე დაბრუნდა

## კანდელაკმა ითამაშა



გიორგი სეთურიძე

მძიმე ტრავმით გამოწვეული ნახევარწლიანი პაუზის შემდეგ, **გიორგი სეთურიძე** მოედანს დაუბრუნდა. გუშინ მან "კარლ ცაისისა" და "კოტბუსის" ამხანაგურ მატჩში მიიღო მონაწილეობა. იენელებმა შეხვედრა 2:1 მოიგეს, სეთურიძე კი ბრძოლაში მეორე ტაიმიდან ჩაერთო და ჩვეულ პოზიციაზე, მარჯვენა ნახევარმცველად ითამაშა. "კარლ ცაისმა" გამარჯვების გოლი 65-ე წუთზე გაიტანა, თამაშის პირველი ნახევარი 1:1 დასრულდა.

**ილია კანდელაკმაც** მეორე 45 წუთი დაჰყო მოედანზე. იგი მარჯვენა მცველის პოზიციაზე გაამწესეს. რაც შეეხება კიდევ ერთ კარლცაისელს, **გიორგი ონიანს**, მატჩი მან მსუბუქი ტრავმის გამო გამოტოვა.

გუნდის მთავარი მწვრთნელი ჰენინგ ბიურგერი შეგირდთა მზადყოფნით კმაყოფილია და მეორე ბუნდესლიგაში დარჩენა სავსებით რეალურად მიაჩნია. შეგახსენებთ, რომ "კარლ ცაისი" სეზონის მეორე ნახევრისთვის ანთალიაში ემზადება. აქვე იმასაც გეტყვით, რომ **გიორგი ლომაიას** იენაში დაბრუნება ფაქტობრივად, გამოირიცხა, რადგანაც "კარლ ცაისმა" ბელარუსის ეროვნული ნაკრების მეკარე, **ვასილი ხომუტოვსკი** დაიმატა.

**ლევან ჯანეზაშვილი**

CDN კავკასიის ციფრული ქსელი
CAUCASUS DIGITAL NETWORK
გთავაზობთ სატელეკომუნიკაციო მომსახურების სრულ პაკეტს:
CDN DSL ყველაზე სტაბილური ინტერნეტი;
CDN 55 ტელეფონის დადგმა;
CDN 8-66 კავშირი ყველგან და ყოველთვის;
GIGACARD ისაუბრე მეტი, გადაიხადე ნაკლები;
CDN ქსელების მონტაჟი და მომსახურება;
24 საათის განმავლობაში
უწყვეტი მომსახურება
ტექნიკური მხარდაჭერა
გარანტირებული ხარისხი
გადახდა სახლიდან გაუსვლელად
სატელეფონო საუბრების წამობრივი აღრიცხვა!
მხოლოდ ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტექნოლოგიები!
დარეკეთ, შეუკვეთეთ, ჩაერთეთ!
ირ. აბაშიძის 14
ტელ.: 550 055, 259 555
cdn@cdn.ge, www.cdn.ge



ეროვნული ბიბლიოთეკა

მილანი

# ბერლუსკონი: ძამბროტა კი, მაგრამ რონალდინიო არა

## პატო უკეთესს ვერც ინატრებდა. ბრაზილიელი ვუნდერკინდის სუპერდებიუტის შემდეგ, ანჩელოტი სქემის შეცვლას არ აპირებს



გადავა ჯანლუკა ძამბროტა მილანში?

კვირას, "მილანმა" სერია A-ს მიმდინარე გათამაშებაში პირველი საშინაო გამარჯვება მოიპოვა. მედია აღფრთოვანებას ვერ მალავს: "როსონერის" ასეთი თამაში დიდი ხანია არ გვინახავსო. **კარლო ანჩელოტიმ** გუნდი დუბაიში მოამზადა, თუმცა ძნელად დასაჯერებელია, რომ "მილანის" სანაქებო თამაში და საბრძოლო კონდიციები მხოლოდ ამ ერთკვირიანი მზადების შედეგია. ვფიქრობთ, ნაყოფი მოიტანა ახალმა ტაქტიკურმა სქემამ, რომელიც კარლეტომ "ნაპოლის" წინააღმდეგ გამოსცადა. მხედველობაში გვაქვს მოდელი, ორი ფორვარდითა და მათ სიახლოვეს მოქმედი წინწაწეული შემტევი ნახევარმცველის სახით: **კაკა-რონალდო-პატო.** "მილანის" ბრაზილიურმა ტრიომ ნეაპოლური დაცვისგან, როგორც იტყვიან, ქვა ქვაზე არ დატოვა. მაგრამ აქ ერთი დეტალიცაა გასათვალისწინებელი: ახალი სქემის დანერგვა ანჩელოტის აიძულებს, ერთი ნახევარმცველი განიროს. კვირას ეს იოლი გასაკეთებელი იყო, რადგან **გატუზო** დისკვალიფიკაციის გამო ტოვებდა თამაშს. ნაკლებადაა მოსალოდნელი, რომ "რინო" ძირითადიდან ამოაგდონ. და **პირლო? ზეედორფი?** მაშ ვინ? ალბათ, **ამბროზინი.** თუმცა ანჩელოტის ხასიათი კარგად ვიცით და ვნახოთ, რამდენად სიცოცხლისუნარიანი იქნება ან უკვე აპრობირებული ახალი მოდელი. მოდით, აქვე "მილანის" მწვრთნელის კომენტარს შემოგთავაზებთ:

*"რა თქმა უნდა, სასტარტო შემადგენლობის შერჩევისას გარკვეულწილად გავრისკეთ. თუმცა გუნდმა თავი საუკეთესო კუთხით წარმოაჩინა და უალრესად მნიშვნელოვან გამარჯვებას მიაღწია. განსაკუთრებით რონალდო უნდა გამოვყო. მისი და პატოს ტანდემმა პირველად ითამაშა. ორივემ დაამტკიცა, რომ სასურველი შედეგის უზრუნველყოფა შეუძლიათ. ასე რომ, ამ მოდელზე არც მომავალში ვიტყვით უარს. რაც შეეხება კონკრეტულად პატოს, მას შესანიშნავი პასები და დარტყმა აქვს, კარგად ხედავს მოედანს... ყველაფერი ეს მან ჯერ კიდევ ვარჯიშებზე აჩვენა. ახლა, ჩვენ ყველამ ერთად უნდა ვიზრუნოთ იმაზე, რომ პატო სრულყოფილ ფეხბურთელად ჩამოყალიბდეს".*

ახლა უფრო კონკრეტულად **პატოზე.** ის ფაქტი, რომ 18 წლის ფეხბურთელი სადებიუტო მატჩშივე სასტარტოში მოხვდა, თავისთავად ბევრ რამეზე მეტყველებს. დიდი აჟიოტაჟი უძღვოდა თავად მის ტრანსფერსაც, რაზეც ექსპერტები აფრთხილებდნენ "მილანის" მესვეურებს, რომ თინეიჯერი ფეხბურთელისთვის ამას შეიძლება დათვური სამსახური გაეწია. თითქოს, განსაკუთრებული ატმოსფერო სუფევდა უშუალოდ "ნაპოლისთან" მატჩამდეც. რამდენიმე დღით ადრე იყო ანონსირებული, რომ "სან სიროზე" პატოს დებიუტი შედგებოდა. თუ გავითვალისწინებთ, რომ "მილანს" საქმე ჰქონდა საშუალო რანგის მეტოქესთან, უნდა ვივარაუდოთ, რომ ტრიბუნებზე შეკრებილი 70 000 ათასი მაყურებლიდან, დაახლოებით 20 ათასმა პატოს სანახავად შეიწუხა თავი, შეიწუხა და არც შემცდარა. გასაოცარია, რომ ყმაწვილმა მოთამაშემ ამ აჟიოტაჟს გაუძლო, შესანიშნავადაც ითამაშა და ბოლოს პირობაც შეასრულა: სადებიუტო მატჩი გოლით აღნიშნა.

ფაქტს კვირასვე ჰქონდა გამოხმაურება. "სქაი სპორტ იტალიასთან" ინტერვიუში, **რონალდომ**, რომელიც პატოს კერპიც გახლავთ, ახალი თანაგუნდელი ცამდე აიყვანა: *"ექსპერტი ან ჟურნალისტი რომ ვიყო, ასეთი თამაშისთვის პატოს ათბალიანი სისტემით 10 ბალს დავუწერდი. 18 წლის ფეხბურთელისთვის მსგავს ატმოსფეროში, და თან ასეთი მომთხოვნი პუბლიკის წინაშე თამაში, ძალიან დიდი წნეხი უნდა ყოფილიყო. შესაძლოა, პატო იყო კიდეც ამ წნეხის ქვეშ, მაგრამ მისდა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ გაუძლო ფსიქოლოგიურ ზეწოლას და სუპერდებიუტიც გამოუვიდა".*

მიუხედავად მარცხით გამოწვეული იმედგაცრუებისა, პატოს შეფასებისთვის "ნაპოლის" მწვრთნელმა **ედოარდო რეიამაც** დახარჯა დრო: *"მას ჰქონდა რაღაც ისეთი, რაც ამ ასაკისთვისაა დამახასიათებელი, მაგრამ საერთო ჯამში, ეს მატჩი იყო პიროვნებისა და... თქვენ წარმოიდგინეთ, გამოცდილების დემონსტრაციაც".*

კომენტარი თავად საღამოს გმირმაც გააკეთა: *"ამ გოლს ჩემს ოჯახსა და მეგობარ გოგონას ვუძღვნი. თუმცა მთავარი ისაა, რომ "მილანმა" ძალიან მაღალი დონის ფეხბურთი აჩვენა და გაიმარჯვა. რონალდო ფენომენად რჩება. ჩემთვის ის მუდამ კერპი და მისაბაძი მაგალითი იყო. ითამაშო ამ რანგის ფეხბურთელის გვერდით, ეს უდიდესი ბედნიერებაა. რამდენ გოლს გავიტან? ვიცი, რაც თქვა სინიორ ბერლუსკონიმ - პატო ამ სეზონში 12 გოლს შეაგდებსო. რა ვიცი, რა გითხრათ... დავიძინებ, სიზმარს ვნახავ და მერე გეტყვით, რამდენს გავიტან".*

■ ■ ■

"მილანზე" საუბარს სატრანსფერო თემით განვაგრძობთ. "როსონერის" პრეზიდენტმა **სილვიო ბერლუსკონიმ** ღიად დააფიქსირა, რომ ზაფხულში **ჯანლუკა ძამბროტა** "ბარსელონას" დატოვებს და "მილანს" შეუერთდება. ამავე დროს, ბერლუსკონიმ არ დამალა, რომ **რონალდინიოსთვის** ბრძოლა წააგო და მას "ჩელსის" უთმობს.

*"დარწმუნებით შემიძლია გითხრათ, რომ ძამბროტა ივლისიდან ჩვენთან გადმოვა. ვიცი, რომ ჯანლუკას ძალიან უნდა "მილანში" თამაში და არა მგონია, "ბარსელონასთან" მორიგება გაგვიძნელდეს"* - უთხრა იტალიის ექსპრემიერმა "სქაი სპორტის" ტელეარხს.

ძამბროტას "მილანში" გადასვლა ჯერ კიდევ 2006 წლის ზაფხულში შეეძლო, მაგრამ იმ ეტაპზე მსოფლიო ჩემპიონმა "ბარსელონაში" წასვლა არჩია. კატალონიაში მას კარიერა ისე ვერ აეწყო, როგორც გეგმავდა. ამის მიზეზი იყო ტრავმებიც, მაგრამ ძირითადად, პრობლემა კონკურენციაში გახლდათ. აქ არ არის საუბარი იმაზე, რომ ძამბროტა ვინმესთან ამ მძაფრ კონკურენციაში დამარცხდა, უბრალოდ, **ფრანკ რიიკაარდს** დიდი არჩევანი აქვს და ექსიუვენტუსელს მუდმივად არ უწევდა თამაში. "მილანი" კი მას გაშლილი ხელით ელის. "ძამბროს" უპირატესობა იმაშიცაა, რომ დაცვის ორივე ფლანგზე შეუძლია თამაში. ეს უპირატესობა განსაკუთრებით თვალშისაცემი გახდება მაშინ, როცა **პაოლო მალდინი** სეზონის ბოლოს ფეხბურთიდან წავა.

რომა

# სპალეტიმ ტოტის შეუტია

## რატომ დაუტკბა მწვრთნელი მანსინის?



რა მოხდა ტოტისა და სპალეტის შორის?

**ლუჩანოს სპალეტის** ყოველთვის ფრთხილი და დისტანცირებული ურთიერთობა ჰქონდა **ფრანჩესკო ტოტისთან**, მაგრამ მას შემდეგ, რაც მწვრთნელმა კაპიტანს მკაცრად შეუტია, შესაძლოა, "რომაში" მონასტერი აირიოს. ტოტი "ჯალოროსისთვის" ბევრს ნიშნავს, ტიფოზებისთვის უფრო მეტსაც კი, ვიდრე ნებისმიერი მწვრთნელი. სპალეტიმ "პუპონე" "ატალანტასთან" საკვირაო მატჩის შემდეგ გააკრიტიკა. თავხოტორა სპეციალისტმა ტოტის პასიურობაში დასდო ბრალი. ამაზე რა გითხრათ, მაგრამ ფაქტია, რომ "რომას" გამარჯვებაში წვლილი კაპიტნის გოლსაც მიუძღვის.

*"დიახ, ტოტიმ გოლი გაიტანა და ეს გამარჯვებაში დაგვეხმარა, მაგრამ მას გაცილებით მეტი შეეძლო და აქტიურობის შემთხვევაში, ამდენი ნერვიულობა არ მოგვიწევდა. თუ ფეხბურთელმა ორი გოლი გაიტანა და მას ხუთის გატანა შეეძლო, ეს ბუნებრივად ნიშნავს, რომ მისი გარჯა საკმარისი არ იყო. ამავე დროს, თუ ფეხბურთელს გააქვს გოლი და მერე, მთელი 70 წუთის განმავლობაში, აბსოლუტურად გამოთიშულია თამაშიდან, გრჩება შთაბეჭდილება, რომ 10 კაცით ხარ მოედანზე და არა თერთმეტით. იმ რანგის ფეხბურთელი, როგორიც ტოტია, მუდმივად უნდა ცდილობდეს, დაამტკიცოს თავისი ძალა და ჰქონდეს კავშირი პარტნიორებთან, ისევე, როგორც ხარისხი".*

სპალეტის სიტყვებმა ჟურნალისტები პირდაღებული დატოვა. ტოტისთან ღია დაპირისპირებაში ის აქამდე არასდროს შესულა. რაში დასჭირდა მას ეს ახლა, როცა "ჯალოროსი" ჩემპიონობისთვის იბრძვის? გავიხსენოთ, რომ ტოტის ადრე პრობლემები ჰქონდა **ფაბიო კაპელოსთან**, განსხვავებით დღევანდელი მწვრთნელისგან, ვისთანაც ბოლო დრომდე ნორმალურ ურთიერთობას ინარჩუნებდა. "რომას" ფანები უკვე შეშფოთდნენ. "სქაი სპორტმა" მათ შორის ბლიც-გამოკითხვა მოაწყო. თითქმის ყველას აზრი იდენტური იყო: იმედია, ამით ყველაფერი დამთავრდება და ტოტი სპალეტისთან პოლემიკაში არ ჩაერთვებაო. ანუ, მათ დაპირისპირების გაგონებაც არ სურთ. ცხადია, ასეთ დროს მოკეთე სხვას ვერაფერს იტყოდა...

მეორე მხრივ, ამ ფონზე, მეტად უცნაურია მწვრთნელის ქათინაურები **ამანტინო მანსინის** მიმართ: *"ბერგამოულ მატჩში მან ყველაფერი კარგად გააკეთა. მისმა გოლმა გამარჯვებაში ფასდაუდებელი როლი ითამაშა. როგორც ყოველთვის, ამანტინო სხვა მხრივაც გამორჩეული იყო. ამიტომ, ჩვენ გვჯერა მისი და ეს მანაც იცის. ჩვენ კი ვიცით ის, რომ ამ ფეხბურთელის პოტენციალი "რომასთვის" ძალიან ბევრს ნიშნავს".*

ეჭვი გვაქვს, რომ სპალეტის სიტყვები სწორედ რომ მანსინის ყურებისთვის იყო განკუთვნილი და არა პრესის ან მკითხველისთვის. ბრაზილიელ გარემარბს "რომასთან" კონტრაქტი 2009 წელს ეწურება. ამ დღეებში მან პასუხი უნდა გასცეს კითხვას - სურს თუ არა ტრიგორიაზე კიდევ 3 წლით დარჩენა. მანსინისა და სპალეტის ურთიერთობას იდეალურს ნამდვილად ვერ ვუწოდებთ, პირიქით, შარშან მათ კონფლიქტიც მოუვიდათ ერთ-ერთი მატჩის შემდეგ. მანსინი ამიტომაც იკავებს თავს კონტრაქტის გაგრძელებისგან. არადა, სპალეტის ის სჭირდება. ბრაზილიელს დიდ პატივს სცემს "რომას" გენერალური მენეჯერი **როზელა სენსიც**. ამ ქათინაურით კი მწვრთნელი ცდილობს, ფეხბურთელს გული მოულბოს. ეს შეიძლება ფარული შიდა დაპირისპირების გამოც ხდებოდეს. მოგეხსენებათ, უთანხმოება ჰქონდათ ტოტისა და მანსინისაც. ამ უკანასკნელს არ მოსწონდა, რომ ტოტი, არა როგორც კაპიტანი, არამედ როგორც ჩვეულებრივი ფეხბურთელი, კლუბში დიდი პრივილეგიებით სარგებლობდა. ის ახლაც ხელშეუხებელია, რაც ნიშნავს იმას, რომ ტოტის კრიტიკა არ არის პოპულარული საქმე. სპალეტიმ ეს პირველმა გაბედა. ამით, ის მანსინის აჩვენებს, რომ თუ მოსახვედრია, მწვრთნელისგან ყველას მოხვდება, ვინც ამას დაიმსახურებს.

განსჯის საგანი

# სილამაზე თუ შედეგი?

## ანუ: წავაგეთ, მაგრამ კარგად ვითამაშეთ თუ ცუდად ვითამაშეთ, მაგრამ მოვიგეთ?

2002 წლის ზაფხულში, როცა **რაინერ კალმუნდი** თავისი კლუბის უიღბლობის გამო კინაღამ ჭკუიდან შეიშალა, სანამ ახალი სეზონისთვის მზადებას დაიწყებდა, ლევერკუზენის „ბაიერის" გენერალურმა მენეჯერმა თქვა, იმედი მაქვს, რომ გუნდის პოპულარობა და სახელი მხოლოდ ტიტულებით კი არ იზომება, არამედ იმ კრიტერიუმითაც, თუ როგორ ფეხბურთს თამაშობს ესა თუ ის გუნდიო. „ლევერკუზენმა" იმ წელს მართლაც იფრინა და **კლაუს ტოპმიოლერის** ხელში კინაღამ ჰეთ-თრიკი შეასრულა. მაგრამ მხოლოდ კინაღამ, რადგან ტოპი და მისი ბიჭები სამივე ფრონტზე ბოლო წამს დამარცხდნენ – წააგეს გერმანიის თასის ფინალი, ბუნდესლიგაში პირველობა ბოლო ტურში დათმეს და რაც ყველაზე მტკივნეული იყო, წააგეს ჩემპიონთა ლიგის ფინალიც. არადა, ტოპის „ლევერკუზენმა" 2001/02 წლების სეზონში მართლაც გრანდიოზული ფეხბურთი აჩვენა.

1997 წლის შემდეგ „ლევერკუზენი" ამაოდ ცდილობდა „ვერცხლის სინის" მოპოვებას და ამ ჯილდოსთან ყველაზე ახლოს სწორედ 2002 წელს იყო. სეზონის დამთავრებამდე სამი ტურით ადრე „ბაიერი" მდევარ დორტმუნდის „ბორუსიას" 5 (!) ქულით უსწრებდა, მაგრამ ეს უპირატესობა ვერ შეინარჩუნა და გერმანიის ჩემპიონიც „ბორუსია" გახდა.

*„2002 წელს ჩვენ შეგვეძლო, წლის ყველაზე წარმატებული გუნდი გავმხდარიყავით, მაგრამ ეს ვერ შევძელით. სამაგიეროდ, ალბათ არავინ შემეწინააღმდეგება, თუ ვიტყვი, რომ „ლევერკუზენმა" 2001/02 წლების სეზონში ყველაზე შემტევი, ეფექტური და ყველაზე ლამაზი ფეხბურთი აჩვენა,"* – იხსენებს კალმუნდი.

ლამაზი, მაგრამ წარუმატებელი ფეხბურთი – განა ამას აზრი აქვს? ზოგი ასე ფიქრობს, ზოგი ისე, ჩვენ კი ამ შემთხვევაში ორი ძალიან გამოცდილი ექსპერტის აზრი გავითვალისწინოთ. **უდო ლატეკი:** *„ულამაზეს ფეხბურთს არავითარი აზრი არა აქვს, თუკი არ იქნება წარმატება. ეს ასე იყო, არის და მუდამ ასე იქნება."* **სესარ ლუის მენოტი:** *„თუკი ჩემი გუნდი კარგად ითამაშებს, რომც ვერ მოიგოს, მაინც კმაყოფილი დავრჩები!"* ორი დიდი ადამიანი, ორი მოსაზრება – ვერაფერს იტყვი.

რაინერ კალმუნდი „ლევერკუზენში" უკვე დიდი ხანია, ისტორიას ჩაბარდა, დღეს „ბაიერს" სხვები ხელმძღვანელობენ, მაგრამ მაინც არაფერი შეცვლილა და საქმე იქითკენ მიდის, რომ „ლევერკუზენში" „დეჟავუს" ვიხილავთ. "ბაიერი" ამ სეზონშიც ძალიან ლამაზ ფეხბურთს აჩვენებს და სწორედ ამიტომ აქებენ „ფარმაცევტების" მთავარ მწვრთნელ **მიხაელ სკიბეს** – „ლევერკუზენი" ბუნდესლიგაში (ცხადია, „ვერდერთან" ერთად) ყველაზე ლამაზ ფეხბურთს აჩვენებს, ყოველ შემთხვევაში, ასე იყო პირველ წრეში, მაგრამ პირველ ადგილზე მაინც „ბაიერნია". სხვათა შორის, „ვერდერი" და „ლევერკუზენი" ერთმანეთს პირველი წრის ბოლო ტურში შეხვდნენ და ნამდვილი საფეხბურთო სპექტაკლიც დადგეს – მატჩი ბრემენელთა გამარჯვებით (5:2) დასრულდა. საბოლოო ანგარიშის მიუხედავად, „ლევერკუზენს" ცუდად არ უთამაშია, მაგრამ კლასმა მაინც თავისი ქნა, კლასით კი „ვერდერი" „ბაიერზე" მაღლა დგას. 30 წუთის განმავლობაში **სერგეი ბარბარესი** და კომპანია ბრემენელებს ასე ვთქვათ, თავზე ასხდნენ, მაგრამ ვერაფრით გაუტანეს, მერე კი „ვერდერმა" წამოიწყო ტაიფუნი და მოკლედ, ის მატჩი გერმანიაში უკვე აღიარეს პირველი წრის ყველაზე სანახაობრივ შეხვედრად.

სხვათა შორის, ამ მატჩიდან ხუთი დღის შემდეგ „ლევერკუზენმა" უეფას



პრაგმატული და ტიტულოვანი: „ბაიერნი" ფრანც ბეკენბაუერთან ერთად



სასწაულმოქმედი, მაგრამ ტიტულის გარეშე: ჰოლანდიის ნაკრები იოჰან კრუიფთან ერთად



სასწაულმოქმედი და ტიტულოვანი: „რეალი" ალფრედო დი სტეფანოსთან ერთად

თასზე „ცურიხი" 5:0 გაანადგურა – მიუხედავად იმისა, რომ უმოტივაციო იყო. ექსპერტები თანხმდებიან იმაზე, რომ სკიბეს ეს კოლექტივი უფრო გამოცდილი რომ იყოს, წარმატებულიც იქნებოდა, მაგრამ ისიც გასათვალისწინებელია, რომ „ბაიერს" კარგი თამაში, მაგრამ შედეგის არქონა 2002 წლიდან თითქოს სისხლში აქვს გამჯდარი. თითქოს ასე უნდა იყოს, თითქოს ეს „ლევერკუზენის" ხელწერაა, რომელსაც გუნდი წლების მანძილზე ინარჩუნებს. „წააგეს, მაგრამ კარგად ითამაშეს" – ასეთი რამ სტატისტიკაში არ იწერება, მაგრამ ფეხბურთის მატიანე მაინც ინახავს ისეთ მატჩებს, სადაც ერთ გუნდს ძალიან არ გაუმართლა, ან უბრალოდ კარგად ითამაშა, გამარჯვების ღირსი იყო, მაგრამ წააგო.

შავ-თეთრი ეკრანებიდან თუ არა, გადმოცემით ან წაკითხულით მაინც გეცოდინებათ, რაც დაემართა ბრაზილიის ნაკრებს 1950 წლის მუნდიალზე. ფინალურ ჯგუფში გრანდიოზულ ბრაზილიას ურუგვაისთან მხოლოდ ერთი ქულა სჭირდებოდა იმისათვის, რომ მსოფლიოს ჩემპიონი გამხდარიყო და თანაც, ბრაზილიელები საკუთარ „მარაკანაზე" თამაშობდნენ. ვერ მოახერხეს! გუნდი, რომელმაც ფინალურ ჯგუფში შვედეთს 7:1 მოუგო, ხოლო ესპანეთს კი 6:1, ურუგვაისთან 1:2 დამარცხდა. ეს იყო 16 ივლისს, რიოში, როცა **ბარბოსამ** ის დარტყმა ვერ მოიგერია. წინა ხუთ თამაშში „სელესაოს" 21 გოლი ჰქონდა გატანილი, 21!

4 წლის შემდეგ თითქმის იგივე დაემართა უნგრეთის დიდ გუნდსაც (2:3 გერმანიასთან), 1974-ში კი **იოჰან კრუიფის** ჰოლანდიას, როცა ტოტალური ფეხბურთი გერმანულთან დამარცხდა. ფეხბურთის ისტორიაში ძალიან ხშირია მატჩები, როცა სურვილმა და მონდომებამ დაჯაბნა ინსპირაცია და საფეხბურთო ხელოვნება.

70-იან წლებში გერმანიაში ყველა მიონხენგლადბახის „ბორუსიას" აქებდა, მიუნხენის „ბაიერნს" კი აქილიკებდნენ და იმას, რომ „ბაიერნი" ტიტულებს აგროვებდა, ხოლო „გლადბახი" კი უილბლო თამაშების ნუსხას, ვინც „ბაიერნის" ფანი არ იყო, ბუნების შეცდომად აღიქვამდა. მიონხენგლადბახელებმა ტიტული მაშინღა მოიგეს, როცა **ჰენეს ვაისვაილერმა** დაცვის ცენტრი **ლუდვიგ მიულერითა** და **კლაუს-დიტერ ზილოფით** გააძლიერა.

სილამაზე და წარმატება ერთად - ეს მადრიდის „რეალია", 50-იანი და 60-იანი წლების „რეალი" – ე.წ. „თეთრი ბალეტი", **ალფრედო დი სტეფანოს** პერიოდი, რომელიც **ხოსე სანტამარიასთან, ფერენც პუშკაშთან** და **ხენტოსთან** ერთად აღაფრთოვანებდა მადრიდელ ქომაგებს. შედეგიც იყო – „რეალმა" ზედიზედ ხუთჯერ მოიგო ჩემპიონთა თასი და ეს განუმეორებელი მიღწევაა.

ერთი სიტყვით, საკმაოდ ბევრია ისეთი შემთხვევები, როცა ლამაზ ფეხბურთს არ მოაქვს შედეგი. გაწევ რისკს, შენი გუნდი მეტოქეს აშკარად ჯაბნის, მაგრამ ბოლოს მაინც აღმოჩნდება, რომ წააგე და ეს კი ლოგიკურად იმაზე მიუთითებს, რომ ან გამოცდილება გაკლია, ანაც ჭკუა...

**გოტფრიდ ლენცი**

ტრანსფერი

# ბაიერნმა ტიმ ბოროვსკი დაიბევა

## ვერდერის ნახევარმცველი ზაფხულიდან მიუნხენში უფასოდ გადავა...



ტიმ ბოროვსკი ზაფხულიდან კარიერას ბაიერნში გააგრძელებს

სამწვრთნელო საკითხის სწრაფად გადაწყვეტიდან და **იურგენ კლინსმანთან** წინასწარი კონტრაქტის გაფორმებიდან ზუსტად ორი დღის შემდეგ „ბაიერნმა" მორიგი ტრანსფერი სრულყო. გადაწყდა, რომ მიმდინარე სეზონის დასრულების შემდეგ ბრემენის „ვერდერისა" და გერმანიის ნაკრების ნახევარმცველი **ტიმ ბოროვსკი** მიუნხენურ კლუბში გადავა. 27 წლის ბოროვსკის „ვერდერთან" კონტრაქტის ვადა ეწურება და როგორც მიხვდით, „ბაიერნს" ყოველგვარი საზღაურის გარეშე მიაშურებს.

ბოროვსკი რომ „ვერდერთან" კონტრაქტის გაგრძელებას არ ჩქარობდა, იმის ბრალი ყოფილა, რომ „ბაიერნთან" აწარმოებდა მოლაპარაკებებს და როცა რეკორდმაისტერთან კონსენსუსს მიაღწია, ბრემენული კლუბის გენერალურ მენეჯერ **კლაუს ალოფსს** მაშინვე აცნობა, „ბაიერნში" მივდივარო. ეს თურქეთში მოხდა – როგორც იცით, „მუსიკოსები" მეორე წრის მოსამზადებელ შეკრებას ბელეკში გადიან.

ალოფსისთვის ეს დიდი დარტყმაა – *მისთვის არაფერია იმაზე უარესი, რომ ფეხბურთელი „ბაიერნს" დაუთმოს, მაგრამ „ვერდერის" ბოსი ბოროვსკის გადაწყვეტილებამ არ გააკვირვა. „ტიმს ახალი კონტრაქტის შესახებ მოლაპარაკებების დაწყება ჯერ კიდევ გასულ წელს შევთავაზეთ, მაგრამ მან მოლაპარაკებაზეც კი უარი გვითხრა. მაშინ მივხვდი, რომ რაღაცაში იყო საქმე. ბოროვსკი გერმანიის ნაკრების ფეხბურთელია და როცა ესეთ მოთამაშეს კონტრაქტი უმთავრდება და უფასო ხდება, ცხადია, რომ ბევრი მთხოვნელი ეყოლება. შესაბამისად, მე წინდაწინვე ვიცოდი, რომ ასე მოხდებოდა. თუმცა უნდა ვაღიარო, რომ ეს ფაქტი ძალიან გულდასაწყვეტია,"* – განაცხადა ალოფსმა.

ბოროვსკის გადაწყვეტილებით ძალიან დამწუხრებულია ბრემენული კლუბის მთავარი მწვრთნელი **თომას შააფიც:** *„ძალიან სამწუხაროა. ტიმთან კონტრაქტის გაგრძელება გვინდოდა, მის გაშვებაზე არ ვფიქრობდით, მაგრამ რაც მოხდა, მოხდა, ველარაფერს შევცვლით."* ბოროვსკიმ „ვერდერში" კიდევ ნახევარი სეზონი უნდა გაატაროს, მაგრამ ცხადია, რომ „მუსიკოსთა" ქომაგები მას ძალიან აითვალწუნებენ (გაიხსენეთ **კლოზეს** შემთხვევა). მიუხედავად ამისა, „ვერდერის" შეფები გამორიცხავენ იმას, რომ ბოროვსკიმ ბრემენი ზაფხულამდე დატოვოს. *„100 პროცენტით დარწმუნებული ვარ, რომ ტიმი სეზონის ბოლომდე ჩვენთან დარჩება,"* – ეს ალოფსის სიტყვებია. თვითონ ფეხბურთელიც ამბობს, რომ ზაფხულამდე არსად წავა და დარჩენილ დროში „ვერდერისთვის" მაქსიმუმს გაიღებს.

„ბაიერნის" ხელმძღვანელებმა კი, ტრანსფერი გუშინ დილით დაადასტურეს – როგორც იცით, რეკორდმაისტერი მარბელიაში ემზადება. ბავარიელთა მენეჯერის, **ული ჰიონესის** თქმით, უახლოეს მომავალში ბოროვსკი „ბაიერნთან" წინასწარ კონტრაქტს გააფორმებს, რომელსაც ვადა 2011 წლის 30 ივნისამდე ექნება. ჰიონესი აცხადებს, რომ ის ბრემენელ ფეხბურთელს გასულ უქმეებზე მოურიგდა. აღსანიშნავია, რომ ბოროვსკის ტრანსფერის შემდეგ ის მეშვიდე ფეხბურთელი იქნება "ბაიერნში", რომელსაც აქვს პატივი, გერმანიის ნაკრების წევრი ერქვას. დღევანდელი „ბაიერნიდან" ბუნდესგუნდში **მიროსლავ კლოზე, ბასტიან შვაინშტაიგერი, ფილიპ ლამი, ლუკას პოდოლსკი, მარსელ იანსენი** და **იან შლაუდრაფი** თამაშობენ.

ამასთან, ჰიონესმა ისიც აღნიშნა, რომ ბოროვსკის ტრანსფერს არანაირი კავშირი არა აქვს კლინსმანთან. ულის თქმით, რეკორდმაისტერს ბოროვსკის გადაბირება დიდი ხანია უნდა. ჰიონესი იმასაც ამბობს, კლინსმანი ბოროვსკის ტრანსფერს მიესალმებაო. *„მოლაპარაკებების დროს კლინსმანს ვუთხარით, რომ ბოროვსკის ტრანსფერი სრულყოფისკენ მიგვყავდა და ის აღფრთოვანებული დარჩა,"* – ამბობს ული.

„ბაიერნი" ბოროვსკის მართლად დიდი ხნის მანძილზე აკვირდებოდა და ახლა, როცა შეფებს ტიმის უფასოდ გადაბირების შანსი მიეცათ, სასწრაფოდ იმოქმედეს და ნახევარმცველი დაითანხმეს. ის, რომ ტრანსფერი კლინსმანთან კავშირში არაა, თვითონ ბოროვსკიმაც დაადასტურა. *„ბაიერნში" გადასვლა კლინსის დათანხმებამდე გადავწყვიტე. ახლა კი ძალიან მიხარია, რომ ისევ იურგენის შეგირდი ვიქნები,"* – ამბობს ბოროვსკი.

ტიმ ბოროვსკი ბრემენულ კლუბში 1996 წელს „ნოიბრანდენბურგიდან" გადავიდა და მოყვარულთა გუნდში ჩაირიცხა. ტიმი „ვერდერის" პირველ გუნდში 2001 წელს გადაიყვანეს. მას ბუნდესლიგაში 157 თამაში აქვს ჩატარებული (21 გოლი). გერმანიის ნაკრებში კი 31 მატჩში 2 გოლი აქვს გატანილი.

■ ■ ■

კლოპმა კლინსის ასისტენტობა იუარა

კლინსმანის დანიშვნის შემდეგ ყველაზე საინტერესო ისაა, თუ ვინ გახდება მისი მარჯვენა ხელი. ჰიონესის თქმით, იურგენთან მოლაპარაკებების დროს მთავარი თემა კლინსმანის მომავალი სამწვრთნელო შტაბი იყო და აი, რაზე შეთანხმდნენ ჰიონერსი და იურგენი: კლინსის შეუძლია, მოიყვანოს ის, ვინც ენდომება, მაგრამ ხელფასებითვის ვერ დახარჯავს იმდენს, რამდენიც ენდომება. მაშ ვინ გახდება კლინსის მარჯვენა ხელი? ამას წინათ **გვიდო ბუხვალდზე** ვწერდით. ეს უკანასკნელი ამბობს, სიამოვნებით ვიმუშავებდი, მაგრამ იურგენთან ამ თემაზე არ მისაუბრია და მას ჩემთვის არც არაფერი შემოუთავაზებიაო. საუბარია **იურგენ ჰარტმანზეც,** რომელიც 1985-დან 89 წლამდე „შტუტგარტში" კლინსმანის თანაგუნდელი იყო. ეს უკანასკნელიც მიიჩნევს, რომ თუკი შესთავაზებენ, უარს არ იტყვის.

სამაგიეროდ, უარი უკვე თქვა გაცილებით სერიოზულმა კანდიდატმა, რომელსაც „ბაიერნის" ხელმძღვანელებმა წინადადებით უკვე მიმართეს. ეს „მაინცის" მთავარი მწვრთნელი **იურგენ კლოპი** გახლავთ, რომელსაც გერმანიაში ძალიან აფასებენ და უყვართ. კლოპი ერთ-ერთ უნიჭიერეს სპეციალისტად მოიაზრება. მაგრამ კლოპმა „კიკერს" განუცხადა, მე ასისტენტი არა ვარ, ასე რომ თემიდან ამომშალეთო.

**გოტფრიდ ლენცი**

ალიარება. 2007 წლის საუკეთესო მეკარე

# რა თქმა უნდა, ისევ ჯიჯი!

## ბუფონი მეოთხედ და უკვე ყველა დროის საუკეთესო...



ჯიჯი ბუფონი ისევ საუკეთესოა!

ფეხბურთის ისტორიისა და სტატისტიკის საერთაშორისო ფედერაციამ 2007 წლის საუკეთესო მეკარედ **ჯანლუიჯი ბუფონი** დაასახელა. ამრიგად, ტურინის „იუვენტუსისა" და იტალიის ნაკრების კარის დარაჯი მეოთხედ გახდა პლანეტის საუკეთესო გოლკიპერი, რაც იმას ნიშნავს, რომ ამ მხრივ ჯიჯი ყველა დროის საუკეთესოა – ეს წოდება ოთხჯერ აქამდე არავის დაუმსახურებია. ბუფონმა საკმაო უპირატესობით აჯობა ლონდონის „ჩელსისა" და ჩეხეთის ნაკრების კარის დარაჯ **პეტრ ჩეხს**, რომელმაც თავის მხრივ ბევრად უკან მოიტოვა **იკერ კასილიასი** (რეალი, ესპანეთი), რომელიც მესამე ადგილზეა.

ალსანიშნავია, რომ საუკეთესო ოცეულში ყველაზე მეტი წარმომადგენელი ესპანეთს ჰყავს – 20-დან 5 მეკარე ესპანელია. და მეტად საინტერესოა ის ფაქტიც, რომ ოცეულში ბრაზილიას ოთხი წარმომადგენელი ჰყავს. აი, იტალიელთაგან კი ოცეულში მხოლოდ ორი მეკარეა – ბუფონი, როგორც გითხარით სათავეშია, ხოლო **ფრანჩესკო ტოლდო** (ინტერი) კი ბოლოში. ორი წარმომადგენელი ჰყავს გერმანიასაც (ლემანი, ადლერი).

რაც შეეხება ბუფონს – ჯიჯიმ ეს წოდება 2003, 2004 და 2006 წლებშიც დაიმსახურა და ყველა დროის საუკეთესოთა შორის უკვე პირველია. წლის საუკეთესო მეკარედ სამ-სამჯერ იყვნენ ალიარებულები **ოლივერ კანი** (გერმანია/1999, 2001, 2002), **ხოსე ლუის ჩილავერტი** (პარაგვაი/1995, 1997, 1998) და **ვალტერ ძენგა** (იტალია/1989, 1990, 1991).

2007 წლის საუკეთესო მეკარეთა ოცეული ასე გამოიყურება:

| მეკარე | ქვეყანა | კლუბი | ქულა |
| --- | --- | --- | --- |
| 1. ჯანლუიჯი ბუფონი | იტალია | იუვენტუსი | 209 |
| 2. პეტრ ჩეხი | ჩეხეთი | ჩელსი | 172 |
| 3. იკერ კასილიასი | ესპანეთი | რეალი | 124 |
| 4. ედვინ ვან დერ სარი | ჰოლანდია | მანჩესტერი | 62 |
| 5. როჟერიო სენი | ბრაზილია | სან პაულო | 37 |
| 6. ხოსე რეინა | ესპანეთი | ლივერპული | 36 |
| 6. დიდა | ბრაზილია | მილანი | 36 |
| 8. ანდრეს პალოპი | ესპანეთი | სევილია | 29 |
| 9. ჟულიო სეზარი | ბრაზილია | ინტერი | 24 |
| 10. იენს ლემანი | გერმანია | არსენალი | 20 |
| 11. დონი | ბრაზილია | რომა | 17 |
| 12. აბდონდანსიერი | არგენტინა | ხეტაფე | 14 |
| 12. ვიქტორ ვალდესი | ესპანეთი | ბარსელონა | 14 |
| 14. ფრანსისო ოჩოა | მექსიკა | ამერიკა | 9 |
| 15. აუგუსტინ ხულიო | კოლუმბია | ტოლიმა | 8 |
| 16. არტურ ბორუცი | პოლონეთი | სელტიკი | 7 |
| 17. რენე ადლერი | გერმანია | ბაიერი | 5 |
| 17. მანუელ ალმუნია | ესპანეთი | არსენალი | 5 |
| 17. გრეგორი კუპე | საფრან. | ლიონი | 5 |
| 17. ფრანჩესკო ტოლდო | იტალია | ინტერი | 5 |

ლეგენდა

# ზიზუ სტადიონებს აშენებს

გასულ უქმეებზე **ზინედინ ზიდანმა** "ეკიპს" ინტერვიუ მისცა. ლეგენდარული ფრანგი ნახევარმცველი საზოგადოებაში გავრცელებულ იმ ჭორს შეეხო, რომელიც ზიზუს მიერ კარიერის დასრულებას უკავშირდება: *"რატომღაც არაერთ გაზეთში წავიკითხე, თითქოს მეთქვას, რომ ფეხბურთიდან წასვლას ვნანობ. თითქოს, ვაღიარებ რომ ვიჩქარე და კიდევ რამდენიმე წელი შემეძლო მეთამაშა. წარმოდგენა არ მაქვს, ამ ჭორებს რა მიზნით ავრცელებენ. დიახ, ეს ჭორია და სხვა არაფერი. არაფერს ვნანობ. მე მხოლოდ იმას ვამბობ ხოლმე, რომ დიდი ფეხბურთის თამაში მენატრება. ეს სრულიად ბუნებრივია, რადგან წლების განმავლობაში ელიტაში ვიმყოფებოდი და ყველაზე პრესტიჟულ ჯილდოებს ვიგებდი. რა თქმა უნდა, მენატრება, მაგრამ ნებისიერი სალად მოაზროვნე ადამიანი დამეთანხმება, რომ უსასრულოდ არაფერი გრძელდება. ასაკმა მიწია და იძულებული გავხდი კარიერა დამესრულებინა. მეტი აღარ შემეძლო. ასე რომ, შეუძლებელია, ეს გადაწყვეტილება სანანებლად გამიხდეს. მე ბუნების კანონებს დავემორჩილე. ახალგაზრდა ადამიანი ბევრს დარბის, მოძრაობს, აქტიურობს. მოხუცი კი ძირითადად სახლში ზის და ყავარჯნის დახმარებით ბაღში თუ გაისეირნებს. ეს ხომ მისი ბრალი არ არის. ასაკთან აბსოლუტურად ყველა ადამიანი უძლურია."*

ზიდანი ცხადია, მისი ბოლო კლუბის, მადრიდის "რეალის" ცხოვრებასაც გამოეხმაურა და განაცხადა, რომ ესპანური გრანდი წელს ფენომენალურ შედეგებს მიაღწევს. ზინედინი, რა თქმა უნდა, პრიმერა დივიზიონსა და ჩემპიონთა ლიგაში ერთდროულად გამარჯვებას გულისხმობდა.

ინტერვიუს დასასრულს ზიზუმ ბოლო პროექტზეც გაამახვილა ყურადღება: *"ჩემს ძმებთან და მეგობრებთან ერთად ძალიან საინტერესო და რაც მთავარია, სასარგებლო პროექტი შევიმუშავე. გადავწყვიტეთ, მარსელში სინთეთიკურ საფარიანი მოედნების მთელი წყება ავაშენოთ. ძირითადად გარეუბნებში. მე სწორედ მარსელის გარეუბნებიდან მოვდივარ და ყველაზე კარგად ვიცი რასაც ნიშნავს ასფალტზე თამაში. კვირა ისე არ გაივლიდა, რომ მე ან ჩემს რომელიმე მეგობარს ხელ-ფეხი არ დაგვეგლიჯა. ჩემი აზრით, ეგრეთ წოდებული ურბანული ფეხბურთის განვითარება მარსელსა და შესაბამისად საფრანგეთს მომავლის ვარსკვლავებს გაუზრდის. მშობლიური ქალაქის გარეუბნებში ხშირად დავდივარ და მანქანის ფანჯრიდან ჩუმად ვუყურებ პატარების თამაშს. ჩვენს ქუჩებში უდიდესი ნიჭია და აუცილებელია, რომ ამ ბავშვებს ხელი შევუწყოთ."*



ზინედინ ზიდანი ფეხბურთში დაბრუნებას აპირებს

ნიუკასლი. მოსალოდნელი დანიშვნა

# კიგანი თუ ჰიუზი?

## შირერი სამწვრთნელო შტაბში, მაგრამ არა მთავარ მწვრთნელად...

"ნიუკასლის" ყოფილი თავკაცი **კევინ კიგანი** არ გამორიცხავს, შეთავაზების შემთხვევაში, "სენტ ჯეიმს პარკზე" დაბრუნდეს. ინგლისური გაზეთები სავსეა სპეკულაციებით იმის შესახებ, თუ ვინ გახდება ჯორდების მწვრთნელი. **სემ ელერდაისის** დათხოვნიდან სამი დღის შემდეგ "ნიუკასლმა" "მანჩესტერ იუნაიტედთან" გამანადგურებელი ანგარიშით წააგო (0:6). კლუბის ხელმძღვანელობა დარწმუნდა, რომ ახალი დამრიგებელი უმოკლეს დროში უნდა დანიშნოს. ელერდაისის მემკვიდრის გამოცნობას ცდილობენ ბუქმეიქერებიც. მათი აზრით, კიგანზე უკეთესი შანსი "ბლექბერნის" თავკაც **მარკ ჰიუზს** აქვს. მიმომხილველთა აზრით, შესაძლოა, ეს იმის ბრალი იყოს, რომ ჰიუზი მოქმედი მწვრთნელია, კიგანს კი რამდენიმე წელია, არ უმუშავია და არც უთქვამს, რომ ფეხბურთში დაბრუნებას სურს. თუმცა არა: "სქაი სპორტისათვის" მიცემულ ინტერვიუში კიგანმა მინიშნება უკვე გააკეთა. კითხვაზე, დათანხმდება თუ არა "ნიუკასლის" შეთავაზებს, მისტერ კევინმა მიუგო: *"არ ვიცი, ამ დღეებში უთვალავ კითხვას მისვამენ. ყვლა მათგანზე პასუხის გაცემა ჩემს შესაძლებლობებს აღემატება. არაფერს გამოვრიცხავ. ყველამ იცის, რომ ეს კლუბი ძალიან მიყვარს. ამ წუთში დარწმუნებით მხოლოდ ამის თქმა შემიძლია."*

რა შეგვიძლია, ვთქვათ, მეორე კანდიდატის, მარკ ჰიუზის შესახებ. "მირორი" იუწყება, რომ "ბლექბერნის" თავკაცი მზადაა, "ნიუკასლის" შეთავაზება განიხილოს. იმავე გამოცემაში ვკითხულობთ - ჯორდების თავმჯდომარე **მაიკ ეშლი** "ბლექბერნთან" დაკავშირებას აპირებსო. "როვერსის" ბოს **ჯონ უილიამსს** კომენტარი არ გაუკეთებია. გულშემატკივრები **ალან შირერის** კანდიდატურასაც ინტენსიურად განიხილავენ. მისტერ ეშლის სურს, ჯორდების ლეგენდარული თავდამსხმელი სამწვრთნელო შტაბში დაასაქმოს. ის სადაცაა, პროფესიულ სამწვრთნელო ლიცენზიას მოიპოვებს. ამ დოკუმენტის გარეშე პრემიერლიგის კლუბის გაძღოლა შეუძლებელია, მაგრამ პირველ ეტაპზე ნაკლებად სავარაუდოა, შირერი მთავარ მწვრთნელად დანიშნონ.



წარწერა: კევინ კიგანი ნიუკასლში დაბრუნებაზე ალაპარაკდა

შალკე

# ასამოა უნდა დარჩეს

## შეფები ჯერალდს ახალ კონტრაქტს შესთავაზებენ

როგორც იცით, „შალკემ" ახლახან ფლანგის ორი შესანიშნავი ფეხბურთელი გადაიბირა: ბრაზილიელი **ზე რობერტო II** და ფრანკფურტის „აინტრახტის" ყოფილი ნახევარმცველი **ალბერტ შტრაიტი**. შესაბამისად, ამ პოზიციაზე გუნდში კონკურენცია ძალიან გაიზარდა. ჩვენი გერმანელი კოლეგები წერდნენ, ეს იმას ნიშნავს, რომ **ჯერალდ ასამოას** „შალკეში" მომავალი აღარ აქვსო. არადა, ასა გელზენკირხენულ კლუბში აქტუალური შემადგენლობიდან ყველაზე ძველი შალკელია.

„ხუმარების" გენერალური მენეჯერი **ანდრეას მიულერი** ამბობს, რომ ეს მითქმა-მოთქმა სინამდვილეს არ შეესაბამება და მეტიც: კლუბს ასამოასთან კონტრაქტის გაგრძელება უნდა. მას შემდეგ, რაც „შალკე" თურქულ შეკრებას დაამთავრებს და გერმანიაში დაბრუნდება, მიულერი ასამოას ახალი ხელშეკრულების თაობაზე დაელაპარაკება. *„მე მას უკვე ვუთხარი, რომ მასთან თანამშრომლობის გაგრძელება გვსურს,"* – აცხადებს მიულერი „რურ ნახრიხტენისთვის" მიცემულ ინტერვიუში და იქვე დასძენს, - *„ჯერალდი ამ ფაქტმა ძალიან გაახარა. ჩემთვის ასამოა ყველაზე ნაღდი შალკელია, მასთან განშორება დაუშვებელია."* შეგახსენებთ, რომ ასამოას კონტრაქტს ვადა სეზონის ბოლოს ეწურება.



შალკეს მენეჯერი ანდრეას მიულერი ჯერალდ ასამოას ახალ კონტრაქტს შესთავაზებს

მიმდინარე სეზონში ჯერალდმა „შალკეს" მაისურით უკვე 23 თამაში ჩაატარა და 8 გოლის გატანა შეძლო (აქედან ოთხჯერ ბუნდესლიგაში იხეირა). ამრიგად, ასამოას საკითხი ფაქტობრივად გარკვეულია. სამაგიეროდ, ღიად რჩება **ზლატან ბაირამოვიჩისა** და **გუსტავო ვარელას** საკითხები, რომლებსაც კონტრაქტები ასევე სეზონის ბოლოს უმთავრდებათ.

ატლეტიკო

# მანიშე მადრიდიდან გაუშვეს

## მილანი, პორტუგალიური ნახევარმცველის მორიგი გაჩერება?

**ნუნო რიკარდო ოლივეირა რიბეირო,** ანუ ადამიანი, რომელსაც საფეხბურთო სამყარო **მანიშეს** სახელით იცნობს "ატლეტიკოს" დაემშვიდობა. მადრიდული კლუბის ხელმძღვანელების გადაწყვეტილებით ის მილანის "ინტერში" გააგრძელებს კარიერას. საიჯარო ხელშეკრულება 30 ივნისამდეა გაფორმებული, თუმცა ამთავითვე ცნობილია, რომ პორტუგალიელს "ვისენტე კალდერონზე" არაფრის გულისთვის აღარ დააბრუნებენ. მანიშემ მადრიდიდან წასვლამდე საგანგებო პრესკონფერენცია გამართა და ღიად განაცხადა, რომ "ატლეტიკოს" დატოვება თავად არ სურდა. მას ამ ნაბიჯის გადადგმა **ხავიერ აგირემ** და **ენრიკე სერესომ** აიძულეს. "როხიბლანკოს" მექსიკელმა დამრიგებელმა მანიშე დისციპლინის ხშირი დარღვევის გამო მოიძულა. მან პრეზიდენტიც დაარწმუნა, რომ პორტუგალიელი გუნდში წყალს ამღვრევდა.

მანიშეს აბარგებიდან რამდენიმე საათის შემდეგ საგანგებო კომენტარი გააკეთა "ინტერის" პრეზიდენტმა **მასიმო მორატიმ**. ატლეტიკოს ან უკვე ყოფილ ვარსკვლავს იტალიაში, კერძოდ კი მილანურ გრანდში გადასვლას უწინასწარმეტყველებენ. იტალიური სააგენტოების ცნობით, "ინტერი" ნახევარდაცვის გაძლიერებას აპირებს. მანიშეც ამიტომ სჭირდება. მას თანამემამულე ვარსკვლავმა **ლუიშ ფიგუმ** გაუწია რეკომენდაცია. და აი, მორატის განცხადება, რომელიც გაზეთა დელო სპორტმა გამოაქვეყნა: *"მანიშესთან არ მილაპარაკია, მაგრამ მის შესახებ მხოლოდ საუკეთესო რეკომენდაციები მესმის. ყველაფერი იმაზე მიუთითებს, რომ ის ჭეშმარიტი პროფესიონალია. ისიც მსმენია, რომ საკმაოდ რთული ხასიათი აქვს, მაგრამ დარწმუნებული ვარ, ჩვენს კლუბში პრობლემები არ ექნება."* მოსალოდნელი გარიგების ფინანსურ დეტალებზე ინფორმაცია არ გავრცელებულა.

### კროოსის პირველი კონტრაქტი

მიუნხენის "ბაიერნმა" პირველი პროფესიული კონტრაქტი გაუფორმა ახალგაზრდა ვარსკვლავ **ტონი კროოსს**. 18 წლის ნახევარმცველი ბავარიულ გიგანტში 2012 წლამდე დარჩება. მის ფეხბურთელის ნაცვლად, კლუბს ხელშეკრულება მის მშობლებთან ჰქონდა გაფორმებული. მისი ვადა 2011 წელს იწურებოდა, თუმცა ტონი სრულასაკოვანი გახდა (4 იანვარს) კლუბმაც მასთან უშუალოდ გადაწყვიტა საქმის დაჭერა. კროოსი არა მხოლოდ "ბაიერნის", არამედ მთელი გერმანული ფეხბურთის იმედად მიიჩნევა.

### კარლსრუემ კენედი იყიდა!

**ალექსანდრე იაშვილის** „კარლსრუემ" ზამთრის სატრანსფერო ბაზარზე პირველი ტრანსფერი სრულყო. ბადენელებმა „ნიურნბერგის" თავდამსხმელი ავსტრალიელი **იოშუა კენედი** გადაიბირეს. 25 წლის ცენტრფორვარდმა „კარლსრუესთან" კონტრაქტი 2011 წლამდე გააფორმა და KSC-ს მისი შეძენა 400 000 ევრო დაუჯდა. „ნიურნბერგმა" კენედის გაყიდვა მას შემდეგ გადაწყვიტა, რაც გაირკვა, რომ ფრანკები **იან კოლერით** ძლიერდნებოდნენ. კენედიმ პირველ წრეში მხოლოდ სამ მატჩში მიიღო მონაწილეობა და 1 გოლი გაიტანა. კენედი იაშვილის გუნდში ცენტრფორვარდ **ედმონდ კაპლანის** კონკურენტი იქნება, რომელმაც პირველ წრეში ვერცერთი (!) გოლის გატანა ვერ შეძლო - „კარლსრუე" ერთი ცენტრფორვარდით თამაშობს ხოლმე.

სარაგოსა

# ფერნანდესი გაუშვეს, მაგრამ არ გაუშვიათ

## არაგონელებს კლუბისთვის ძვირფასი პიროვნების გადაყენება ძალიან გაუჭირდათ...


ეროვნული ბიბლიოთეკა

სარაგოსამ ვიქტორ ფერნანდესს კარისაკენ მიუთითა

კვირას გვიან ღამით "სარაგოსის" დირექტორთა საბჭოს საგანგებო კრება გაიმართა. კლუბის მაღალჩინოსანთა დაუგეგმავი შეხვედრა "მალიორკასთან" მატჩში ორი ქულის დაკარგვამ განაპირობა. საქმე ის არის, რომ "სარაგოსას" 31 დეკემბრის შემდეგ პრიმერა დივიზიონში ერთი შეხვედრაც არ მოუგია. არადა, მას შემდეგ 9 ტური გაიმართა. ხელმძღვანელობა დარწმუნებული იყო, რომ გუნდი ნავსს გატეხდა და ნანატრ გამარჯვებას იზეიმებდა. მათთვის სამწუხაროდ, არაგონელებმა დასახულ მიზანს ვერ მიაღწიეს და სატურნირო მგომარეობა კიდევ უფრო გაიუარესეს. ამ ყოველივეს გამო დირექტორთა საბჭომ ხმათა აბსოლუტური უმრავლესობით ვიქტორ ფერნანდესის მთავარი მწვრთნელის თანამდებობიდან გადაყენება გადაწყვიტა.

ალსანიშნავია, რომ სეზონის დაწყების წინ არაგონელები ჩემპიონთა ლიგის საგზურის მოპოვების შესაძლებლობაზე მთელი სერიოზულობით საუბრობდნენ. მათ სჯეროდათ, რომ "სარაგოსის" პოტენციალი საკმარისი იყო იმისთვის, რათა გუნდი ოთხეულში დამკვიდრებულიყო. რეალობა აბსოლუტურად განსხვავებული და უკიდურესად მტკივნეული ალმოჩნდა. "სარაგოსას" ახლა სულ რალაც 22 ქულა აქვს და გასავარდნი ზონიდან მხოლოდ ორი საფეხურით არის დაშორებული. "მალიორკასთან" მატჩის დასრულებისთანავე დირექტორები პრეზიდენტის სამუშაო კაბინეტისკენ დაიძრნენ. მთავარი მწვრთნელისთვის მათ არაფერი უთქვამთ. ამიტომ, სენიორ **ფერნანდესი** საპრესკონფერენციო დარბაზისკენ გაემართა. ჟურნალისტებმა შენიშნეს, რომ კლუბის მმართველები პრეზიდენტის კაბინეტის კართან ერთმანეთის მიყოლებით ჩნდებოდნენ. რა თქმა უნდა, უმალ იფიქრეს, რომ ისინი მთავარი მწვრთნელის ბედის გადასაწყვეტად იკრიბებოდნენ და პირდაპირი რადიო ჩართვებით დიდი აჟიოტაჟი ატეხეს. ბუნებრივია, კორესპონდენტები პრეზიდენტის კაბინეტთან იქამდე იცდიდნენ, მანამ შეხვედრა არ დასრულდა. დირექტორებმა ტერიტორია უკომენტაროდ დატოვეს. პრესასთან საუბარი სენიორ **ედუარდო ბანდრესსაც** არ სურდა, მაგრამ იძულებული გახდეს, საზოგადოებისთვის ინფორმაცია მიეწოდებინა: "ვიქტორ ფერნანდესი გავათავისუფლეთ. მისი შემცვლელი ჯერ არ გვყავს შერჩეული. ახლა მეტს ვერაფერს მოგახსენებთ. ხვალ საგანგებო პრესკონფერენციას გავმართავთ და უფრო ამომწურავად ვისაუბრებ."

შეუპოვარმა ჟურნალისტებმა "სარაგოსის" პრეზიდენტის წინადადება არ მიიღეს. მათ მეორე დღემდე მოცდა არ სურდათ და კატეგორიულად მოითხოვეს, რომ პრესკონფერენცია იმავე ღამით გამართულიყო. ბატონმა ედუარდომ მოთხოვნა დააკმაყოფილა, თუმცა მედიასთან შეხვედრა ვიქტორ ფერნანდესის ბოლო პრესკონფერენციის შემდეგ დანიშნა.

როგორც ხვდებით, საპრესკონფერენციო დარბაზის მიღმა მოვლენები დუღდა. რაოდენ დაუჯერებლადაც არ უნდა ჟღერდეს ვიქტორ ფერნანდესმა მისი გადაყენების შესახებ ყველაზე გვიან გაიგო. მაშინ, როცა ედუარდო ბანდრესი კოლეგებთან ერთად კაბინეტში გახლდათ შეკეტილი სენიორ ფერნანდესი მატჩისშემდგომ პრესკონფერენციას მართავდა და დარბაზში მყოფ ჟურნალისტთა მეორე ნაწილს მოსაზრებებს უზიარებდა: "შეხვედრის შედეგით იმედგაცრუებული ვარ. მიმაჩნია, რომ გამარჯვებას ვიმსახურებდით. უიღბლობისა და დაცვაში დაშვებული რამდენიმე შეცდომის გამო ორი ქულა დავკარგეთ. შეუძლებელია, ყაიმით "სარაგოსის" რომელიმე წევრი კმაყოფილი დარჩენილიყო. სამწუხაროდ, გუნდს თავდაჯერება და სტაბილურობა აკლია. დამეთანხმებით, შეხვედრის სხვადასხვა მონაკვეთი განსხვავებულად ჩავატარეთ. იყო ეპიზოდები, როცა "მალიორკას" ყველანაირად ვჯობნიდით. მეტსაც ვიტყვი, სტუმრებს ვჩაგრავდით, მაგრამ ზოგჯერ ინიციატივას უმტკივნეულოდ ვკარგავდით და მოწინააღმდეგეს სახიფათო იერიშების ორგანიზების შესაძლებლობას ვაძლევდით. ვფიქრობ, სწორედ ეს არის ჩვენი მთავარი პრობლემა. ყველაზე მეტად მეორე ტაიმში გაგვიჭირდა. ვერ ვიტყვი, რომ ეს დაღლის ბრალი იყო. ალბათ, უფრო ფსიქოლოგიური ხასიათის დაბრკოლებებს გადავეყარეთ. საფინალო სასტვენზე ფიქრი ძალიან ადრე დავიწყეთ. თითქოს ბრძოლისუნარიანობა და შემართება დავკარგეთ. ვწუხვარ მომხდარის გამო და გულშემატკივრებს ჩემი და შეგირდების სახელით ბოდიშს ვუხდი. მიუხედავად ყველაფრისა, ფარ-ხმალი არ უნდა დავყაროთ. დროა, "სარაგოსამ" დიდი ხნის ნანატრი გამარჯვება მოიპოვოს. ხვალიდანვე დავიწყებთ იმაზე მუშაობას, რომ მომავალ უქმეებზე აქტივს სამი ქულა შევმატოთ."

ფერნანდესმა ამით დაასრულდა და გასასვლელისკენ გაემართა. გზად "დიარიო მარკას" კორესპონდენტმა შეაჩერა და უთხრა: "ვიქტორ, ჩემმა კოლეგამ ეს-ესაა დამირეკა და მომახსენა, რომ დირექტორატმა მთავარი მწვრთნელის პოსტიდან გადაგაყენათ". ძნელი წარმოსადგენი არ უნდა იყოს, როგორ გამომეტყველებას მიიღებდა სენიორ ფერნანდესი. მისი პასუხი ძალიან მოკლე იყო: "მართლა? დაგემშვიდობებით და სიტუაციის გასარკვევად პრეზიდენტს მოვნახავ."

დაახლოებით ათ წუთში საპრესკონფერენცია დარბაზში "სარაგოსის" პრეზიდენტი ედუარდო ბანდრესი შევიდა. გამომდინარე იქიდან, რომ უკვე გვიანი ღამე იყო, მხარეებს დრო არ დაუკარგავთ და დაუყოვნებლივ კითხვა-პასუხზე გადავიდნენ. თავდაპირველად პრეზიდენტმა ფერნანდესის გათავისუფლების შესახებ ოფიციალური განცხადება გააკეთა: "შეხვედრის დასრულებისთანავე დირექტორატის წევრებს შევხვდი. ერთსულოვანი გადაწყვეტილების საფუძველზე ვიქტორ ფერნანდესი გავათავისუფლეთ. ყოველთვის ძნელია მწვრთნელს უთხრა, რომ ის გუნდში აღარ მუშაობს. განსაკუთრებით მაშინ, როცა საქმე სენიორ ფერნანდესს ეხება. ის ხომ "სარაგოსისთვის" უძვირფასესი ადამიანია. მერწმუნეთ, ამ ნაბიჯის გადადგმა წარმოუდგენლად გაგვიჭირდა, მაგრამ ჩავთვალეთ, რომ სხვა გზა უბრალოდ აღარ გაგვაჩნდა. საჭიროა, გუნდის განვითარების დინამიკა გამოცოცხლდეს. სამწუხაროდ, ბოლო თვეებია სიტუაცია უარესობისკენ იცვლება. ცხადია, პრეზიდენტი და დირექტორები მტკივნეულ რეალობას ვერ შეეგუებოდნენ. ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, მართლაც ურთულესი გადაწყვეტილება მივიღეთ. მიუხედავად იმისა, რომ ვიქტორი გავუშვით მას ნებისმიერ დღეს შეუძლია სახლში მოვიდეს. მე ასე ვიტყოდი, ფერნანდესი გავუშვით, მაგრამ არ გაგვიშვია. "სარაგოსა" ამ კაცის მეორე სახლია. ასე რომ, მართლაც ყოველთვის შეუძლია, ოფისში, ბაზაზე, ან სტადიონზე მოვიდეს. მისი დანახვა ყოველთვის გაგვიხარდება."

პრესკონფერენციაზე გაირკვა, რომ არაგონული კლუბის ხელმძღვანელობას ფერნანდესის შემცვლელი მართლაც არ ჰყავთ მოძიებული: "სრული პასუხისმგებლობით შემიძლია განვაცხადო, რომ რეისთვის არც ერთი მწვრთნელი არ გვყავს შეგულებული. შესაძლოა, ვინმემ უპასუხისმგებლობაში დაგვდოს ბრალი, მაგრამ უნდა გაგვიგონ. ფაქტობრივად ფორსმაჟორულ სიტუაციაში მოგვიხდა გადაწყვეტილების მიღება. სამწვრთნელო შტაბი საკმაოდ ფართოა და მანამ ახალ მთავარ მწვრთნელს ვიპოვნით, გუნდს ისინი ერთობლივად მოამზადებენ. გუნდი ძლიან რთულ და დელიკატურ სიტუაციაში იმყოფება. იმედია, გულშემატკივრები სიმშვიდეს არ დაკარგავენ და ვითარებას კიდევ უფრო არ დაძაბავენ. მეგობრებო, მოდით ერთად დგომითა და ერთად ბრძოლით გადავლახოთ ეს რთული პერიოდი. სხვა მწვრთნელთან წინასწარ მოლაპარაკებებს იმ მარტივი მიზეზის გამო არ ვაწარმოებდით, რომ გვსურდა ფერნანდესისთვის დრო მიგვეცა. რა თქმა უნდა, არაეთიკური იქნებოდა მის ზურგს უკან რომელიმე მწვრთნელთან რომ გველაპარაკა. მოკლედ, ახლა მთავარია მშვიდად ვიყოთ და ყველაფერი კარგად იქნება."

გუშინ ესპანურ სპორტულ გაზეთებში ვიქტორ ფერნანდესის შესაძლო შემცვლელებზეც დაიწერა. "დიარიო მარკას" ინფორმაციით ორშაბათ დილას პრეზიდენტმა **ვისენტე დელ ბოსკეს** დაურეკა. მადრიდული გაზეთის მტკიცებით, სამეფო კლუბის ყოფილი დამრიგებელი არაგონელთა უპირველესი სამიზნეა, თუმცა ისინი თავს იზღვევენ და პარალელურად **ხავიერ კლემენტესთანაც** დაიწყეს მოლაპარაკება. სავარაუდოა, რომ დანიშვნა კვირის ბოლომდე მოხდება. "სარაგოსას" დასაკარგი დრო მართლაც არ გააჩნია. მართალია, ვიქტორ ფერნანდესის მუშაობით ყველა უკმაყოფილო დარჩა, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ უმწვრთნელო კლუბი კიდევ უფრო მწვავე პრობლემებს გადაეყრება.

**p.s.** გუშინვე გვიან ღამით ესპანურმა სააგენტოებმა გაავრცელეს ინფორმაცია იმის შესახებ, რომ სარაგოსის მთავარ მწვრთნელად გუნდის ყოფილი ფეხბურთელი, 38 წლის ანდერ გაეტანო დაინიშნა. ის არაგონელთა ერთ-ერთი ახალგაზრდული გუნდის დამრიგებელი იყო. გარიტანოს "სარაგოსაში" ფეხბურთელის რანგში ექვსი სეზონი გაატარა, შემდეგ კი მწვრთნელობას მოჰკიდა ხელი. სულ ბოლოს შეგახსენებთ, რომ ვიქტორ ფერნანდესის ხელმძღვანელობით, "სარაგოსამ" 1994 წელს ესპანეთის სამეფო თასი მოიპოვა, ხოლო 1995 წელს ევროპის თასების მფლობელთა თასი. 1997 წელს მან გუნდი დატოვა და "ტენერიფეში", "სელტაში", "ბეტისსა" და "პორტუში" იმუშავა. 2006 წელს ფერნანდესი არაგონიაში დაბრუნდა, თუმცა წარმატებებს ველარ მიაღწია.



ჟოან ლაპორტა და რონალდინიო

ბარსელონა

# ლაპორტას უპრეცედენტო გადაწყვეტილება

## პრეზიდენტმა რონალდინიოს ამერიკელი კერძო ექიმი დაუქირავა

გასულ შაბათ "ბარსელონამ" "კამპ ნოუზე" "მურსიას" ტყავი გააძრო. კატალონიელებმა 4:0 გაიმარჯვეს. ესპანური ფეხბურთის გულშემატკივრებმა კარგად იციან, რომ იმ პაექრობაში რონალდინიოს მონაწილეობა არ მიუღია. ბრაზილიელს ერთი კვირის წინ "მალიორკასთან" გასვლით შეხვედრაშიც არ უთამაშია. ბევრს არ ეჯერა, მაგრამ ხელმძღვანელობა მისი არყოფნის მიზეზად ტრავმას ასახელებდა. როგორც აღმოჩნდა, გაუჩოს მართლაც ტკიოდა ფეხი. კვირას მან 2008 წლის პირველი ვარჯიში ჩაატარა. სამხრეთამერიკელი ინდივიდუალურად ემზადებოდა. ბოლო დროს გახშირებული ტრავმებით შეწუხებულმა **ჟოან ლაპორტამ** უპრეცედენტო გადაწყვეტილება მიიღო და "ბარსას" სუპერვარსკვლავს კერძო ექიმი დაუქირავა. ჯერ-ჯერობით მის ვინაობას არ ამხელენ, თუმცა კატალონიური პრესისთვის ცნობილი გახდა, რომ ლაპორტამ გაუჩოს ძალიან ძვირადანაზღაურებადი ამერიკელი ტრავმატოლოგი ჩამოუყვანა. კოლეგიალობის პრინციპების გათვალისწინებით, სტუმარმა პრეზიდენტს სთხოვა, რომ ნებისმიერ დიაგნოსტიკურ პროცედურას "ბარსელონის" ექიმები დაესწრონ. მისი აზრით, ასე ბევრად უკეთეს შედეგს მიიღებენ. სენიორ ლაპორტა გადაწყვეტილების სისწორეში 100 პროცენტითაა დარწმუნებული: "ჩვენს სამედიცინო შტაბში არანაირი ეჭვიანობის მომენტი არ არსებობს. ექიმებს პირადად ვესაუბრე და ჩემი ჩანაფიქრი გავუმხილე. ისინი უდიდესი პროფესიონალები არიან და წინადადება სიხარულით მიიღეს. არ არსებობს ნამდვილი ექიმი, რომელსაც კოლეგის ეშინია. მათ მითხრეს, ძალიან კარგი აზრია. უცხო ექიმი ყველაფერს ინდივიდუალური თვალით შეხედავს და ერთობლივი მსჯელობით რონალდინიოს რეაბილიტაციისთვის საუკეთესო გზას მოვნახავთო. აი, ეს არის პროფესიონალიზმი. მადლობელი ვარ ჩვენი ექიმების. მჯერა, გაუჩო მალე ყველა პრობლემას დაძლევს და მთელი ძალით ივარჯიშებს. დასაკარგი დრო აშკარად არ გაგვაჩნია."

პრეზიდენტის მიერ გადადგმული ნაბიჯით თავად ფეხბურთელიც კმაყოფილია: "მადლობის მეტი რა მეთქმის. როგორც გავიგე, უცხო ექიმს საკმაოდ სოლიდური თანხა გადაუხადეს. ეს ჩემი კეთილდღეობისთვის კეთდება. ბოლო დროს სახსრებისა და კუნთების ტკივილმა შემაწუხა. საგანგაშო არაფერია. მედიკოსები ზუსტ დიაგნოზს დამისვამენ და დროულად მიმკურნალებენ. პირველი წრე გაილია. "ბარსა" "რეალს" შვიდი ქულით ჩამორჩება. ნამიც აღარ უნდა დავკარგოთ და დანაკლისის ანაზღაურება შევძლოთ."

ლეგიონერები

# სამნი მეორე ეტაპზე

**საფრანგეთის** სარაგბო ჩემპიონატის ფედერალ 1 დივიზიონის რეგულარული გათამაშების დასრულებამდე სამი ტური დარჩა. უკვე გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ ქართველ მორაგბეთა სამმა გუნდმა "ბობინიმ", "ორლეანმა" და "პერიგომ" მეორე ჯგუფურ ეტაპზე თამაშის უფლება მოიპოვა.

**A ჯგუფში** უწინდებურად **შალვა სუთიაშვილისა და დავით გასვიანის** "ბობინი" ლიდერობს, რომელმაც მე-11 ტურში სტუმრად დაამარცხა **ირაკლი აბუსერიძის** "ორლეანი" 15:13. სუთიაშვილმა თავიდან ბოლომდე ითამაშა, გასვიანი განაცხადში არ იყო. ძირითად შემადგენლობაში იყო აბუსერიძე, რომელიც 72-ე წუთზე შეცვალეს.

შემდეგ ეტაპზე მოხვედრის შანსს ინარჩუნებს **სოსო ნიკოლაენკოს** "რუენი", რომელმაც სტუმრად სძლია აუტსაიდერ "პუატიეს" 14:3. ნიკოლაენკოს თამაშში მონაწილეობა არ მიუღია.

დივიზიონში დარჩენისთვის მოუწევს ბრძოლა **სანდრო ესაკიას** "სენ ნაზერს", რომელმაც სტუმრად წააგო მინიმალური ანგარიშით 15:16 "ტურთან". ასევე უშანსოდაა **დიმა ხოჭოლავას** "სერჟი პონტუაზი" მიუხედავად იმისა, რომ შინ დაამარცხა "ვანი" 17:10.

**ფედერალ 1. XI ტური. A ჯგუფი. ორლეანი-ბობინი 13:15, ტური-სენ ნაზერი 16:15, პუატიე-რუენი 3:14, სერჟ პონტუაზი-ვანი 17:10.**

**1. ბობინი-41 ქულა, 2. ორლეანი-36, 3. ტური-31, 4. რუენი-25, 5. ვანი-24, 6. სენ ნაზერი-16, 7. სერჟი პონტუაზი-16, 8. პუატიე-11.**

**B ჯგუფში** მეორე ეტაპზე გასვლის შანსს ხუთი "ქართული გუნდიდან" სამი ინარჩუნებს. 11 ტურის შემდეგ ყველაზე უკეთესი მდგომარეობა მათ შორის **რატი ურუშაძის** "ლონსს" აქვს, რომელმაც საკუთარ მოედანზე ერთ-ერთ უმთავრეს კონკურენტ "დიჟონს" სძლია 17:13. ურუშაძე 63-ე წუთზე შეცვალეს.

"ლონსს" ფეხდაფეხ მისდევენ "დომონი" და "მასი". **ზურაბ მჭედლიშვილის, ალექსანდრე მარგველაშვილისა და გიორგი ნემსაძის** "დომონმა" შინ დაამარცხა **ელიზბარ ყუფარაძის** "ვილერბანი" 24:12. პარიზელთა რიგებში მჭედლიშვილმა თავიდან ბოლომდე ითამაშა. მარგველაშვილი68-ე წუთზე, ხოლო ნემსაძე 57-ე წუთზე შეცვალეს. ყუფარაძე თამაშში მე-60 წუთიდან ჩაერთო.

სტუმრად "შალონთან" ფრეს დასჯერდა **ვიქტორ დიდებულიძის, გიორგი ჩხაიძისა და დავით დადუნაშვილის** "მასი" 14:15. დიდებულიძე 46-ე წუთზე შეცვალეს, დადუნაშვილი კი ერთი წუთით ადრე, ჩხაიძემ თავიდან ბოლომდე ითამაშა. სტუმრადვე დამარცხდა გათამაშების ლიდერ "ბურგ ან ბრესთან" **პალიკო ჯიმშელაძის** "შამბერი" 6:0. პალიკო განაცხადში არ იყო.

**B ჯგუფი. დომონი-ვილერბანი 24:12, ბურგ ან ბრესი-შამბერი 6:0, ლონსი-დიჟონი 17:13, შალონი-მასი14:14.**

**1. ბურგ ან ბრესი-35 ქულა, 2. შალონი-30, 3. დიჟონი-27, 4. ლონსი-26, 5. დომონი-25, 6. მასი-25, 7. ვილერბანი-20, 8. შამბერი-14.**

**C ჯგუფში** ზედიზედ მესამე გამარჯვება მოიპოვა **დიმა პავლოვის** "ნიცმა" და შემდეგ ეტაპზე გასვლის შანსი გაუჩნდა. "ნიცმა" შინ "ექსის" დამარცხება შეძლო 12:3. პავლოვი განაცხადშიარ იყო. ნიცელები ახლა 23 ქულით მე-6 ადგილზე არიან და მეოთხეადგილოსან "რომანს" ორი ქულით ჩამორჩება.

პირველი გამარჯვება მოიპოვა D ჯგუფში მოასპარეზე **ირაკლი გუნდაშვილის** "მიომ", რომელმაც შინ დაამარცხა "გროლე" 10:8. გუნდაშვილმა თავიდან ბოლომდე ითამაშა. მისი გუნდი კი 10 ქულით ისევ ბოლო ადგილზეა.

შემდეგ ეტაპზე თამაშის უფლება უკვე მოიპოვა **თედო ზიბზიბაძის** "პერიგომ", რომელმაც შინ დაამარცხა "მორლაა" 19:13. ზიბზიბაძემ თავიდან ბოლომდე ითამაშა. "პერიგოს" 35 ქულა აქვს და სატურნირო ცხრილში მე-2 ადგილზეა.

**ფედერალ 2-ის** A ჯგუფში კვლავ ძლევამოსილად ასპარეზობს **დავით ბოლღაშვილის** "ლილი", რომელმაც მე-11 ტურში სტუმრად გაიმარჯვა "არასთან" 18:15. "ლილი" 30 ქულით პირველ ადგილზეა.

C ჯგუფში სტუმრად "ვილფრანშთან" წააგო **რეზო გიგაურისა** და ლევან დათუნაშვილის "მონლუსონმა" 10:16. ჩვენებურთა გუნდმა 25 ქულა დააგროვა და მე-3 ადგილზეა.

24 ქულით მეოთხეა H ჯგუფში **ბადრი ხეხელაშვილის** "კონიაკი", რომელიც ამჯერად სტუმრად დამარცხდა "ლარმონთან" 13:28.

**ბესიკ ჯანგავაძე**



შალონი-მასი



იანვრის ბაშო

# მარცხი და ტრავმა ტრიუმფის მერე



კოკაი

პირველი ტრიუმფალური დღის შემდეგ გუშინ ქართველებს იანვრის ბაშოზე ცუდი დღე ჰქონდათ - პირველად წააგო ძურიოს დივიზიონის დებიუტანტმა **ლევან გორგაძემ (ტოჩინოშინი)** და დამარცხდა **ლევან ცაგურიაც (კოკაი)**, მეტიც პირველმა ევროპელმა პროფესიონალმა ტრავმა მიიღო და მისი ასპარეზობა ამ ბაშოზე ეჭვქვეშ დადგა.

კოკაის მეტოქე 22 წლის მონღოლი **კაკურიუ** იყო, შეტევის დროს კოკაის მარცხენა ფეხის ცერა თითის ფრჩხილი მოსტყდა, რამაც ის შესამჩნევად შეაფერხა, რითაც კაკურიუმ უმალ ისარგებლა და მავაშით შესანიშნავი ილეთი ჩაუტარა ქართველს. დღეს კოკაის მეტოქე ჯუჯა-გოლიათი - **ტაკეკაძე** იქნება (ტაკეკაძე სულ 171 სმ. სიმაღლისაა და 145 კილოს იწონის). თუმცა შეძლებს კი კოკაი დოჰიოზე გასვლას, ჯერ უცნობია.

ძურიოს დივიზიონში პირველი მარცხი იგემა ტოჩინოშინმა, მან 25 წლის **კიტატაიკისთნ** წააგო იორიკირით. ლევანის შემდეგი მეტოქე 23 წლის მე-14 ძურიო **ვაკაკოიუ** იქნება. ქართველმა აუცილებლად დადებითი ბალანსით უნდა დაასრულოს ბაშო, წინააღმდეგ შემთხვევაში ის ძურიოს დივიზიონიდან გავარდა.

გუშინ ერთმა ქართველმა მაინც მოიგო - მაკუშიტას (მესამე) დივიზიონში დაბრუნებულმა 20 წლის **თეიმურაზ ჯუღელმა (ოშიდაში)** ოშიდაშით **მინამინოშიმა** დაამარცხა, რომელიც, სხვათა შორის, ტონგელია. გაგამარუ მაკუშიტას 35-ე ნომერია.

გუშინ 21 წლის **კისენოსატომ** "კოკუგიკანში" ნამდვილი ფურორი მოახდინა, მან მონღოლი **ასაშორიუ** დაამარცხა და თანამემამულეთა ოვაცია დაიმსახურა. სამაგიეროდ, კვლავ დაუმარცხებელია მეორე იოკოძუნა **ჰაკუჰო**. ტრავმის პირველი მსხვერპლი კი მე-14 მაეგაშირა **შიმოტორი** გახდა.

ნიკოლოზ ნეფარიძე

ჰაცუ ბაშო (იანვრის სუპერტურნირი)
13-27 იანვარი, ტოკიო (იაპონია)

**მაკუუჩი**

II დღე. მნიშვნელოვანი ბრძოლები: კოკაი-კაკურიუ 0:1 (მიტატედაშენაგი), კისენოსატო-ასაშორიუ 1:0, ჰაკუჰო-ტოკიტენკუ 1:0, კოტომიცუკი-დეჯიმა 1:0, კოტოშოგიკუ-კაიო 1:0, ტოიონოშიმა-კოტოოშუ 1:0, მიაბიამა-ჩიოტაიკაი 1:0, ამა-გოეიდო 1:0, ამინიშიკი-ტოჩინონადა 1:0, ასასეკირიუ-ტამაკასუგა 1:0, როჰო-ვაკანოსატო 1:0, ჰომაშო-ჰოკუტორიკი 1:0, ტაკეკაძე-ბარუტო 1:0, ტოიოჰიბიკი-ვაკაკირინი 1:0, კიოკუტენჰო-კასუგაო 1:0, ფუტენო-ივაკიამა 1:0.

III დღე. მნიშვნელოვანი წყვილები: კოკაი-ტაკეკაძე, ჰაკუჰო-ტოიონოშიმა, ასაშორიუ-ტოკიტენკუ, კაიო-მიაბიამა, კოტოოშუ-ამა, ჩიოტაიკაი-დეჯიმა, კოტომიცუკი-გოეიდო, ამინიშიკი-ვაკანოსატო, კოტოშოგიკუ-კისენოსატო, როჰო-ტოჩინონადა, ასასეკირიუ-ბარუტო, ჰომაშო-ტამაკასუგა, ჰოკუტორიკი-ტოიოჰიბიკი, კაკურიუ-ვაკანოჰო, კიოკუტენჰო-ვაკაკირინი.

**ძურიო**

II დღე. მნიშვნელოვანი ბრძოლები: ტოჩინოშინი-კიტატაიკი 0:1 (იორიკირი), რიუო-კორიუ 1:0, კასუგანიშიკი-ჩიოჰაკუჰო 1:0, ჰაკუროძანი-ოცუკასა 1:0, ჰოშიჰიკარი-ტოიოძაკურა 1:0.

III დღე. მნიშვნელოვანი წყვილები: ტოჩინოშინი-ვაკაკოიუ, კორიუ-ჩიოჰაკუჰო, რიუო-ჰაკუროძანი, ოცუკასა-საკაიძავა, ჰოშიჰიკარი-კოტოკასუგა.



საქართველოს ჩემპიონატი. ქალები. პირველი ლიგა

# თექვსმეტწლიანთა ტრიუმფი

ბოლო დროს ხშირად გვიწევს16 წლამდელთა მოჭადრაკეებზე წერა. არც არის გასაკვირი - ევროპისა და მსოფლიოს ასაკობრივ ჩემპიონატებში უმთავრესად ამ ასაკში ვიმარჯვებთ. ამჯერად საქართველოს ქალთა ჩემპიონატისპირველ ლიგაზე ვსაუბრობთ, მაგრამ დღეს სწორედ ისინი გვსურს გამოვარჩიოთ, ვინც არაერთხელ გამხდარა ჩვენი წერილების გმირი. საქმე ის არის, რომ გუშინ, მეხუთე ტურში ერთობ იყოჩაღეს თინეიჯერებმა და მათ შორის **სოფიკო გურამიშვილს, სალომე ხაჟომიას და ქეთი ნანალაშვილის** შედეგები უდავოდ იმსახურებს განსაკუთრებულ ყურადღებას. ვიდრე დავკონკრეტდებით, შევნიშნავთ, რომ გურამიშვილი პირველ იანვარს გახდა 17 წლის, ნანალაშვილი თექვსმეტის10 ივნისს შესრულდება, ხოლო სამი დღის შემდეგ, 13 ივნისს, 17 წლის მოიყრება ხაჟომია. ამიტომ ამათ პირობითად გავაერთიანებთ თექვსმეტწლიანებში, რადგანაც ჯერ კიდევ ორიოდ თვის წინ მსოფლიოს ჩემპიონატში ერთად თამაშობდნენ.

ოთხი ტურის შემდეგ სამივეს სამი ქულა ჰქონდა და წილისყრამ, რომელიც რის ვაი-ვაგლახით გაკეთდა (მიზეზზე გუშინ ვწერდით), სამივეს ფავორიტები შეახვედრა: ხაჟომია მეორე დაფაზე თეთრებით **თამარ წერეთელს** უნდა დაპირისპირებოდა, მესამე დაფაზე ასევე თეთრებით გურამიშვილი **ინგა ხურცილავას** წინააღმდეგ იბრძოლებდა, ხოლო ნანალაშვილის მეტოქე **მაკა ფურცელაძე** იყო; თეთრები აქ უფრო გამოცდილ მეტოქეს ერგო.

ამ სამეულში ყველაზე სწრაფად ხაჟომია-წერეთელის პარტია დასრულდა. თეთრებით მოთამაშე სალომემ დებიუტიდანვე იგდო ინიციატივა ხელთ, პაიკიც მოინადირა და ენდშპილში კუ და მხედარის უპირატესობა ჰქონდა ეტლთათნ. ასეთი პარტიის მოგება რთული არ არის, მით უფრო, როცა გამსვლელი პაიკი იოლად მიიწევს მერვე ჰორიზონტისკენ, თუმცა ტექნიკური უნარ-ჩვევები კი საჭიროა და თუკი კარგად არ მფლობს ამ ხერხებს, არ არის გამორიცხული, სათანადო სარგებელი ვერ ნახო. სალომემ უშეცდომოდ წარმართა პარტიის დასკვნითი ნაწილი და გაიმარჯვა. მისი მოგება, ცხადია, მოულოდნელ შედეგად ჩაითვალა, მაგრამ თუკი სალომეს ნიჭიერებას მივიღებთ მხედველობაში, არც არაფერია გასაკვირი; ერთია მხოლოდ: დასთან, ანუკისთან ერთად სრულფასოვან და მაღალკვალიფიციურ წვრთნას უსახსრობის გამო ვერ გადის და ეს ფაქტორი უშლის ხელს უფრო წარმატებული კარიერის შექმნაში...

საბედნიეროდ, ასეთი პრობლემები არ აწუხებს სოფიკო გურამიშვილს, მაგრამ მარტო წვრთნა რომ საქმეს ვერ შველის, კარგად მოგვეხსენება, - სოფოს ნიჭიც არ აკლია ტიტულებიც უხვალ დაგროვებია. ამ ეტაპზე მისი ყველაზე დიდი სურვილი, სწორედ რომ პირველ ლიგაში წარმატებული თამაშია, რათა უმაღლესში ასპარეზობის უფლება მიიღოს, - სოფოს ზედიზედ რამდენიმე წელი ერთი ნაბიჯი აკლდებოდა უმაღლესში მოსახვედრად. ინგა ხურცილავა, წინა წერილებში მოგახსენეთ, რამდენიმე წელი საბერძნეთში ცხოვრობდა და აქტიურ ჭადრაკს ჩამოშორებული იყო. ახლა დაბრუნდა სამშობლოში და ჭადრაკში დაბრუნებაც მოისურვა, რაც მშვენიერი გადაწყვეტილებაა - იგი თავისი თაობის, ერთ-ერთი ლიდერი იყო და თუ ძალებს ალიდგენს, კონკურენციაც მოიმატებს. რეიტინგით ინგა ტურნირზე მესამეა - 2312 ქულა აქვს; გურამიშვილი მეოთხეა 2300 ქულით. ამ ფაქტორით თითქმის არ უნდა იყოს სოფოს გამარჯვება მოულოდნელი, მაგრამ გამოცდილებაც რომ ბევრ რამეს წყვეტს, არაერთგზის გვიხილავს. ამჯერად გამოცდილებამ ვერ გაჭრა: სოფომ დებიუტიც ზუსტად გაითამაშა, შუა თამაშიც შესანიშნავად წარმართა და ისე აჯობა მეტოქეს, მცირე შანსიც კი არ მიუცია.

აბსოლუტურად საპირისპირო ვითარება იყო ფურცელაძე-ნანალაშვილის პარტიაში. აქაც თეთრებმა აიღეს უპირატესობა ხელში და თამაშში აბსოლუტურად მოგებული პოზიცია მიიღეს, - შავებს მხოლოდ თავის გადარჩენაზე ფიქრი დარჩენოდათ და ისიც "სხვა ძალთა" დახმარებით თუ მიიღწეოდა. ზემოთ გამოცდილებაზე ვთქვით და ვნახეთ, რომ ხურცილავას ამან ვერაფერი არგო, მაგრამ ინგას უარესი პოლიცია ჰქოპდა და წაგება გასაგებია - მეტოქემ შეცდომა არ დაუშვა. ფურცელაძის შემთხვევაში კი, თავად ფლობდა უდიდეს უპირატესობას უფრო გამოცდილი მოჭადრაკე და რატომ ვერ უნდა მიეყვანა პარტია გამარჯვებამდე?! არ ვიცი, რა მოხდა, მაგრამ მაკამ შესანიშნავი მიტელშპილის შემდეგ ენდშპილში გადასვლა უარესი ვარიანტით მოისურვა და ინიციატივა ხელიდან გამოეცალა. არც მას შემდეგ იყო პარტია წაგებული და ყაიმის გაკეთება შეეძლო, მაგრამ ვერც ეს გზა დაინახა თავი უარეს მდგომარეობაში ჩაიგდო. ქეთიმ ბოძებული შანსები კარგად გამოიყენა და უმნიშვნელოვანესი გამარჯვება მოიპოვა. ახლა სამივეს ოთხი ქულა აქვს და მეორე-მეექვსე ადგილებს იყოფენ **ინგა ჭარხალაშვილი და სოფიკო ნიკოლაძესთან** ერთად. ნიკოლაძემ კვლავ არ წააგო, მოიგო და ლიდერებშია, ჭარხალაშვილმა კი თეთრებით **ბელა ხოტენაშვილთან** დიდად არ გადადო თავი და სწრაფად შეუთანხმდა ყაიმზე.

ეს დაპირისპირება ყველაზე საინტერესო უნდა გამხდარიყო, მაგრამ ჯერ ერთი, რომ ძალიან ცივა და თამაში რთულია და მეორე: მთავარი მიზანი პირველ შვიდეულში მოხვედრა როცაა, მეხუთე ტურში ნახევარი ქულის შემატება ორივე მხარეს აწყობს... სხვა საქმეა, მეექვსე ტურში რას იზამენ და გულზე ხომ არ დაადგებათ გუშინდელი მშვიდობიანი მოლაპარაკება - ორივეს მეტოქედ ამბიციური, უკვე ნახსენები თექვსმეტწლამდელები ჰყავთ და იოლად რომ ვერ გავლენ, უკვე ცხადია. ბელა ხოტენაშვილი თეთრებით სოფიკო გურამიშვილს ხვდება, ჭარხალაშვილი კი შავებით ქეთი ნანალაშვილს დაუპირისპირდება . სალომე ხაჟომიას მეტოქე **ეკა გოგლიძეა** და თეთრებიც მისი არჩივია. სხვათა შორის, გოგლიძეც 16 წლის არის და 17-ის ივნისში, კერძოდ 28-ში შესრულდება. მისი კარგი თამაშიც მოულოდნელობების რიგშია ჩასაყენებელი. **რეიტინგი ძალიან პატარა აქვს - 1851 და განთესვით 28-ეა.** თანატოლთა **დაპირისპირება ძალიან საინ**ტერესო იქნება, თუმცა გავბედავთ პროგნოზირებას და წარმატებას ხაჟომიას ვუწინასწარმტყველებთ...

თექვსმეტწლიანთა "ერთობის" მთავარი კანდიდატია **ფატი რიჟამაძეც**, რომელმაც მეხუთე ტურში შავებით აჯობა ერთ-ერთ ფავორიტს, **ანა გავაშელს** და სამი ქულა გაუხდა. დღეს ის მეექვსე დაფაზე თეთრებით **ნინო ბაციაშვილს** შეხვდება. თუ მოიგო, დიდი შანსი ეძლევა შვიდეულში შესასვლელად.

ბოლოს იმ პრობლემის გადაჭრაზეც მოგახსენებთ, რაც ორი დღე აწუხებდათ მონაწილეებს - სასახლეში ელექტროენერგიის მოწოდება აღსდგა და ქურებიც ჩაირთო, რამაც შედარებით გაათბო დარბაზი. როგორც გუშინ ვივარაუდეთ, პრობლემა რთული არ გახლდათ, მაგრამ შაბათ-კვირის გამო თელასმა საჭირო მუშა ჯგუფი ვერ მოავლინა. შუბის აღდგენამ ტურნირის ტექნიკური მხარეც მოაწესრიგა და წილისყრა დროზე გაკეთდა.

მეექვსე ტური, პირველი ათი დაფა: **ბელა ხოტენაშვილი (4.5)-სოფიკო გურამიშვილი (4); ქეთი ნანალაშვილი (4)-ინგა ჭარხალაშვილი (4); სოფიო ნიკოლაძე (4)-ნონა დათუაშვილი (3.5); სალომე ხაჟომია (4)-ეკა გოგლიძე (3); თამარ წერეთელი (3)-მარიამ დანელია (3); ფატი რიჟამაძე (3)-ნინო ბაციაშვილი (3); ინგა ხურცილავა (3)-ანუკი ხაჟომია (3); ლელა უგულავა(3)-მაკა ფურცელაძე (3); ნათია ჯალაბაძე (3)-სოფიკო ტერელაძე (3); ალექსანდრა ვახანია (2.5)-თინათინ ბერიძე (2.5).**

**ზვიად შათირიშვილი**

ზურაბ საკანდელიძისა და მიხეილ ქორქიას მემორიალი

# რატომ ქუთაისში არ ვთამაშობთ?

დღეს რუსთავის "აზოტის" დარბაზში ქორქია-საკანდელიძის მესამე მემორიალი დაიწყება. ტურნირში სუპერლიგის ექვსივე კლუბი ჩაერთვება - "ენერჯი", "ავიამშენი", თსუ, "დინამო", "მაკაბი" და "ვითა".

აქამდე გამართული ორი მემორიალი რუსთავში გაიმართა და ადგილობრივი გუნდის გამარჯვებით დასრულდა. იმასაც გეტყვით, რომ შარშან "ენერჯიმ" ფინალში თსუ 95:75 დაამარცხა. ტურნირის საუკეთესო უკანახაზელად ლაშა გამყრელიძე დასახელდა, ხოლო საუკეთესო წინახაზელად - დავით უგრეხელიძე (რომელმაც ფინალში 18 ქულა და 13 მოხსნა გააკეთა).

გუშინ, კლუბ "12 მაგიდაში" მემორიალის მონაწილე გუნდების მწვრთნელები შეიკრიბნენ. მათ საკუთარი გუნდებში მომხდარ ცვლილებებსა და მიზნებზე ისაუბრეს.





**პრესკინფერენცია "ავიამშენის" მეორე მწვრთნელმა ვაჟა მხეიძემ საჭირბოროტო თემით გახსნა:**

- ჩემი აზრით, მიხეილ ქორქიასა და ზურაბ საკანდელიძის მემორიალი რუსთავის ნაცვლად მათ მშობლიურ ქალაქში ქუთაისში უნდა გამართულიყო. აქამდე სათანადო დარბაზი არ იყო, მაგრამ სადღეისოდ ქუთაისის არენა აღდგენილია და დარბაზიც ბოლომდე შეივსებოდა. ქუთათურებს კალათბურთი უყვართ. იმედი დავიტოვოთ, რომ ქუთაისის მერია ამ საკითხით სათანადოდ დაინტერესდება და მომდევნო მემორიალი იმერეთის დედაქალაქში გაიმერთება. ახლა რაც შეეხება "ავიამშენს". გუნდში ერთი ახალწვეულია - რიჩარდ მათიაშვილი. იგი თსუდან გადმოვიყვენეთ და ვიმედოვნებთ, რომ დიდ დახმარებას გაგვიწევს. გვაქვს ერთი დანაკლისიც, "ავია" დატოვა დავით ბარბაქაძემ. სადღეისოდ ტრავმირებულები არ გვყავს და ვეცდებით ისეთი კალათბურთი ვითამაშოთ, როგორიც ოლიმპიურ ჩემპიონებს ზურაბ საკანდელიძესა და მიხეილ ქორქიას ეკადრება. ჩვენი მიზანი ტურნირის მოგება იქნება.



პრესკონფერენციაზე

**"ენერჯის" მთავარმა მწვრთნელმა დავით უსტიაშვილმა დამსწრე საზოგადოებას ამცნო, რომ მის გუნდში ყველა მწყობრშია:**

- წინა სეზონის შემდეგ "ენერჯი" რამდენიმე კალათბურთელმა დატოვა და მათი შემცვლელები მოვძებნეთ. საქართველოს ჩემპიონატის საწყის ორ წრეში გუნდი სათანადოდ შეთამაშდა და 10 მატჩი წაუგებლად ჩავატარეთ. გუნდი სათანადო ფორმაშია, განწყობაც საბრძოლოა და ამ მემორიალზე შარშანდელი შედეგის გამეორებას ვეცდებით.

**თბილისის "დინამოს" მწვრთნელმა ზაზა ცაგარეიშვილმა, აღნიშნა, რომ მის გუნდს ფინალში გასვლის კარგი შანსი აქვს:**

- ჩვენს ქვეჯგუფში "ავიამშენი" და თსუ მოხვდნენ. "ავიასთან" ამ შემოდგომით თანაბრად ვთამაშობდით და მემორიალზე მათი დამარცხება რეალურია, თსუ-ს მთავარი მეფარე რიჩარდ მათიაშვილი დააკლდა და არც მათი ძლევა იქნება წარმოუდგენელი. "დინამოში" ყველა ჯანმრთელადაა და რუსთავური მატჩებისთვის სათანადოდაა მზად.

**ტურნირის დებიუტანტის "ვითას" მეორე მწვრთნელმა მიხეილ კობეშავიძემ საუბარი დანაკლისით დაიწყო:**

- მემორიალზე არ გვეყოლება გამთამაშებელი ბექა ნივნივაძე, რომელსაც წელი აწუხებს. მასთან ერთად დაგვაკლდება მეფარე ლუკა ნოზაძე. მან კოჭიდან თაბაშირი ახლახან მოიხსნა და არ ვიცით, როდის შემოგვიერთდება. საქართველოს ჩემპიონატში არ არის ისეთი გუნდი, რომლის ძლევა არ შეიძლებოდეს, ამიტომ ვფიქრობ, რომ "ტურნირის მოგების დიდი შანსი "ვითასაც" აქვს.

**"მაკაბის" მწვრთნელი ჯამლეტ ხუხაშვილი კოლეგებს ოდნავ დაგვიანებით შეუერთდა და პრესკონფერენცია მისი საუბრით დასრულდა:**

- გული მწყდება, რომ ეს მემორიალი ქორქია-საკანდელიძის სახელობის ქუთაისის დარბაზში არ იმართება. სხვა გზა არ გვაქვს, მდგომარეობას უნდა შევეგუოთ და მატჩები რუსთავში ჩავატაროთ. გვაქვს ერთი დანაკლისი, დაგვაკლდა გამთამაშებელი დავით ბერიშვილი, თუმცა, ვერ გეტყვით იგი სად გააგრძელებს კარიერას. მისი ტყუპისცალი ირაკლი ერთი თვის უვარჯიშებელია და ჯერ არ ვიცით ხვალ "ენერჯის" წინააღმდეგ ითამაშებს თუ არა. სამაგიეროდ მწყობრში არიან ძმები შერმადინები. "მაკაბი" შეჯიბრებას მობილიზებული შეხვდება და ვეცდებით ყველა მეტოქეს ღირებული წინააღმდეგობა გავუწიოთ.

**ბოლოს თსუ-ზე, რომლის მთავარი მწვრთნელი ნუგზარ ჭეიშვილი საპატიო მიზეზის გამო პრესკონფერენციაზე ვერ გამოცხადდა. ზემოთ უკვე გითხარით, რომ თსუ-ს ცენტრი რიჩარდ მათიაშვილი გამოაკლდა, ყველა სხვა მწყობრშია და ტურნირის ფავორიტობიდან არც თსუ-ს ჩამოწერა შეიძლება.**

ვაჟა სიმონიშვილი

A ჯგუფი: ენერჯი, მაკაბი, ვითა
B ჯგუფი: ავიამშენი, თსუ, დინამო

**მატჩების განრიგი**

| | |
|---|---|
| **15 იანვარი** | |
| 14:00 | თსუ-დინამო |
| 16:00 | ენერჯი-მაკაბი |
| **16 იანვარი** | |
| 14:00 | ავიამშენი-დინამო |
| 16:00 | ვითა-მაკაბი |
| **17 იანვარი** | |
| 14:00 | ავიამშენი-თსუ |
| 16:00 | ენერჯი-ვითა |
| **18 იანვარი** | |
| 15:00 | ფინალი |

ლეგიონერები

# ელისი ჩაიძირა, ცქიტიშვილიც იძირება

იტალიასა და ესპანეთში, მორიგი ტური "გადააგორეს" **ტაირონ ელისმა და ნიკოლოზ ცქიტიშვილმა**. სამწუხაროდ, საქართველოს ნაკრების ორივე კალათბურთელმა ნაგებულმა დატოვა მოედანი.

ესპანეთში, ტაირონ ელისმა და "კახასოლმა" სტუმრად "უნიკახასთან" დაყარეს ფარ-ხმალი - 77:82. ელისმა 27 წუთი ითამაშა და თუკი საშუალო დისტანციიდან ნორმალურად ისროლა (5-დან 3 ორქულიანი და 7-დან 5 ჯარიმა), პერიმეტრს მიღმიდან აშკარად კოვზი ნაცარში ჩაუვარდა - ექვსივე სროლა ააცილა. ამას გარდა, ტაირონის ანგარიშზე იყო 3 პასი და 1 ჩაჭრა.

17 ტურის შემდეგ, "კახასოლს" მხოლოდ 3 მოგება აქვს, რითაც სატურნირო ცხრილში ბოლოსწინა, მე-17 ადგილზე იმყოფება.

იტალიაში, რომში ჩავიდა ნიკოლოზ ცქიტიშვილის "ტერამო", რომელიც დედაქალაქურ "ლოტომატიკასთან" 61:78 დამარცხდა. ბოლო მეოთხედის წინ, რომაელები გამანადგურებელი სხვაობით იგებდნენ (69:31). მართალია, ტერამოელები დასკვნით ათწუთეულში გამოფხიზლდნენ, მაგრამ მაინც ნაგებულებმა დატოვეს მოედანი.

ქართველმა კალათბურთელმა 24 წუთში 12 ქულა (1-დან 1 ორქულიანი, 4-დან 3 სამქულიანი, 2-დან 1 ჯარიმა) ჩააგდო, რასაც 7 მოხსნა და 1 პასი მიუმატა.

სასტარტო მატჩებში ჩინებულად გარჯის შემდეგ, ტერამოელთა საქმეები ნელ-ნელა უკან მიდის. ცქიტიშვილი და მისი თანაგუნდელები 12-ე ადგილამდე დაეშვნენ და ფლეიოფში გამსვლელ მერვე ადგილამდე 2 ქულა აშორებთ.

კობა ხატისაშვილი



ნიკოლოზ ცქიტიშვილი

ძიუდო. 26-27 იანვარი. თბილისის მსოფლიო თასი

# კედელაშვილმა შეიძლება გაინაღდოს

საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრებმა თბილისის მსოფლიო თასისთვის მოსამზადებელი შეკრება დაიწყო. მიზეზთა გამო, მწვრთნელებს დედაქალაქიდან გასვლა არც უფიქრიათ და გუნდი სასტუმრო "ბატესტაში" დააბინავეს, სავარჯიშოდ კი **გივი კარტოზიას** სახელობის დარბაზი შეარჩიეს. გუნდი ძირითადად ორჯერად ვარჯიშებზეა გადასული, თუმცა შიგადაშიგ, განტვირთვისთვის, შეღავათებიც ექნებათ - ერთხელ ივარჯიშებენ.

**შოთა ხაბარელის** განკარგულებაში 40-მდე სპორტსმენია. ამათგან 28 ტურნირზე იჭიდავებს. შეგახსენებთ, რომ მასპინძელს წონაში 4 ფალავანის დაყენება შეუძლია, ევროპელ სტუმრებს - 2-2-ის, არაევროპელები კი მხოლოდ თითო კაცს თუ გამოიყვანენ. მწვრთნელს ადრე გამოცხადებულ შემადგენლობაში კორექტივის შეტანაც მოუწია - ერთ-ერთ ვარჯიშზე საქართველოს ჩემპიონმა **დავით სვიმონიშვილმა** (60) ფეხი იტკინა და მის ნაცვლად სამბოში მსოფლიოს ჩემპიონი **უშანგი კუზანაშვილი** იჭიდავებს.

შეგახსენებთ, რომ ეს სალიცენზიო ტურნირია, რის გამოც სტუმართა უჩვეულო მოზღვავებაა მოსალოდნელი - სადღეისოდ ჩამოსასვლელად, არც მეტი, არც - ნაკლები, მსოფლიოს 40 გუნდია მზად. მათ შორის, ძიუდოს წამყვანი ქვეყნები თითქმის უძლიერესი შემადგენლობებით. საქართველოს ძიუდოს ფედერაციაში მოსულ წინასწარ განაცხადებში უამრავი სახელოვანი ფალავანია შეყვანილი, რაზეც წინა კვირაში ვწერდით და ახლა არ გავიმეორებთ. მით უფრო, გუნდებში ცვლილებები გამორიცხული არაა, მაგრამ წარმოდგენილთა ნახევარიც რომ ჩამოვიდეს, მაინც ძალზე ძლიერი შეჯიბრება გამოვა. სტუმართა ინტერესი გასაგებია - წლეულს ევროპაში მხოლოდ 5 სალიცენზიო ტურნირია, რასაც ევროპის პირველობაც ემატება, მაგრამ შანსები არც ისე ბევრია. ამიტომ ჩქარობს ყველა, რა შეიძლება ადრე გაინაღდოს ლიცენზია, რომ მერე საოლიმპიადოდ ცოტა დაისვენოს კიდეც და საგანგებოდაც მოემზადოს.

თუმცა ჩვენი ნაკრები ამ ტურნირს შედარებით გულდამშვიდებული ხვდება, რადგან ლიცენზიების პრობლემა მისთვის არც ისე მტკივნეულია - საგზურების უმეტესობა ხომ მსოფლიო პირველობაზე მოიპოვა. ამჟამად ჩვენების განკარგულებაში 5 საგზურია და მოსაპოვებელი მხოლოდ ორია - 66 და 81 კილოგრამ წონით კატეგორიებში. ამათგანაც 66-ში ზაზა კედელაშვილის პოზიციები მეტად მყარია. აქ ულიცენზოთა შორის 170 ქულით ჰოლანდიელი **დაქს ელმონტია**, რომელიც ჰოლანდიელთა სათბილისო განაცხადშია. მეორეზე 130-ით **რუსი ალიმ გადანოვია**, ზაზა კი 124-ით მესამეა. მას კვალში 120-იანი ფრანგი **სებასტიან ბერტელოტი** და 110-იანი გაბერძნებული ქართველი **ტარიელ ზიდირიდისი** (ტარიელ სონიშვილი) უდგანან. რეიტინგში სიმჭიდროვე მხოლოდ ხუთეულშია, თორემ მეექვსეზე მყოფი სერბის - **მილოშ მიალკოვიჩის** აქტივში მხოლოდ 66 ქულაა. ამათგან 60 ქულა ევროპის ჩემპიონატის ფინალში გასვლით მოიპოვა, იქ კი, როგორც გახსოვთ, სწორედ კედელაშვილთან წააგო. ზაზამ ერთი რომელიმე სალიცენზიო ტურნირი რომ მოიგოს, ლიცენზიას საბოლოოდ გაინაღდებს. დაგვეთანხმებით, საშინაო ტურნირის მოგება ბევრად იოლია და მწვრთნელ-შეგირდი სხვა შედეგზე არც ფიქრობენ.

ცოტა უფრო რთულადაა საქმე 81-ში, სადაც სალიცენზიო რეიტინგში 4 ჩვენებურია, თუმცა არც ისე ხვავრიელი მარაგით დაარც მოწინავე პოზიციებზე. მათგან საუკეთესო **გიორგი ბაინდურაშვილია**, რომელიც 52 ქულით მერვეზეა. ამ ოთხეულიდან სამი - ბაინდურაშვილი, **გრიგოლ შინჯიკაშვილი** და **საბა გავაშელიშვილი** თბილისში იჭიდავებენ, მეოთხეს - **ლევან წიკლაურს** კი **გრიგოლ მამრიკიშვილი** შეცვლის. ტრავმამოშუშებულ მამრიკიშვილს ოლიმპიადაზე მოხვედრის შანსი ისევ ეძლევა, წიკლაურს კი სხვა ტურნირზე გამოცდიან.

ამ წონაში ლიცენზიის მოპოვების შანსი ჯერ ისევ გვრჩება, მაგრამ გაგვიჭირდება კი.

**ირაკლი თავაძე**



ზაზა კედელაშვილს პეკინში მოსახვედრად ერთი ტურნირის მოგება სჭირდება

ავტორის ფოტო



# კვლავ უმნიშვნელო ცვლილებები

გუშინ ATP-ის და WTA-ის ახალი რეიტინგ-ლისტები გამოქვეყნდა. **ლადო ჩიხლაძე** კვლავ 370-ე ჩოგანია, 91 ქულით. **ნოდარ ითონიშვილს** 4 ქულა აქვს, ის მსოფლიოს 1215-ე ჩოგანია (-1). **გიორგი ხრიკაძეს** და **გიორგი ჭანტურიას** თითო ქულა აქვთ ისინი 1484-ე ჩოგნები.

ქალთა რეიტინგში **მაკა ჩახნაშვილს** 160 ქულა აქვს, ის მსოფლიოს 184-ე ჩოგანია (+1). სხვები: 285 (-) **ანა ტატიშვილი** - 88 ქულა, 409 (-) **სოფიო შაფათავა** - 46, 514 (-1) **თინათინ ყავლაშვილი** - 31, 592 (-1) **სალომე დევიძე** - 22, 608 (+1) **მანანა შაფაქიძე** - 21, 646 (-) **ოქსანა კალაშნიკოვა** - 18, 692 (-) **სოფიო ქვაცაბაია** - 16, 807 (-) **ეკა გორგოძე** - 10 და 847 (-) **სოფიო მელიქიშვილი** - 9.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



**ავერი მატკავა.** დაიბადა 15.01.1939, ონტოფო, აბაშა. ნიჩბოსნობა ბაიდარით და კანოეთი. ევროპის ჩემპიონატის მესამე პრიზიორი (1965 - ორადგილიანი ბაიდარა, 1000 მ), სსრკ ორგზის ჩემპიონი (1965 - ერთადგილიანი, 1000 მ; 1966 ოთხადგილიანი 10.000 მ), მეორე (1964 - ერთადგილიანი, 1000 მ) და მესამე (1964 - ერთადგილიანი, 10.000 მ) პრიზიორი, სსრკ ხალხთა V სპარტაკიადის ჩემპიონი (1971 - ორადგილიანი, 1000 მ), IV და V სპარტაკიადების მესამე პრიზიორი (1967 - ერთადგილიანი, 1000 მ; 1971 - ოთხადგილიანი 1000 მ). საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი.

**ოთარ ხაზარაძე.** დაიბადა 15.01.-1931, ქუთაისი. ალპინიზმი. სსრკ ჩემპიონი ტრავერსების კლასში (1957, დარვაზის ქედი), სამგზის მეორე (1960, 75, 77) და ორგზის მესამე (1969, 73) პრიზიორი სასიმაღლო, კლდოვან და ტექნიკურ კლასებში. სპორტის ოსტატი, საქართველოს მთასვლელთა ფედერაციის მწვრთნელთა საბჭოს თავმჯდომარე, ალპინიადებისა და საკვალიფიკაციო ექსპედიციების ორგანიზატორი.





ვლადიმერ რუსია

# რუსიას ლუქსემბურგი უკრაინელმა გაუშიფრა

**საქართველოს ეროვნული ნაკრების წამყვანი ხელბურთელები ევროპიდან ნელ-ნელა ჩამოდიან და "ჩელენჯ ტროფის" ფინალისთვის ილესავენ კბილებს. მათ შორისაა რუმინული "დინამოს" წევრი ვლადიმერ რუსიაც. მას გუშინ გავესაუბრეთ და უპირველეს ყოვლისა, საკლუბო ამბები გამოვკითხეთ.**

- ამჟამად, რუმინეთის ჩემპიონატში 5-6-ე ადგილებს ვიყოფთ. პირველ ადგილოსან "სტიაუამდე" 8 ქულა გვაშორებს, სხვა გუნდები კი მცირე სხვაობით გვისწრებენ. სამწუხაროდ, პირველი წრე არასტაბილურად ჩავატარეთ. მაგალითად, "სტიაუას" სტუმრად მოვუგეთ, მაგრამ აუტსაიდერებთან დავკარგეთ ქულები. კლუბის ხელმძღვანელობა საპრიზო სამეულში მოხვედრას გვისახავს მიზნად. ახლა უკვე დავლაგდით, ჩვენი თამაში ვიპოვნეთ, ახალი ხელბურთელებიც დავიმატეთ და ვიმედოვნებ, დასახულ ამოცანას თავს წარმატებით გავართმევთ.

**- მოედანზე ყოფნა რამდენი ხნით გიწევს ხოლმე?**

- ჩემს პოზიციაზე სამი რუმინელი კონკურენტი მყავს. მთავარი კონკურენტია რუმინეთის ნაკრების წევრი ფილიპ მარიანი. მწვრთნელები მე და მარიანს თანაბრად გვინაწილებენ დროს, მაგრამ ჩემი სურვილია, მთელი თამაშის განმავლობაში მოედანზე ვიყო და ამისათვის თავს არ ვზოგავ.

**- მერე რუმინულ კლუბში რუმინეთის ნაკრების წევრის შევიწროვებას დაუშვებენ მწვრთნელები?**

- შესაძლოა, ეს მომენტი მართლაც იყოს რაღაც დოზით, მაგრამ მწვრთნელებს ამაზე მეტად უფრო "დინამოს" წარმატებები აინტერესებთ. შესაბამისად, ვინც უკეთეს ფორმაში იქნება, იმას დაეყრდნობიან. შესაძლოა, მე წამივიდეს თამაში და რამდენიმე მატჩი შეუცვლელად მათამაშონ, ან პირიქით მოხდეს. მოკლედ, წამითაც არ უნდა მოეშვა, სულ ოპტიმალურ ფორმაში უნდა იყო.

**- რამდენი ხნით აპირებ "დინამოში' დარჩენას?**

- ორწლიანი კონტრაქტი მაქვს. ამ ხნის განმავლობაში საკუთარი ინიციატივით წასვლის უფლება არ მაქვს. თუმცა, თუკი გამოჩნდება ისეთი გუნდი, რომელიც ჩემში "დინამოს" ხელმძღვანელობისათვის მისაღებ თანხას გადაიხდის და მეც მექნება იქ გადასვლის სურვილი, ხელს არ შემიშლიან.

**- "დინამოს" სხვა ქართველის გადაბირების სურვილი ხომ არ გამოუთქვამს?**

- საქართველოს ეროვნული ნაკრების მეკარე შოთა თევზაძის შეძენა უნდოდათ. თითქოს ყველაფერი შეთანხმებული იყო, შოთა რუმინეთში უნდა ჩამოსულიყო, მაგრამ შვედეთი არჩია და ახლა იქაა სინჯებზე.

**- დაბოლოს, "ჩელენჯ ტროფის" ფინალზეც ვთქვათ...**

- ნაკრებში შესანიშნავი განწყობაა. თითქმის ყველა წამყვანი ხელბურთელი აქაა, ხვალ ჩამოვლენ რეზო ჭანტურია და ახალგაზრდული ნაკრების მთავარი მწვრთნელი გარი თურქია, რომელიც ეროვნული ნაკრების თავკაც იმედო ფხაკაძეს ეხმარება. მოკლედ, ოპტიმალური შემადგენლობა იყრის თავს და აუცილებლად მხოლოდ და მხოლოდ მოსაგებად უნდა გავიდეთ მოედანზე. დანარჩენი კი 20 იანვარს გამოჩნდება.

**- ლუქსემბურგის შესახებ რა ინფორმაცია გაქვს?**

- ამასწინათ, ჩემს უკრაინელ თანაგუნდელს ვკითხე ამის შესახებ, რომელსაც უკრაინის ნაკრების შემადგენლობაში უთამაშია ლუქსემბურგელთა წინააღმდეგ. როგორც მოთხრა, კიევში პრობლემა არ ჰქონიათ, მაგრამ სტუმრად გასჭირვებიათ - ორბურთიანი სხვაობით ძლივს მოვიგეთო. არადა, უკრაინა ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატებზე თამაშობდა და საკმაოდ ძლიერი შემადგენლობა ჰყავს. მოკლედ, არ უნდა შეგვქმნეს იმის ილუზია, რომ ლუქსემბურგელებს იოლად დავჯაბნით.

**კობა ხატისაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

20 იანვარი. საქართველო-ლუქსემბურგი. ჩელენჯ ტროფის ფინალი

# დუშეთის ყინვა და ბულაჩაურის ცხელი ხინკალი

საქართველოს ხელბურთელთა ეროვნულმა ნაკრებმა გუშინ დასკვნითი მოსამზადებელი ეტაპი დაიწყო "ჩელენჯ ტროფის" ფინალისთვის. როგორც გუშინ გაცნობეთ, ბოლო ეტაპი დუშეთის სპორტულ კომპლექსში უნდა გამართულიყო, მაგრამ საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ გუნდი ისევ თბილისში, სტუ-ს გაყინულ დარბაზში ივარჯიშებს. თუმცა, მოვყვეთ მოვლენათა მსვლელობას თანმიმდევრობით.

გუშინ, სტუ-ს დარბაზთან 13:30 საათზე ჩამოდგა ავტობუსი და ნაკრებმა დუშეთისაკენ აიღო გეზი. სამწუხაროდ, ადგილზე ჩასულებს მოლოდინი ნაწილობრივ გაგვიმართლდა - ახალი დარბაზი კი კარგი იყო, მაგრამ გათბობა მაინცდამაინც გუშინ გამოვიდა მწყობრიდან და დარბაზში უფრო ციოდა, ვიდრე გარეთ. როგორც გათბობის სისტემის მომსახურე პერსონალმა აგვიხსნა, სისტემის დაზიანება გაუსაძლისმა ყინვებმა გამოიწვია. რაკილა იმის იმედი ნაკლებად იყო, რომ გათბობა აღდგებოდა, ხელბურთელებმა მოედანზე კალათბურთის ფარები შეაგორეს და ხელბურთისა და კალათბურთის ნაზავის თამაშით გახურდნენ ნახევარი საათით.

იმედო ფხაკაძის განკარგულებაში გუშინ 15 ხელბურთელი იყო: **კორნელი ანდრიაძე** ("თბილისი"), **ვლადიმერ რუსია** ("დინამო", რუმინეთი), **სერგო დათუკაშვილი** ("ლიუბეკე", გერმანია), **რატი მსხვილიძე** ("სტიარნანი", ისლანდია), **გიორგი ქობელაშვილი, ომარ ყიფიანი, დავით ნიკოლაიშვილი, ირაკლი ჩიქოვანი, ილია გოგალაძე, აკაკი ტალახაძე, მიხეილ საჯაია, ლევან ბერძენიშვილი** (ყველა სტუ-"თელავი"), **გიორგი ნივნივაძე, უჩა მაისურაძე** (ორივე "თბილისი"), **შოთა გრიშიკაშვილი** ("ორმანი", თურქეთი).

დღეს, გამთენიისას ჩამოვლენ თბილისში **რეზო ჭანტურია** ("მეტალურგი", მაკედონია) და ბერძნული "პოსეიდონის" მოთამაშე მწვრთნელი **გარი თურქია**. როგორც იცით, თურქია ახალგაზრდული ნაკრების მთავარი მწვრთნელია, მაგრამ ეროვნულის თავკაც **იმედო ფხაკაძესაც** ეხმარება.

რაც შეეხება ძირითად მეკარე **შოთა თევზაძეს**, იგი შვედეთში ნასულა, სადაც "მალმიოში" გაივლის სინჯებს. შოთა "ჩელენჯ ტროფის" ფინალზე პირდაპირ შვედეთიდან ჩავა - ისევე როგორც მეორე მეკარე **არჩილ გარიშვილი** გერმანიიდან.

სამწუხაროდ, თითქმის გამორიცხულია, რომ ნაკრების ყველაზე გამოცდილმა ხელბურთელმა **ტიტე კალანდაძემ** ფინალში ითამაშოს. მან მუხლების ტრავმა კვლავ ვერ მოიშუშა და სასწაული უნდა მოხდეს, რომ 20 იანვარს სალსალამათი და ფორმაში მყოფი შეხვდეს.

მოკლედ, ნახევარსაათიანი ხელბურთ-კალათბურთის შემდეგ, ნაკრებმა ვარჯიში დაამთავრა, ჩაჯდა ავტობუსში და ბულაჩაურს მიაშურა ცხელი ხინკლის დასაგემოვნებლად...

რაკილა დუშეთის დარბაზის გათბობის იმედი, ფაქტობრივად აღარ არსებობს, ნაკრები დღეიდან სტუ-ს დარბაზში გააგრძელებს ვარჯიშს. მართალია, არც იქაა გათბობა, მაგრამ წყლის პრობლემა მოგვარდა და ხელბურთელებმაც ხელი ჩაიქნიეს - თუკი ვარჯიშის შემდეგ ცხელი წყალი გვექნება, ჯანდაბას, სიცივეში ვარჯიშს როგორმე გავუძლებთო.

ეჰ, ეს ჯიგრიანი ბიჭები კი მართლაც გაუძლებენ რამდენიმე დღით გაყინულ დარბაზში ვარჯიშს, მაგრამ საკითხავი ის არის, როდემდე გაგრძელდება ასე? დაუშვებელია, რომ წინა წლების კოშმარი აღარ დასრულდეს და ქართული ხელბურთის უპირველესი გუნდი შემდეგშიც ასეთ გაუსაძლის პირობებში ემზადებოდეს. რა გახდა თბილისში ერთი სახელბურთოს დარბაზის მოწყობა, რომელშიც გათბობა იქნება და მისი დაქირავება ოთუზბირი არ დაჯდება?



ვეტერანი ტიტე კალანდაძე (10) ფინალში ვერ ითამაშებს

# დავამარცხოთ მეტოქე და მოვუგოთ!



სერგო დათუკაშვილი

საქართველოს ხელბურთელთა ეროვნული ნაკრების ლიდერი **სერგო დათუკაშვილი** გუშინწინ დაბრუნდა საქართველოში, ნაკრებს შეუერთდა და ახლა გუნდთან ერთად დიდი მონდომებით ემზადება "ჩელენჯ ტროფის" ფინალისთვის. დათუკაშვილს გუშინ, ნაკრების ვარჯიშის წინ გავესაუბრეთ.

**- საკლუბო ამბებით დავიწყოთ. შენმა გუნდმა ზამთრის არდადეგების წინ ორი მნიშვნელოვანი მატჩი მოიგო და ოდნავ გაიზარდა ბუნდესლიგაში დარჩენის შანსი. რა იყო ამ წარმატებების საიდუმლო?**

- ბუნდესლიგის სტარტი საკმაოდ მძიმე გამოგვივიდა. შემადგენლობა ისედაც არ გვყავდა ძლიერი და ტრავმიანობამ კიდევ უფრო მძიმე დღეში ჩაგვაგდო. ახლაც 4 წამყვანი ხელბურთელი გვყავს დაშავებული - მეკარე, ხაზის მოთამაშე და ორი გარემარბი. ბოლო მატჩებში, მწვრთნელი იძულებული გახდა, რომ შუამარბი გარემარბად ეთამაშებინა. ამას გარდა, თავიდან ისეთ ძლიერ გუნდებს ვეთამაშებოდით, რომ გამარჯვება, ფაქტობრივად წარმოუდგენელი იყო.

ამ ყველაფერმა გუნდის ხელმძღვანელობა აიძულა, რომ ზამთრის სატრანსფერო ბაზარზე ეაქტიურა. უკვე შეიძინეს პოლონეთის ნაკრების ორი წევრი და ახლა გამთამაშებლის ყიდვასაც აპირებენ.

**- ანუ ახალი გამთამაშებლით შენს შემცვლელს ამზადებენ?**

- არა ასე ვერ ვიტყვი. საქართველოს ნაკრებში გამთამაშებლის პოზიციაზე კი ვთამაშობ, მაგრამ კლუბში მარცხენა შუამარბად ვირჯები. საერთოდ, ამპლუით მარცხენა შუამარბი ვარ, მაგრამ რაკილა საქართველოს ნაკრებს გამთამაშებლად ვჭირდები, აქ პოზიციას ვიცვლი ხოლმე.

**- მიუხედავად საკადრო პრობლემებისა, ბოლო ტურში მეოთხეადგილოსან "ნორდჰორნს" მოუგეთ...**

- უბრალოდ, ჩვენ უფრო გაგვიმართლა. ჩვენი გუნდის მეკარემ ბევრი რთული ბურთი მოიგერია, შეტევაშიც ვიყოჩაღეთ და ძლიერი მეტოქე მინიმალური სხვაობით დავამარცხეთ.

**- ბომბარდირთა დავაში მეცხრე ადგილამდე დაქვეითდი. ცოტა უცნაურად გვეჩვენება - ბომბარდირობისათვის იბრძვი და მხოლოდ 2 პენალტი გაქვს გატანილი. რატომ არ ურტყამ შვიდმეტრიანებს?**

- მე ეს საქმე მთლად იდეალურად ვერ გამომდის, თანაც გუნდში გვყავს შტატიანი პენალტისტი. ამას დავუმატოთ ისიც, რომ ჩვენთვის თითოეულ ქულას, თითოეულ გოლს ოქროს ფასი აქვს და ექსპერიმენტების დრო არ იყო. ასე, რომ პირად ინტერესებზე წინ კლუბის ინტერესებს ვაყენებდი. თუმცა, წინ ნახევარი სეზონია და შევეცდები, კიდევ ბევრი გოლი გავიტანო, რათა რაც შეიძლება მაღალ ადგილზე დავასრულო სეზონი ბუნდესლიგის მეგოლეთა სიაში.

**- უშუალოდ "ლიუბეკზე" და მის გულშემატკივრებზე რას იტყვი?**

- უპირველეს ყოვლისა, ერთ შესწორებას შევიტან - ლიუბეკი შედარებით დიდი ქალაქია, რომელიც ჰამბურგთან ახლოს მდებარეობს. ჩემი გუნდი "ტუსენ ლიუბეკე" კი ქალაქ ლიუბეკეს კლუბია, რომელიც ჰანოვერიდან 70 კილომეტრშია. ჩვენს ქალაქს ფეხბურთის გუნდი არ ჰყავს და იქ ყველაზე პოპულარული სპორტის სახეობა ხელბურთია. "ლიუბეკეს" დარბაზი 3000 გულშემატკივარს იტევს და ტრიბუნები, ფაქტობრივად ყველა მატჩზე სავსეა. საერთოდ, ბუნდესლიგაში თითქმის ყველა კლუბის დარბაზი ივსება ხოლმე გულშემატკივრით. გამონაკლისი მხოლოდ ის მომენტები შეიძლება იყოს, როდესაც რომელიმე ფავორიტს ვთქვათ, 15 000-იანი დარბაზი აქვს და აუტსაიდერს ხვდება.

**- თუკი "ლიუბეკი" სეზონის ბოლოს ბუნდესლიგიდან გავარდება, დატოვებ გუნდს თუ არა?**

- კონტრაქტში არის მუხლი, რომლის თანახმადაც, მეორე ბუნდესლიგაში დაქვეითების შემდეგ, ხელშეკრულება ავტომატურად წყდება. თუ ასე არ მოხდება, მაშინ ალბათ უფრო დავრჩები, მაგრამ მაინც გადავხედავ სხვა ვარიანტებს. თუკი რომელიმე გუნდი მისალებ თანხას გადაიხდის და კარგ პირობებს შემომთავაზებს, იქ გადავალ. ისე, "ლიუბეკეს" კარგად შევეწყე. ფინანსურად წელგამართული გუნდია, ხელფასებს არასოდეს აგვიანებენ, არც სისტემატურად თამაშის პრობლემა მაქვს და არც პირობებს ვუჩივი.

- სხვა ვარიანტები არ გაქვს?

- ამასწინათ, "ვეტცლარის" ხელმძღვანელობა შემეხმიანა, რომელიც ახლა ბუნდესლიგაში სატურნირო ცხრილის შუა ნაწილშია. ამას გარდა, ჩემი მენეჯერები მირეკავენ - რამდენიმე ვარიანტია და მოგვაკითხე, რომ დავილაპარაკოთო.

**- ქართველი ხელბურთელებიდან ვინმე თუ მიგაჩნიათ ბუნდესლიგისთვის მომწიფებულად?**

- ჯანმრთელად რომ იყოს, ბუნდესლიგაში თამაშის მთავარი კანდიდატი ახლა ტიტე კალანდაძე იქნებოდა, რომელსაც დიდი გამოცდილება და კლასი გააჩნია. სხვათა შორის, ამასწინათ, "ვეტცლარს" ტიტეს დამატებაც უნდოდა, მაგრამ სამწუხაროდ, იგი დაშავებულია. კალანდაძის გარდა, პოტენციურ ბუნდესლიგელებად მიმაჩნია ვლადიმერ რუსია და რატი მსხვილიძე. მათ ცოტა მეტი გამოცდილება რომ შეიძინონ, გერმანიაში უპრობლემოდ ითამაშებენ.

**- საქართველოს ნაკრებზე გადავიდეთ. ერთი კვირაც აღარ რჩება "ჩელენჯ ტროფის" ფინალამდე. როგორ შეაფასებ შანსებს?**

- ნებისმიერ მეტოქეს სათანადოდ დაფასება უნდა. ლუქსემბურგი აუცილებლად ბოლომდე გვებრძოლება და იოლი გასეირნება არ გვექნება, მაგრამ ჩვენი ვალია, რომ მოვიგოთ. ისე, ლუქსემბურგელებზე საკმაოდ მწირი ინფორმაცია მაქვს, მაგრამ როგორც გავიგე, მოლდოვაზე ცოტა უკეთესი გუნდია.

**- ახლა როგორ ფორმაში ხარ?**

- ბუნდესლიგის არდადეგებით ვისარგებლე და საახალწლოდ ოჯახს ჩავაკითხე შვედეთში. შესაბამისად, ათი დღე ვერ ვივარჯიშე, მხოლოდ ტრენაჟორების დარბაზს მივაკითხე. ვიმედოვნებ, 20 იანვრისთვის ოპტიმალურ ფორმას მივაღწევ.

**- საქართველოს ნაკრების დადებით და უარყოფით მხარეებად რა მიგაჩნია?**

- ჩვენი მთავარი პლიუსი ის არის, რომ დიდი გული გვაქვს, გამარჯვებები გვწყურია და გუნდს საკმაო პოტენციალი გააჩნია. უარყოფით მხარეზე ლაპარაკი ცოტა მიჭირს - ასეთად მოსამზადებელ პირობებს დავასახელებდი. კარგი იქნებოდა, ცოტა უკეთეს პირობებში უწევდეს ეროვნულ ნაკრებს სამზადისი...

**კობა ხატისაშვილი**

## ჭადრაკი

# ვეიკ ან ზეეს ტურნირი

II ტური: მაგნუს კარლსენი (ნორვეგია)-პაველ ელიანოვი (უკრაინა) 1:0; ლევონ არონიანი (სომხეთი)-ბორის გელფანდი (ისრაელი) 1:0; ლუკ ვან ველი (ჰოლანდია)-იუდით პოლგარი (უნგრეთი) 0.5:0:5; ვასილი ივანჩუკი (უკრაინა)-ვესელინ ტოპალოვი (ბულგარეთი) 0.5:0:5; მაიკლ ადამსი (ბრიტანეთი)-პეტერ ლეკო (უნგრეთი) 0.5:0:5; ვიშვანათან ანანდი (ინდოეთი)-შაჰრიარ მამედიაროვი (აზერბაიჯანი) 0.5:0:5; ვლადიმერ კრამნიკი (რუსეთი)-თეიმურ რაჯაბოვი (აზერბაიჯანი) 0.5:0:5.

სატურნირო მდგომარეობა: 1-2. კარლსენი, არონიანი - 2 ქულა; 3. რაჯაბოვი - 1.5; 4-9. ვან ველი, პოლგარი, ივანჩუკი, ადამსი, ლეკო, კრამნიკი - 1; 10-14. ელიანოვი, გელფანდი, ტოპალოვი, ანანდი, მამედიაროვი.

## ჩოგბურთი

# ფედერერი-სამპრასი: ამჯერად ნიუ იორკში

მსოფლიოს პირველი ჩოგანი, შვეიცარიელი **როჯერ ფედერერი** კვლავ შეხვდება ამერიკელ ლეგენდას **პიტ სამპრასს**. ჩოგბურთელებმა საჩვენებელი მატჩის გამართვის თაობაზე შეთანხმებას უკვე მიაღწიეს.

მატჩის ჩატარების ადგილად ნიუ იორკის ცნობილი "მედისონ სკვერ გარდენი" დასახელდა. *"გარდენზე" გამოსვლით ჩემი ოცნება ასრულდება. უკვე დიდი ხანი გავიდა მას შემდეგ, რაც იქ საჩოგბურთო მატჩი არ გამართულა. ამასთან, პიტს ძალიან უნდოდა ეს საგამოფენო შეხვედრა საკუთარი გულშემატკივრების წინაშე ჩაეტარებინა"*, - განაცხადა ფედერერმა.

სავარაუდოდ, სამპარსისა და ფედერერის დაპირისპირება ამა წლის მარტში გაიმართება. შეგახსენებთ, რომ ეს ჩოგბურთელები შარშან, აზიაში სამჯერ შეხვდნენ ერთმანეთს და შვეიცარიელმა ჯამში 2:1 მოუგო სამპრასს.

# მარია სონი ერიქსონის სახე გახდა

რუსი ჩოგბურთელი **მარია შარაპოვა** მობილური ტელეფონების მწარმოებელი ფირმის, Sony Ericsson-ის სახე გახდა.

კომპანიამ მარიასთან ოთხწლიანი ექსკლუზიური კონტრაქტი გააფორმა. მისი პირობების მიხედვით, 20 წლის ჩოგბურთელი რამდენიმე სარეკლამო აქციაში მიიღებს მონაწილეობას. გარდა ამისა, შარაპოვა Sony Ericsson-ის დიზაინერთა ჯგუფთან ახალი ტელეფონებისა და მისი აქსესუარების შექმნაზე იმუშავებს.

*"მარიას ვარსკვლავური სტატუსი იდეალურად ერგება ჩვენს ბრენდს"*, - აცხადებს Sony Ericsson-ის ვიცე-პრეზიდენტი **დი დიუტა**.

ცნობილია, რომ ამ კომპანიამ 2005 წელს გააფორმა კონტრაქტი ქალ ჩოგბურთელთა ასოციაციასთან (WTA). ხელშეკრულება ექვსწლიანია და 88 მილიონ დოლარად არის შეფასებული.

## კრივი

# კამბალამ პირველად იბრძოლა

ცნობილმა ლატვიელმა კალათბურთელმა **კასპარს კამბალამ** პროფესიონალი მოკრივის რანგში პირველი ბრძოლა ჩაატარა. ლას ვეგასში გამართულ 4-რაუნდიან სარეიტინგო ბრძოლაში, კამბალა 24 წლის ამერიკელ **ალვარო მორალესს** შეხვდა და მსაჯებმა ფრე დააფიქსირეს.

ერთმა რეფერიმ გადაწყვიტა, რომ კამბალამ 40:36 მოიგო, დანარჩენმა ორმა კი, ვერცერთ მოკრივეს ვერ მიანიჭა უპირატესობა - 38:38.

თუ ლატვიელი პირველად გავიდა რინგზე, მორალესისთვის ეს კარიერაში მეოთხე ბრძოლა იყო - სამი ფრის გარდა, მის ანგარიშზე ერთი მოგებაცაა. ლატვიის საკალათბურთო ნაკრების ყოფილი ცენტრის სიმაღლე 206 სანტიმეტრია, წონა - 125 კილოგრამი. სხვათა შორის, მორალესის წონაც 125 კილოგრამი გახლავთ.

შეგახსენებთ, რომ თავის საკალათბურთო კარიერის მანძილზე, კამბალა თურქეთის "ფენერბაჰჩეში" და მადრიდის "რეალში" თამაშობდა. 2006 წელს, ის დოპინგის მიღებაში გამოიჭირეს და ორწლიანი დისკვალიფიკაცია მისცეს.

## ჰოკეი

# ჰიტლი ექვს კვირას დაისვენებს

სერიოზული დანაკლისი განიცადა აღმოსავლეთი კონფერენციის ლიდერმა "ოტავა სენატორზმა". ამ გუნდის ერთ-ერთი საუკეთესო ჰოკეისტი **დენი ჰიტლი** დაახლოებით ექვს კვირას გამოტოვებს. ამის მიზეზია ტრავმა, რომელიც ფორვარდმა "დეტროიტ რედ უინგზთან" მოგებულ მატჩში (3:2) მიიღო. შეხვედრის მესამე პერიოდში, **დალას დრეიკთან** შეჯახების შემდეგ, ჰიტლიმ მხარი დაიზიანა.

ამ სეზონში NHL-ის ვარსკვლავმა 43 მატჩი ჩაატარა და 56 ქულა (25 გოლი+31 შედეგიანი პასი) დააგროვა. სხვათა შორის, ჰიტლი 238 მატჩი პაუზის გარეშე თამაშობდა. ამ დროის განმავლობაში მას 125 გოლი და 139 პასი დაუგროვდა. დენი 2005-06 წლების სეზონში, "ატლანტადან" გადავიდა "ოტავაში".

თამამად შეიძლება იმის თქმა, რომ ფორვარდი 27 იანვარისთვის დაგეგმილი "ყველა ვარსკვლავის მატჩს" გამოტოვებს. ჰიტლის შემცვლელის ვინაობა ჯერ არ არის ცნობილი.

# ჰოკეი ბეისბოლის მოედანზე?

მომავალ ზამთარს, ჰოკეის ეროვნულ ლიგის ისტორიაში შესაძლოა მესამედ გაიმართოს რეგულარული ჩემპიონატის მატჩი ღია ცის ქვეშ. "ნიუ იორკ რეინჯერსმა" ლიგის ხელმძღვანელობისგან თანხმობა მიიღო და მომავალი რეგულარულის ერთ-ერთ მატჩში, რომელიმე მეტოქეს ბეისბოლის გუნდის, "ნიუ იორკ იანკიზის" მოედანზე უმასპიძლებს.

თუ აღნიშნული შეხვედრა გაიმართება, ეს იქნება ბოლო სპორტული ღონისძიება Yankee Stadium-ზე. საქმე ისაა, რომ "იანკიზი" სულ მალე ახალ არენაზე გადავა, რომელიც 1.3 მილიარდ დოლარად არის შეფასებული.

# დალასი მოდანოსთვის ახალ პარტნიორს ეძებს

წლევანდელ სეზონში "დალას სტარტზის" ვეტერანი ფორვარდი **მაიკ მოდანო** არც ისე შედეგიანად თამაშობს. ჰოკეისტის სტატისტიკური მონაცემების ასამაღლებლად, კლუბის ხელმძღვანელობა ახალი მოთამაშის დამატებას და მას მოდანოსთან სამეულში დაყენებას აპირებს.

"ვარსკვლავთა" გენერალური მენეჯერების, **ლეს ჯექსონისა** და **ბრეტ ჰალის** ინტერესთა სფეროში მოხვდნენ **მარიან ჰოსა** ("ატლანტა"), **მარტინ სენტ ლუისი** ("ტამპა ბეი"), **მიროსლავ შატანი** ("აილენდერსი"), **მაიკლ რაიდერი** ("მონრეალი") და **ფილ კესელი** ("ბოსტონი").

სააგენტო "როიტერის" ცნობით, ჰოსა და კესელი პრიორიტეტულ კანდიდატებად ითვლებიან, რადგან ატლანტელ ფორვარდს ამ ზაფხულს უმთავრდება კონტრაქტი, ხოლო "ბოსტონი" კარგი კომპენსაციის სანაცვლოდ, მზად არის შეელიოს 20 წლის კესელს (2006 წლის დრაფტის მეექვსე ნომერი).

## ძალოსნობა

# მსოფლიო ჩემპიონი მკაცრად დასაჯეს

85 კილოგრამამდე წონით კატეგორიაში მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი, რუმინელი **ვალერიუ კალანჩა** ორწლიანი დისკვალიფიკაციით დაისაჯა.

სააგენტო "როიტერის" ცნობით, ძალოსანს აკრძალული პრეპარატის მიღება დაუმტკიცდა. 27 წლის კალანჩას დოპინგ-ტესტი მსოფლიო ჩემპიონატის დროს აუღეს, რომელიც გასული წლის სექტემბერში ჩატარდა.



NBA. რეგულარული ჩემპიონატი

# თრილერი ტორონტოში



**ატლანტა-ჩიკაგო 105:84**

38:22, 31:27, 11:17, 25:18

**ატლანტა:** ჯო ჯონსონი (37 ქ. 9 მ. 6 პ), ჩილდრესი (14 ქ. 9 მ), მერვინ უილიამსი (11 ქ. 4 მ. 4 დ. 3 პ. 2 ჩ), ჯოშ სმიტი (9 ქ. 8 მ. 4 დ. 3 პ), ზაზა ფაჩულიას არ უთამაშია.

**ჩიკაგო:** დენგი (28 ქ. 6 მ), ნოჩიონი (20 ქ. 5 მ), ჯო სმიტი (12 ქ. 8 მ. 2 დ), ჰაინრიხი (11 ქ. 4 პ), ბ. უოლასი (3 ქ. 13 მ).

**ტორონტო-პორტლენდი 116:109 (2 ო)**

25:24, 24:23, 14:22, 30:24, 11:11, 12:5

**ტორონტო:** ბოში (38 ქ. 14 მ. 3 დ. 2 პ), ე. პარკერი (25 ქ. 6 მ. 3 პ), კალდერონი (22 ქ. 10 პ. 3 მ. 2 ჩ), დელფინო (16 ქ. 8 მ).

**პორტლენდი:** როი (33 ქ. 10 პ. 5 მ. 2 ჩ), ტ. აუთლო (18 ქ. 6 მ. 3 დ), ფრაი (16 ქ. 7 მ), ჯეკი (12 ქ. 9 მ. 5 პ), ოლდრიჯი (11 ქ. 9 მ).

**ლეიკერსი-მემფისი 100:99**

31:29, 30:22, 19:19, 20:29

**ლეიკერსი:** ბრაიანტი (37 ქ. 4 პ. 4 ჩ. 3 მ), ბინუმი (10 ქ. 9 მ. 3 პ), ოდომი (10 ქ. 10 მ. 3 პ), ფარმარი (10 ქ. 3 მ. 3 ჩ).

**მემფისი:** მ. მილერი (27 ქ. 5 მ. 3 პ. 2 ჩ), გასოლი (21 ქ. 18 მ. 8 პ. 4 დ), გეი (11 ქ. 6 მ. 2 პ. 2 ჩ), კონლი (10 ქ. 7 მ. 4 პ).

**ჰიუსტონი-ნიუ ორლეანი 82:87**

18:26, 21:20, 24:12, 19:29

**ჰიუსტონი:** მინი (30 ქ. 16 მ. 4 დ), ალსტონი (12 ქ. 7 პ. 2 ჩ), ჰედი (11 ქ. 4 მ), ბრუკსი (11 ქ).

**ნიუ ორლეანი:** დევიდ უესტი (26 ქ. 12 მ), პოლი (19 ქ. 11 პ. 3 მ. 2 ჩ), პარგო (10 ქ), ბ. ჯექსონი (9 ქ), ჩენდლერი (7 ქ. 14 მ. 2 დ).

**ნიუ იორკი-დეტროიტი 89:65**

18:18, 25:14, 28:10, 18:23

**ნიუ იორკი:** ზ. რენდოლფი (25 ქ. 8 მ. 3 პ), ჯ. კროუფორდი (15 ქ. 5 მ. 4 პ), ნ. რობინსონი (13 ქ).

**დეტროიტი:** მაკდაესი (15 ქ. 13 მ), ბილაპსი (14 ქ. 4 მ. 4 პ).

**გ. სტეიტი-ინდიანა 106:101**

19:34, 26:20, 28:22, 33:25

**გოლდენ სტეიტი:** მ. ელისი (29 ქ. 8 მ. 4 პ. 2 ჩ), ბ. დევისი (27 ქ. 7 მ. 6 პ. 2 ჩ), ე. ჰარინგტონი (14 ქ. 6 მ), აზუბუიკე (11 ქ. 5 მ. 2 ჩ).

**ინდიანა:** ჯ. ონილი (27 ქ. 9 მ. 6 დ), გრეინჯერი (20 ქ. 8 მ), მ. დანლივი (18 ქ. 10 მ. 7 პ), მ. დენიელსი (12 ქ. 3 ჩ), ტინსლი (8 ქ. 11 პ. 5 მ. 2 ჩ).

გუშინდელი სათამაშო დღის მთავარ მატჩად თამამად უნდა მივიჩნიოთ "ტორონტოსა" და "პორტლენდის" დაპირისპირება. ეს იყო საღამოს ყველაზე ხანგრძლივი, შედეგიანი და მომქანცველი მატჩი. ორ ოვერტაიმის შემდეგ დამარცხებული "პორტლენდისთვის", ეს ბოლო 19 მატჩში მხოლოდ მეორე წაგება გახლდათ. სტუმრებმა ამაში ბრალი **კრის ბოშს** უნდა დასდონ. "ტორონტოს" ლიდერმა მთელი 55 წუთი დაუღალავად ირბინა, თავის ანგარიშზე კი, 38 ქულა და 14 მოხსნა მიითვალა. გამარჯვებაში მთავარი წვლილი ბოშმა მეორე ოვერტაიმში შეიტანა, როცა ექვსი ქულა მიუთვალა "რეპტორზს".

თუმცა კანადელებს ადრევე შეეძლოთ საქმის მოთავება. ძირითად დროში, "ტორონტო" 93:89 იგებდა, მაგრამ **ჯამარიო მუნი** სულელურად დაჯარიმდა **ტრევის აუთლოზე,** როცა ეს უკანასკნელი სამქულიანს ასრულებდა. ანგარიში გათანაბრდა. პირველი ოვერტაიმის დასრულებამდე ორი წამით ადრე, სტუმარმა **ბრენდონ როიმ** სამქულიანით გაათანაბრა და გუნდებს მეორე დამატებითი ტაიმის ჩატარება დასჭირდათ. სხვათა შორის, როიმ შესანიშნავი შთაბეჭდილება დატოვა - 10 შედეგიანი პასი გააკეთა და 33 ქულით, კარიერის პირადი რეკორდი დაამყარა. თუმცა ამით "პორტლენდის" იღბალი ამოიწურა - მეორე ოვერტაიმში "ტორონტომ" მაინც დააჩოქა ჯიუტი მეტოქე.

დღის ანტიგმირად კი, მთლიანად "დეტროიტ პისტონზი" უნდა დავასახელოთ. **სტეფონ მარბერის** არყოფნით დასუსტებულ "ნიუ იორკ ნიქსთან", აღმოსავლეთის ერთ-ერთმა ლიდერმა მხოლოდ 65 ქულა დააგროვა. ამით გუნდმა კინაღამ საკუთარი ანტი-რეკორდი გააუმჯობესა - უფრო ულიმღამოდ "პისტონზმა" 1999 წელს "სან ანტონიოსთან" და სამი წლის შემდეგ "იუტასთან" ითამაშა. ამ გუნდებს "დეტროიტმა" მხოლოდ 64 ქულა ჩაუგდო.

## ახალი ამბები

# პიპენის 21 ქულა

"ჩიკაგო ბულზის" ლეგენდარული კალათბურთელი **სკოტი პიპენი** ევროპულ ტურნეს აგრძელებს. როგორც იცით, NBA-ის ყოფილმა ვარსკვლავმა ფინეთის ჩემპიონატში ორი მატჩი ჩაატარა. ამჯერად კი, შვედეთში გადაბარგდა და იქაურ ჩემპიონატში "სუნდსვალის" შემადგენლობაში ითამაშა.

პიპენის კლუბმა 102:74 მოუგო "აკროპოლს". სკოტი თავისი გუნდის რიგებში საუკეთესო იყო - NBA-ის ექვსგზის ჩემპიონმა 21 ქულა დააგროვა.

# ლებრონს პოლიცია ემუქრება

"კლივლენდ კავალიერზის" ლიდერს **ლებრონ ჯეიმსს** პოლიციასთან აქვს საქმე. NBA-ის ახალგაზრდა ვარსკვლავი სიჩქარის გადაჭარბებაშია ეჭვმიტანილი.

ინციდენტი 30 დეკემბერს, ქალაქ მედინასთან ახლოს მოხდა. 23 წლის ჯეიმსი ავტომობილით საათში 101 მილი სიჩქარით გადაადგილდებოდა, არადა, იმ ადგილას მაქსიმალური დასაშვები სიჩქარე 65 მილი/საათში იყო.

"კლივლენდის" ადვოკატმა უკვე გააკეთა განცხადება კალათბურთელის უდანაშაულობის შესახებ. საქმის განხილვა 11 თებერვალს დაიწყება. ამ დღეს, "კავალიერზს" რეგულარული ჩემპიონატის მატჩი აქვს "ორლანდო მეჯიქთან".

# კობი ბრაიანტი: არის 1000 სამქულიანი

"ლოს ანჯელეს ლეიკერსის" საუკეთესო ბომბარდირი **კობი ბრაინტი** ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის ისტორიაში 44-ე კალათბურთელი გახდა, რომელმაც კარიერის მანძილზე 1000 სამქულიანის ჩაგდება მოახერხა.

ამ ზღვარს ბრაიანტმა "მემფის გრიზლისთან" (100:99) მატჩში გადააბიჯა. უნდა აღინიშნოს, რომ NBA-ში სამქულიანების დარიცხვის სისტემა 1979-80 წლების სეზონიდან შემოიღეს.

სხვათა შორის, "ლეიკერსისა" და "მემფისის" მატჩი სხვა მხრივადაც იყო აღსანიშნავი. კალიფორნიელთა დამრიგებელმა **ფილ ჯექსონმა**, მწვრთნელის რანგში 944-ე გამარჯვებას მიაღწია და ამ მაჩვენებლით გაუთანაბრდა **ბილ ფიტჩს**, რომელსაც ყველა დროის სიაში მეექვსე ადგილი უკავია.

სხვათა შორის, "ლეიკერსის" ამჟამინდელი მწვრთნელი, თავის დროზე ჩრდილოეთი დაკოტას გუნდში სწორედ ფიტჩის ხელმძღვანელობით თამაშობდა.

# ნოა თანაგუნდელებმა დასაჯეს

"ჩიკაგო ბულზის" კალათბურთელთა გადაწყვეტილებით, ამ გუნდის დებიუტანტ **ჟოაკიმ ნოას** "ატლანტასთან" მატჩში თამაშის საშუალება არ მიეცა.

ერთსულოვანი გადაწყვეტილებით, ნოა რეგულარულ ჩემპიონატს დროებით იმის გამო ჩამოაშორეს, რომ ერთ-ერთი ვარჯიშზე მას კონფლიქტი ჰქონდა კლუბის მთავარი მწვრთნელის მოვალეობის შემსრულებელთან **ჯიმ ბოილანთან**. ნოამ დისკვალიფიკაციის გამო უკვე გამოტოვა ერთი შეხვედრა, მაგრამ კალათბურთელების ინიციატივით, სასჯელი ორ თამაშამდე გაიზარდა.

*"ჩვენ ყველამ კარგად ვიცით, თუ რას წარმოადგენს ჟოაკიმი მოედანზე. ამიტომაც გვინდა, რომ მან აღიაროს თავისი შეცდომა და მხოლოდ ამის შემდეგ დაბრუნდეს გუნდში"*, - მოჰყავს "ჩიკაგოს" ვეტერანის, **ადრიან გრიფინის** სიტყვები სააგენტო AP-ს.

*"მათ მითხრეს, რომ არასწორად მოვიქეცი. ამას აუცილებლად გავითვალისწინებ"*, - ეს უკვე ნოას სიტყვებია.

# მაკგრეიდი 21 იანვარს ბრუნდება

"ჰიუსტონ როკეტსის" ოფიციალური ვებ-გვერდის ცნობით, ამ გუნდის ერთ-ერთი ლიდერი, **ტრეისი მაკგრეიდი** სავარაუდოდ 21 იანვარს, "სიეტლთან" მატჩში დაუბრუნდება მოედანს. ტი-მაკმა თითქმის მოირჩინა მარცხენა ფეხი, რომლის დაზიანების გამო, დიდი ხანი ვერ ახერხებდა მოედანზე გასვლას.

მაკგრეიდიმ ამ დაზიანების გამო უკვე 8 მატჩი გამოტოვა. თუმცა მისი არყოფნა "ჰიუსტონს" არ დატყობია, ვინაიდან იმ რვა თამაშში "როკეტსმა" ექვსის მოგება მოახერხა. ამჟამად, ეს გუნდი მეოთხე ადგილს იკავებს სამხრეთ-დასავლეთ დივიზიონში.

# შაკი მზად არის

"მაიამი ჰიტის" უბერებელი ცენტრი **შაკილ ო'ნილი** უახლოეს პერიოდში უნდა დაუბრუნდეს მოედანს. კვირას, 36 წლის კალათბურთელმა ვარჯიშები განაახლა - იტყობინება "ჰიტის" მთავარი მწვრთნელი **პატ რაილი**. შეგახსენებთ, რომ შაკმა 22 დეკემბერს, "იუტა ჯაზთან" მატჩში მიიღო მარცხენა ბარძაყის ტრავმა, რომელიც ოთხი დღის შემდეგ, "ფილადელფიასთან" შეხვედრაში გაირთულა. მას შემდეგ, ვეტერანი მოედანზე აღარ გასულა. მან უკვე რვა მატჩი გამოტოვა.

ამერიკული პრესისთვის მიცემულ ინტერვიუში პატ რაილი იმედოვნებს, რომ ო'ნილი ოთხშაბათს შეძლებს თავისი გუნდისთვის დახმარების გაწევას. იმ დღეს, "მაიამი" მასსავით აუთსაიდერს, "ჩიკაგო ბულზს" უმასპინძლებს. *"დარწმუნებული ვარ, რომ სარეაბილიტაციო კურსმა წარმატებით ჩაიარა. შაკი მალე ჩვენს გვერდით იქნება"*, - განაცხადა რაილიმ.

წელს, შაკი თავის კარიერაში ყველაზე უარეს სეზონს ატარებს. მისი სტატისტიკური მაჩვენებლები 14.0 ქულასა და 7.8 მოხსნას უტოლდება, იმ დროს, როცა კარიერაში მის ანგარიშზე 25.6 ქულა და 11.5 მოხსნა მოდის.

ო'ნილის არყოფნაში, "მაიამიმ" ყველა მატჩი წააგო და მხოლოდ 8 მოგებით აღმოსავლეთ კონფერენციაში ბოლო ადგილს იკავებს.

# ჰოვარდი მამა გახდა

"ორლანდო მეჯიქის" ცენტრი **დუაიტ ჰოვარდი** მამა გახდა. ბავშვის დედა გახლავთ ფლორიდული კლუბის ყოფილი ჩირლიდერი **როის რიდი**.

სააგენტოების გავრცელებული ინფორმაცია თავად კალათბურთელაც დაადასტურა. *"არ ვუარყოფ, მართლაც შემეძინა შვილი. ბედნიერი ვარ, მაგრამ მირჩევნია ჩემს პირად ცხოვრებაზე ჟურნალისტებთან ნაკლები ვისაუბრო"*, - მოკრძალებით აღნიშნა 23 წლის კალათბურთელმა.

მსოფლიო თასი

# მილერი ვენგენში გაბატონდა

ამერიკელი **ბოდე მილერის** გამარჯვებით დასრულდა შვეიცარიის სამთო კურორტ ვენგენის ლაუბერჰორნზე გამართული დაშვების რბოლა. ეს ამ ტრასაზე მილერის ზედიზედ მეორე ტრიუმფია, რითაც მან ისეთი სახელოვანი მოთხილამურეების მიღწევა გაიმეორა, როგორებიც არიან ავსტრიელი **ფრანც კლამერი**, იტალიელი **კრისტიან გედინა** და ავსტრიელი **შტეფან ებერჰარტერი**.

მილერს 0.65 წამით ჩამორჩა მეორეზე გასული შვეიცარიელი **დიდიე კუშე**, მესამეზე კი კანადელი **მანუელ ოზბორნ-პარადიზი** გავიდა, ვისთვისაც ეს კარიერაში სულ მესამე საკვარცხლბეკო ფინიშია.

*"ვიცოდი, რომ კუშეს ძალიან უნდოდა ამ რბოლის მოგება. ისლა დამრჩენოდა, მაქსიმალურად მონდომებული და ყურადღებიანი ვყოფილიყავი. ასეც მოვიქეცი და ბედნიერი ვარ, რომ რბოლის მოგება შევძელი. საერთოდ, ყოველთვის ორმაგად სასიამოვნოა, როცა ძნელ პაექრობაში აღწევ გამარჯვებას"*, - ნარბოლევს განაცხადა მილერმა, ვისთვისაც ეს კარიერაში მსოფლიო თასზე მოგებული დაშვების მეექვსე რბოლაა. სულ კი მას მსოფლიოს თასზე 27 გამარჯვება დაუგროვდა, რითაც ყველა დროის ყველაზე წარმატებული ამერიკელი მოთხილამურის, **ფილ მარეს** მიღწევა გაიმეორა.

აღსანიშნავია, რომ ბოლო სამი სეზონია, ლაუბერჰორნზე ამერიკელები დაშვებაში პირველობას არავის უთმობენ. სანამ მილერი შარშან აქ თავის პირველ გამარჯვებას იზეიმებდა, წინა სეზონში იგივე მისმა თანაგუნდელმა **დეირონ რალვსმა** შეძლო, ვისთვისაც ეს პროფესიულ კარიერაში ჩატარებული ბოლო რბოლა გამოდგა.

მეორე ადგილის მიუხედავად, კუშე დაშვების კლასიფიკაციაში მაინც ლიდერი გახდა. ის ახლა მხოლოდ ქულას უგებს მილერს. რა თქმა უნდა, ამ დისციპლინაში ბროლის მცირე გლობუსი ორივესთვის სანუკვარი ლუკმაა, მაგრამ განსაკუთრებით მონდომებული ალბათ მაინც ამერიკელია, ვისაც ყველა სხვა გლობუსი მოპოვებული აქვს და მის კოლექციას ეს ერთიღა აკლია.

პარალელურად, სლოვენიის მარიბორმა ქალთა ორ რბოლას – გიგანტურ სლალომსა და სლალომს უმასპინძლა. გიგანტურ სლალომში თავისი პირველი გამარჯვება ავსტრიელმა **ელიზაბეთ გიორგლმა** მოიპოვა, ვინც ამით იტალიელ **დენიზე კარბონს** ზედიზედ მეხუთე გიგანტური სლალომის მოგების საშუალება არ მისცა. ისე, გიორგლი რომ არა, კარბონი რბოლას მაინც ვერ მოიგებდა, რადგან ორი ცდის ჯამში, მასზე უკეთესი შედეგი მისმა თანაგუნდელმ **მანუელა მიოლგმაც** აჩვენა.

ნარბოლევს ავსტრიელმა განაცხადა, რომ გარკვეული უპირატესობა მას იმ გარემოებამ მიანიჭა, რომ პირველი ცდის შესასრულებლად, სტარტზე ერთ-ერთი პირველი გავიდა.

მხოლოდ მეექვსე შედეგი ჰქონდა აბსოლუტური კლასიფიკაციის ავსტრიელ ლიდერსა და გიგანტურ სლალომში მსოფლიოს ჩემპიონ **ნიკოლ ჰოსპს**, თუმცა ამის მიუხედავად, მან კიდევ უფრო განიმტკიცა პოზიცია, რადგან მის მეტოქეებს კიდევ უფრო უარესი შედეგები ჰქონდათ. მეორე დღეს კი მან მარიბორშივე, სლალომი მოიგო.

ამ სეზონში სლალომში საუკეთესონი ავსტრიელები არიან. ხუთი რბოლიდან ჰოსპსა და **მარლის შილდს** ორორი მოგება აქვთ, თუმცა ჰოსპი გაცილებით სტაბილურია – ორი მეორე ადგილიც დაიკავა და ამ დისციპლინაში ლიდერობაც მის ხელშია. შილდი ამჯერად მესამე შედეგს დასჯერდა, მეორეზე კი სლოვაკი **ვერონიკა ზუზულოვა** გავიდა, ვინც ერთი კვირის წინაც, შპინდლერუვ მლინში, მეორე ადგილს დასჯერდა, ოღონდ მაშინ მას შილდმა აჯობა.

### მარიბორი (სლოვენია). ქალები. გიგანტური სლალომი

1. ელიზაბეთ გიორგლი (ავსტრია) 2:38.49 (1:20.07, 1:18.42); 2. მანუელა მიოლგი (იტალია) 2:38.98 (1:20.47, 1:18.51); 3. დენიზე კარბონი (იტალია) 2:40.21 (1:21.48, 1:18.73); 4. კატრინ ჰიოლცლი (გერმანია) 2:40.69 (1:21.33, 1:19.36); 5. ტანია პოუტიაინენი (ფინეთი) 2:40.74 (1:21.29, 1:19.45); 6. ნიკოლ ჰოსპი (ავსტრია) 2:40.78 (1:22.06, 1:18.72); 7. ინგრიდ ჟაკემო (საფრანგეთი) 2:40.84 (1:22.76, 1:18.08); 8. მარია პიეტილაე-ჰოლმნერი (შვედეთი) 2:41.19 (1:21.59, 1:19.60); 9. კატრინ ცეტელი (ავსტრია) 2:41.46 (1:21.11, 1:20.35); 10. ანია პერსონი (შვედეთი) 2:41.49 (1:22.31, 1:19.18)...




ბოდე მილერი

### მარიბორი (სლოვენია). ქალები. სლალომი

1. ნიკოლ ჰოსპი (ავსტრია) 1:40.55 (48.56, 51.99); 2. ვერონიკა ზუზულოვა (სლოვაკეთი) 1:41.01 (48.91, 52.10); 3. მარლის შილდი (ავსტრია) 1:41.06 (49.64, 51.42); 4. სარკა ზაჰრობსკა (ჩეხეთი) 1:41.65 (49.33, 52.32); 5. ტანია პოუტიაინენი (ფინეთი) 1:41.86 (49.30, 52.56); 6. სანდრა ჯინი (შვეიცარია) 1:42.09 (50.01, 52.08); 7. მარია რიში (გერმანია) 1:42.16 (50.16, 52.00); 8. ტერეზ ბორსენი (შვედეთი) 1:42.29 (49.85, 52.44); 9. კიარა კოსტაცა (იტალია) 1:42.32 (50.03, 52.29); 10. მიხაელა კირხგაზერი (ავსტრია) 1:42.49 (49.49, 53.00)...

### აბსოლუტური კლასიფიკაცია

1. ნიკოლ ჰოსპი (ავსტრია) 699; 2-3. მარია რიში (გერმანია) 574; 2-3. მარლის შილდი (ავსტრია) 574; 4. ლინდსი ვონი (აშშ) 538; 5. ტანია პოუტიაინენი (ფინეთი) 533; 6. ჯულია მანკუზო (აშშ) 523; 7. დენიზე კარბონი (იტალია) 519; 8. ანია პერსონი (შვედეთი) 486; 9. ელიზაბეთ გიორგლი (ავსტრია) 471; 10. სარკა ზაჰრობსკა (ჩეხეთი) 330...

### ვენგენი (შვეიცარია). კაცები. გიგანტური სლალომი

1. ბოდე მილერი (აშშ) 2:30.40; 2. დიდიე კუშე (შვეიცარია) 2:31.05; 3. მანუელ ოზბორნ-პარადიზი (კანადა) 2:31.73; 4. მიხაელ ვალხჰოფერი (ავსტრია) 2:31.77; 5. ანდრეას ბუდერი (ავსტრია) 2:32.16; 6. ანდრეი იერმანი (სლოვაკეთი) 2:32.26; 7. მარკო სალივანი (აშშ) 2:32.34; 8. კურტ შულცენბახერი (იტალია) U2:32.44; 9. ჰერმან მაიერი (ავსტრია) 2:32.57; 10. გეორგ შტრაიტბერგერი (ავსტრია) 2:32.75...

### აბსოლუტური კლასიფიკაცია

1. ბენიამინ რაიხი (ავსტრია) 690; 2. ბოდე მილერი (აშშ) 611; 3. დიდიე კუშე (შვეიცარია) 605; 4. დანიელ ალბრეხტი (შვეიცარია) 566; 5. ჟან-ბაპტისტ გრანჟი (საფრანგეთი) 456; 6. ტედ ლიგეტი (აშშ) 440; 7. მანფრედ მიოლგი (იტალია) 432; 8. კალე პალანდერი (ფინეთი) 360; 9. მიხაელ ვალხჰოფერი (ავსტრია) 348; 10. დიდიე დეფაგო (შვეიცარია) 311...

## TV სპორტი

### 15 იანვარი. შაბათი

#### НТВ-პლუსი (ფეხბურთი)

13:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
13:20 ინგლისის ჩემპიონატი. ჩელსი-ტოტენჰემი.
15:10 ევრო 2008. ტელეჟურნალი.
15:40 ესპანეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
16:40 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
16:55 ინგლისის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
17:55 გასული კვირის ჰიტ-ალბუმი.
19:40 საფეხბურთო კლუბი.
20:30 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
20:50 საფრანგეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
21:50 ჰოლანდიის ჩემპიონატი. ფეიენოორდი-ვინდჰოვენი.
23:40 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
23:55 ესპანეთის თასი. 1/8 ფინალი. საპასუხო მატჩი (LIVE).

#### SPORT 1 (უკრაინა)

09:00 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
09:55 ფეხბურთი. Barca TV.
10:03 სპორტკლუბი.
10:45 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
11:40 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ჩელსი-ტოტენჰემი.
13:28 ბოულა. ჩემპიონთა თამაშები.
14:00 ჩემი სპორტი.
14:26 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. 1/4 ფინალი. ოკლენდი. ზელანდია.
16:01 ფეხბურთი. პრემიერლიგის სამყარო.
16:30 ფეხბურთი. Barca TV.
16:37 ოლიმპიზმი. პეკინი 2008.
17:05 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. მილანი-ნაპოლი.
18:50 ფეხბურთი. Barca TV.
18:57 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ბოლტონი-ბლექბერნი.
20:47 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
21:45 სპორტინფორმი - საინფორმაციო პროგრამა.
21:55 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. პიტსბურგი-რეინჯერსი.
23:45 სპორტინფორმი - საინფორმაციო პროგრამა.
23:52 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ჩელსი-ტოტენჰემი.
01:45 სპორტინფორმი - საინფორმაციო პროგრამა.
01:50 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ატალანტა-რომა.
04:00 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. აილენდერსი-მონრეალი (LIVE).
03:34 ჩემი სპორტი.
06:35 ბოულა. ჩემპიონთა თამაშები.
07:07 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. მილანი-ნაპოლი.
08:51 სპორტული ისტორია.

#### EUROSPORT

08:00 ჩოგბურთი. ავსტრალიის ღია პირველობა. II დღე. მელბურნი (LIVE).
18:00 ფრენბურთი. ოლიმპიადის საკვალიფიკაციო ტურნირი. ჯგუფური ეტაპი. ქალები. გერმანია (LIVE).
20:00 ფრენბურთი. ოლიმპიადის საკვალიფიკაციო ტურნირი. ფინალი. მამაკაცები. თურქეთი.
20:30 ფრენბურთი. ოლიმპიადის საკვალიფიკაციო ტურნირი. ჯგუფური ეტაპი. ქალები. ხორვატია-რუმინეთი. გერმანია (LIVE).
21:00 ევროგოლი - ყოველკვირეული საფეხბურთო მიმოხილვა.
21:15 ფრენბურთი. ოლიმპიადის საკვალიფიკაციო ტურნირი. ჯგუფური ეტაპი. ქალები. ხორვატია-რუმინეთი. გერმანია (LIVE).
22:30 ევროგოლი - ყოველკვირეული საფეხბურთო მიმოხილვა.
22:45 ფრენბურთი. ოლიმპიადის საკვალიფიკაციო ტურნირი. ჯგუფური ეტაპი. ქალები. გერმანია.
23:00 ფრენბურთი. ოლიმპიადის საკვალიფიკაციო ტურნირი. ჯგუფური ეტაპი. ქალები. ჰოლანდია-პოლონეთი. გერმანია (LIVE).
01:00 სნუკერი. მასტერსი. III დღე. ლონდონი. ბრიტანეთი.
02:00 რალი-რეიდი. დაკარი 2002.
02:30 ფრენბურთი. ოლიმპიადის საკვალიფიკაციო ტურნირი. ჯგუფური ეტაპი. ქალები. გერმანია.
03:30 რალი-რეიდი. დაკარი 2002.
04:00 ჩოგბურთი. ავსტრალიის ღია პირველობა. III დღე. მელბურნი (LIVE).

#### EUROSPORT-2

10:30 ახალი ამბები.
13:00 ლაკროსი. ჩრდილოეთ ამერიკის რეგალარული ლიგა. კოლორადო-ედმონტონი.
14:00 ფეხბურთი. აფრიკის თასი. ლეგენდები. საუკეთესო ფინალები. 1994-2000.
15:00 ახალი ამბები.
17:00 ლაკროსი. ჩრდილოეთ ამერიკის რეგალარული ლიგა. კოლორადო-ედმონტონი.
18:00 კალათბურთი.
19:00 ფლორბოლი. ევროპის თასი. მამაკაცები. ფინალი. ფინეთი.
20:00 ფეხბურთი. აფრიკის თასი. ლეგენდები. საუკეთესო ფინალები. 1994-2000.
21:00 ახალი ამბები.
21:15 კალათბურთი. ULEB-ის თასი. ჯგუფური ეტაპი. დინამო (რუსეთი)-პანელინიოსი (საბერძნეთი) (LIVE).
23:00 ახალი ამბები.
23:30 კალათბურთი. ULEB-ის თასი. ჯგუფური ეტაპი. ფორტიტუდო (იტალია)-ცრვენა ზვეზდა (სერბეთი) (LIVE).
01:15 ფეხბურთი. აფრიკის თასი. ლეგენდები. ეგვიპტე-2006.
02:15 ახალი ამბები.
02:30 რესტლინგი.
03:30 ახალი ამბები.

## ცხელი ხაზი

### ფეხბურთი

| ამხანაგური მატჩები | |
|---|---|
| ომანი-ჩინეთი | გადაიდო |
| კარლსრუე-ვენი | 3:1 |
| ჰოფენჰაიმი-ბოხუმი | 1:2 |
| კალისი-ალემანია | 1:6 |
| დორტმუნდი-პადერბორნი | 3:1 |

| ინგლისი. I ლიგა | |
|---|---|
| ქრიუ-ლიდსი | 0:1 |

| იტალია. Serie C1 B | |
|---|---|
| ლუკეზე-ანკონა | 1:1 |

| საფრანგეთი. II დივიზიონი | |
|---|---|
| ბრესტი-ჰავრი | 0:2 |

| ჰოლანდია. II დივიზიონი | |
|---|---|
| ტელსტარი-მაასტრიხტი | 0:3 |
| ვეენდამი-როსენდალი | 0:0 |

| ბელგიის თასი. 1/8 ფინალი | |
|---|---|
| სტანდარდი-გენკი | 2:0 |
| სერკლი-ბრიუგე | 1:0 |

| პორტუგალია | |
|---|---|
| სეტუბალი-გიმარაეში | 0:1 |

### ჰოკეი

| რუსეთი | |
|---|---|
| ავანგარდი-ამური | 2:1 |

| შვედეთი | |
|---|---|
| აიკ-ტიმრე | 2:1 |
| ბრიუნასი-ლინჩოპინგი | 4:4 |
| იურგორდენი-ფრიოლუნდა | 0:3 |



## ჰოკეი

### NHL. რეგულარული ჩემპიონატი

**სტ. ლუისი-ვანკუვერი 3:4 (ბ)**

1:2, 1:1, 1:0, 0:0

**გოლები:** 1:0 ბეკმენი-1 (ბოიესი-13, ე. მაკდონალდი-19), 1:1 დ. სედინი-21 (პიატი-13, სალო-3), 1:2 ჰ. სედინი-8 (დ. სედინი-22, პიატი-14), 1:3 ნესლუნდი-15 (დ. სედინი-23, ჰ. სედინი-37), 2:3 ტკაჩუკი-12 (კარია-27, ბეკმენი-9), 3:3 ბოიესი-25 (კარია-28, ბეკსი-6).

**ბულიტები გაიტანეს:** ედლერი (ვანკუვერი).

**მინესოტა-ფინიქსი 4:1**

0:0, 2:0, 2:1

**გოლები:** 1:0 დემიტრა-9 (ბუშარი-29, სკოულა-5), 2:0 შეპარდი-3 (ფოი-4, ფედორუკი-3), 3:0 ბელანჟე-12 (გაბორიკი-22, ჰარდინგი-1), 4:0 გაბორიკი-25 (დემიტრა-16, ბერნსი-18), 4:1 დოუნი-12 (ჟოვანოვსკი-23, მიულერი-12).

**ოტავა-აილენდერსი 1:3**

0:1, 1:0, 0:2

**გოლები:** 0:1 მ-ა. ბერჟერონი-7 (გერინი-9, კომრი-9), 1:1 ალფრედსონი-29 (რედენი-21, კორვო-17), 1:2 მ-ა. ბერჟერონი-8, 1:3 კომრი-14.

**ანაჰაიმი-სან ხოსე 4:3 (ო)**

1:2, 1:1, 1:0, 1:0

**გოლები:** 0:1 რიონიკი-9 (მარლო-13, ჯ. ტორნტონი-39), 1:1 ბერტუცი-8 (ბოშემენი-14, ბოჩენსკი-7), 1:2 ტ. მიტჩელი-9 (გრირი-7, დ. მიურეი-6), 1:3 მ. მიხალეკი-15 (ჯ. ტორნტონი-40, რიონიკი-9), 2:3 პერი-24 (ბერტუცი-13, გეტცლაფი-32), 3:3 უეიტი-8 (პრონგერი-24), 4:3 ბოშემენი-2 (მარჩანტი-5, ს. ნიდერმაიერი-7).

**ედმონტონი-კალგარი 2:1**

1:0, 1:0, 0:1

**გოლები:** 1:0 ჰორკოფი-19 (სტოლი-15, ჰემსკი-24), 2:0 ჰემსკი-12 (ჰორკოფი-24, პენერი-15), 2:1 ლენგკოუ-17 (იგინლა-29, ა. ერიქსონი-12).

**ნეშვილი-ჩიკაგო 2:3 (ბ)**

0:0, 0:1, 2:1, 0:0

**გოლები:** 0:1 შარპი-22 (ჰავლატი-9, სოპელი-11), 1:1 ჟიდლიცკი-4 (დუმონი-18, ლეგვანდი-25), 1:2 ლანგი-16 (კეინი-31, ჰავლატი-10), 2:2 ლეგვანდი-10 (დუმონი-19, კრისტინენი-9).

**ბულიტები გაიტანეს:** ბონკი (ნეშვილი), კეინი (ჩიკაგო), შარპი (ჩიკაგო).

**ვაშინგტონი-ფილადელფია 4:6**

1:2, 2:2, 1:2

**გოლები:** 1:0 სიომინი-7 (ნიულანდერი-26, კ. კლარკი-4), 1:1 ნებლი-13 (აპშოლი-5, ჯ. კარტერი-11), 1:2 ნებლი-14 (კ. ტიმონენი-16, საიმონ განიე-6), 1:3 დაუდი-3 (კ. ტიმონენი-17, ჰარტნელი-11), 1:4 უმბერგერი-7 (რ. ჯონსი-16), 2:4 მ. გრირი-12 (ლენგი-3, გორდონი-6), 3:4 ოვეჩკინი-33 (ვიქ. კოზლოვი-21, მ. გრინი-14), 3:5 მ. რიჩარდსი-20 (დაუნი-3), 4:5 ნიულანდერი-11 (ბექსტრიომი-23, ოვეჩკინი-21), 4:6 კ. ტიმონენი-6.

**ფლორიდა-კოლორადო 3:4 (ბ)**

1:1, 1:1, 1:1, 0:0

**გოლები:** 0:1 ბრუნეტი-7 (გიტი-9, შჩასტნი-31), 1:1 ბოუმისტერი-7 (ჰორტონი-19, მ. იოჰანსონი-6), 1:2 სვატსი-20 (ფინგერი-9, ლაილსი-15), 2:2 ბუტი-12 (ჰორტონი-20, ვეისი-19), 2:3 ბრუნეტი-8 (ჰეიდუკი-16, ლეოპოლდი-3), 3:3 ო. იოკინენი-22 (სალეი-14, კრეპსი-6).

**ბულიტები გაიტანეს:** ჰეიდუკი (კოლორადო).

#### ტურის მოვლენები

- "ვაშინგტონის" ფორვარდმა **მიკაელ ნიულანდერმა** კარიერაში მე-200 შაიბა გაიტანა.

■ ■ ■

- "ფლორიდამ" საკუთარ მოედანზე ზედიზედ მეექვსე მატჩი წააგო.
- "კოლორადომ" გასვლაზე ზედიზედ მერვედ დაამარცხა "ფლორიდა". ამ უკანასკნელს კოლორადოელებზე 1995 წლის შემდეგ არ გაუმარჯვია.

■ ■ ■

- "ვანკუვერმა" შეწყვიტა სტუმრად სამმატჩიანი წაგებათა სერია.
- "სენტ ლუისმა" ზედიზედ მეშვიდე მატჩში გახსნა ანგარიში.

■ ■ ■

- "მინესოტამ" ზედიზედ მესამე მატჩი მოიგო, ხოლო "ფინიქსი" ზედიზედ მეშვიდედ დაამარცხა. ამ გუნდების ბოლო 10 თამაშში ურთიერთშეხვედრათა ანგარიში 9:1 გახლავთ "უაილდის" სასარგებლოდ.
- "ფინიქსი" ბოლო 8 მატჩში მხოლოდ მეორედ დამარცხდა.

■ ■ ■

- "აილენდერსმა" ბოლო ხუთი წლის განმავლობაში პირველად მოუგო "ოტავას".
- "ოტავამ" შეწყვიტა ოთხმატჩიანი მოგებათა სერია.

■ ■ ■

- ანაჰაიმელმა **დაგ უეიტმა** საფინალო სირენამდე 28 წამით ადრე გაიტანა გოლი და შეხვედრა ოვერტაიმში გადაიყვანა.
- ამ წაგებით "სან ხოსე შარქსმა" შეწყვიტა სტუმრად 10-მატჩიანი მოგებათა სერია, რაც NHL-ის ისტორიაში მეორე შედეგი იყო. ამ მხრივ რეკორდი "დეტროიტ რედ უინგზს" ეკუთვნის, რომელმაც ორი სეზონის წინ, სტუმრად ზედიზედ 12 მატჩი მოიგო.
- "ანაჰაიმმა" შინ ზედიზედ მეექვსედ მოიგო.
- "იხვებმა" ბოლო ექვს მატჩში მეხუთედ მოუგეს "სან ხოსეს".
- ამ სეზონში "სან ხოსეს" კარს ზედიზედ 43 მატჩი შეუცვლელად იცავდა რუსი **ევგენი ნაბოკოვი**. "ზვიგენების" მწვრთნელებმა პირველად მისცეს ამ გოლკიპერს დასვენების საშუალება და კარში ჩააყენეს 21 წლის გერმანელი **ტომას გრაისი**, რომელიც გუნდმა 94-ე ნომრად აირჩია 2004 წლის დრაფტზე.

■ ■ ■

- "ედმონტონ ოილერზმა" პირველად ამ სეზონში ზედიზედ ოთხი მატჩი მოიგო.
- "კალგარიმ" ხუთმატჩიანი მოგებათა სერიის შემდეგ, ზედიზედ მესამედ წააგო.

■ ■ ■

- "ჩიკაგო ბლეკჰოქსმა" შეწყვიტა რვამატჩიანი წაგებათა სერია.
- ნეშვილელმა **ბარი ტროტცმა** "პრედატორზის" რიგებში მე-700 მატჩი ჩაატარა.

ავსტრალიის ღია პირველობა

# მარეი შინ გაუშვეს



მელბურნში სტარტი აიღო ახალი საჩოგბურთო სეზონის დიდი სლემის სერიის პირველმა ტურნირმა – ავსტრალიის ღია პირველობამ, რომლის პირველ დღესაც რამდენიმე მოულოდნელი შედეგი დაფიქსირდა. ტურნირს გამოეთიშნენ მამაკაცების ბადეში მეცხრე ნომრად განთესილი ბრიტანელი **ენდრიუ მარეი** და საფრანგეთის ღიას ყოფილი ჩემპიონი, ესპანელი **კარლოს მოია**. ქალთა ბადე კი პირველ სერიოზულ დანაკლისს გადაურჩა – მარცხს რის ვაი-ვაგლახით დაუძვრა სერბი **ელენა იანკოვიჩი**.

პირველი წრე იოლად აგაიარეს ბელგიელმა **ჟუსტინ ანენმა** და ტურნირის შარშანდელმა ჩემპიონმა, ამერიკელმა **სერენა უილიამსმა**. სამაგიეროდ, საკმაოდ გაუჭირდათ ესპანელ **რაფაელ ნადალს**, ამერიკელ **ლინდსი დავენპორტსა** და იმავე იანკოვიჩს. სერენამ ყოველივეს უნივერსალური ახსნა მოუძებნა – პირველ წრეში ყველა ზედმეტად ნერვიულობს და შესაბამისად, მოულოდნელი შედეგებიც ბევრიაო.

შარშან, წინა სეზონში ტრავმული პრობლემების გამო, სერენამ მელბურნში განუთესავად ითამაშა და სანამ ტურნირის თასს შემართავდა, გზად ექვსი განთესილი მეტოქე დაამარცხა. ამჯერად ის მეშვიდე ნომრადაა განთესილი და შარშანდელივით, შესანიშნავ ფორმაში იმყოფება. რა თქმა უნდა, ის ერთ-ერთი გამოკვეთილი ფავორიტია.

შარშანდელისგან განსხვავებით, მელბურნ პარკის კორტების საფარი ლურჯია, რაც ზოგიერთ მეჩოგნეს გარკვეულ პრობლემებს უქმნის. გარდა ამისა, ადრეული თამაშების დროს, ზღვის მხრიდან ბრიზი უბერავდა, მზე კი ჩოგბურთელებს მოწოდების და სმეშის შესრულებისას სახეში ანათებდა. მაგრამ ეს პრობლემები ყველასათვის საერთო იყო.

მელბურნ პარკის კორტებზე ჟუსტინის დაბრუნება წარმატებული გამოდგა. შეგახსენებთ, რომ ბელგიელმა ჩოგბურთელმა შარშან ტურნირზე არ ითამაშა, წინა სეზონში კი ფინალს მიაღწია, მაგრამ მუცლის ტკივილმა ფრანგ **ამელი მორესმოსთან** თამაშში ხელი შეუშალა და ჩემპიონობას ვერ შესწვდა. ჟუსტინს არ გასჭირვებია პირველ წრეში იაპონელი **აიკო ნაკამურას** დამარცხება.

*"თამაშში ქარი ცოტა ხელს გვიშლიდა. თანაც, აიკოს კარგი მოწოდება აქვს. ასე იყო თუ ისე, საწყისი ეტაპი გავლილია"*, - განაცხადა ჟუსტინმა, ვისთვისაც ეს ვტას ტურზე ზედიზედ მოგებული 29-ე თამაშია. კიდევ ექვსი მოგება და ის **ვენუს უილიამსის** რეკორდს გაიმეორებს.

მართალია, ტურნირზე საკვალიფიკაციო ეტაპიდან მოხვედრილი სერბი სერბი **ვიკტორ ტროიცკი** ნადალმა სამ სეტში დაამარცხა, მაგრამ ამისათვის გვარიანი გარჯა დასჭირდა. განსაკუთრებით მას პირველ სეტში გაუჭირდა. სერბს ერთხელ სეტ პოინტიც კი ჰქონდა, მაგრამ ესპანელმა მისი მოგერიება შეძლო, შემდეგ კი ტაიბრეიკზე მოიგო სეტი.

მეორე სეტში ნადალი კარგა ხანს მდევრის როლში იყო. თავიდან ტროიცკიმ ბრეიკის აღება შეძლო, მაგრამ მეშვიდე გეიმიდან მოყოლებული, ნადალმა აიწყვიტა, ექვსიდან ხუთი გეიმი მოიგო და სეტიც თავის სასარგებლოდ დაასრულა. მესამე სეტში კი სერბს წინააღმდეგობისთვის ძალა აღარ შემორჩა...

იანკოვიჩი კი, პირველი ბარიერი რომ გადალახა, იღბალს უნდა უმადლოდეს. ავსტრიელ **ტამირა პაშეკთან** შეხვედრაში, სერბმა სამი მატჩ პოინტი მოიგერია, მარათონული მესამე სეტი მოიგო და შეხვედრას გამარჯვების წერტილი მისი დაწყებიდან სამი საათისა და ათი წუთის შემდეგ დაუსვა. შეხვედრა კიდევ 24 წუთი რომ გაგრძელებულიყო, ავსტრალიის ღიას ისტორიაში ყველაზე ხანგრძლივი შეხვედრა გახდებოდა.

მარტომ მესამე სეტში, მეტოქეებმა სულ 15 ბრეიკი აიღეს. 17 წლის პაშეკმა ხუთჯერ მოაწოდა მატჩზე, მაგრამ მიზანს ერთხელაც ვერ მიაღწია. საბოლოოდ კი სერბმა გამოუცდელი მეტოქის შეცდომით მოიპოვა გამარჯვების მომტანი ქულა.

*"ღმერთს მადლობას ვწირავ იმისათვის, რომ ამ გასაჭირიდან თავის დაღწევაში დამეხმარა. პირველივე წრეში შინ გამგზავრება არ მსურდა, რის გამოც, ყველანაირად მონდომებული ვიყავი. რაც მთავარია, დანებება არ მჩვევია"*, - განაცხადა იანკოვიჩმა, ვინც 66 უნებლიე შეცდომით გაირთულა საქმე.

მესამე სეტში პაშეკი კარგა ხანს ბრეიკით წინ იყო (4:1 და 5:3) და თითქოს, გამარჯვებაც უნდა მოეპოვებინა, მაგრამ მეათე გეიმში ჯერ ერთი მატჩ პოინტი ვერ გამოიყენა, ორი გეიმის შემდეგ კი კიდევ ორი გაანიავა.

სერბმა ანგარიში მეათე გეიმში მოპოვებული ბრეიკით გაათანაბრა.

თითქოს, ამით იანკოვიჩმა ფსიქოლოგიური უპირატესობა მოიპოვა, მაგრამ პაშეკმა კიდევ სამჯერ შეძლო მისი მოწოდების აღება. თუმცა სამივე შემთხვევაში, ხელიდან გაუშვა მოგების შანსი. აღსანიშნავია, რომ მესამე სეტში სერბს მასაჟისტის დახმარება დასჭირდა.

რაც შეეხება მარეის, ის ფრანგ **ჟო-ვილფრედ ცონგასთან** დამარცხდა. პირველ ორ სეტში შოტლანდიელმა უამრავი შეცდომა დაუშვა და ამით მეტოქეს საქმე გაუადვილა. მესამე მან მშრალად მოიგო, მაგრამ ამაზე მეტი ველარაფერი მოახერხა. მეოთხე სეტის ტაიბრეიკზე ცონგამ უკეთესად ითამაშა და მეორე წრეშიც ის გავიდა.

სხვათა შორის, ცონგამ შარშან პირველ წრეში დატოვა ავსტრალიის ღია. ოღონდ, მაშინ მისი მეტოქე ამერიკელი **ენდი როდიკი** იყო, ვისაც მეორე წრეში გასასვლელად დიდი გარჯა დასჭირდა. ამჯერად კი მან სამ სეტში გაასაღა ჩეხი **ლუკაშ დლუჰი**.

დავენპორტს, ვისაც ავსტრალიის ღია 2000 წელს აქვს მოგებული, სამი სეტი დასჭირდა იტალიელი **სარა ერანის** დასამარცხებლად. თამაშის შემდეგ კი განაცხადა, კორტზე დაბრუნების შემდეგ, ეს ჩემი ყველაზე ცუდი გამოსვლა იყოო. ასეა თუ ისე, მეორე წრეში მას გაცილებით ძლიერი მეტოქე ეყოლება რუსი **მარია შარაპოვას** სახით, რომელმაც ორ სეტში მოუგო ხორვატ **ელენა კოსტანიჩ ტოშიჩს**.

მერაბ ლორთქიფანიძე

## კაცები. პირველი წრე

**რაფაელ ნადალი (ესპ, 2)**-ვიკტორ ტროიცკი (სერბ) 7:6(3), 7:5, 6:1; **შტეფან კუბეკი (ავსტ)**-კარლოს მოია (ესპ, 16) 7:6(5), 6:7(2), 7:5, 6:4; **ფლორენ სერა (საფრ)**-ფლორიან მაიერი (გერ) 6:3, 7:6(2), 7:6(5); **აგუსტინ კალერი (არგ)**-ლუის ორნა (პერუ) 6:4, 6:7(6), 6:3, 6:4; **ფელისიანო ლოპესი (ესპ)**-უეინ ოდესნიკი (აშშ) 7:6(6), 6:1, 6:4; **სტანისლას ვავრინკა (შვეი, 26)**-ჟულიან ბენეტოუ (საფრ) 6:3, 6:3, 6:3; **რიშარ გასკე (საფრ, 8)**-ნიკ ლინდალი (ავსტრალ) 6:0, 6:1, 3:6, 6:2; **ფილიპ კოლშრაიბერი (გერ, 29)**-როკო კარანუშიჩი (ხორვ) 6:4, 7:6(5), 6:1; **მიხაილ იუჟნი (რუს, 14)**-მატიე მონკური (საფრ) 6:0, 6:2, 7:6(3); **ალეხანდრო ფალა (კოლუ)**-კევინ ანდერსონი (ს.აფრ) 5:7, 7:5, 6:7(8), 6:2, 7:5; **ევგენი კოროლიოვი (რუს)**-მარსელ გრანოლერსი (ესპ) 7:5, 6:2, 6:0; **ნიკოლას მაიუ (საფრ)**-ხოსე აკასუსო (არგ) 7:6(2), 5:7, 6:2, 3:6, 7:5; **სემ ვარბურგი (აშშ)**-ხუან პაბლო ბრუეჟიცკი (არგ) 2:6, 6:2, 6:3, 2:6, 6:4; **ანდრეას სეპი (იტა)**-ჰარელ ლევი (ისრ) 6:4, 6:2, 6:1; **მიხაელ ბერერი (გერ)**-დონალდ იუნგი (აშშ) 6:7(5), 7:6(4), 6:3, 7:6(5); **ნიკოლაი დავიდენკო (რუს, 4)**-მიშელ ლოდრა (საფრ) 7:5, 7:5, 6:3; **გილერმო გარსია-ლორესი (ესპ)**-ხუან იგნასიო ჩელა (არგ, 18) 6:4, 6:2, 1:6, 6:2; **ჟო-ვილფრედ ცონგა (საფრ)**-ენდი მარეი (ბრიტ, 9) 7:5, 6:4, 0:6, 7:6 (5); **ენდი როდიკი (აშშ, 6)**-ლუკაშ დლუჰი (ჩეხ) 6:3, 6:4, 7:5; **მარკ გიშელი (საფრ)**-ლუ იენ-ჰსუნი (ტაივ) 6:3, 4:6, 6:7(6), 6:4, 6:2; **იგორ ანდრეევი (რუს, 31)**-ანდრეი პაველი (რუმ) 5:7, 6:2, 7:6(4), 6:3; **ტომი რობრედო (ესპ, 11)**-მიშა ზვერევი (გერ) 4:6, 2:6, 7:6(2), 6:4, 7:5; **რაინერ შუტლერი (გერ)**-არნო კლემანი (საფრ) 6:4, 6:2, 6:7(3), 6:4; **ჟილ სიმონი (საფრ, 28)**-ბობი რეინოლდსი (აშშ) 4:6, 6:4, 6:2, 6:7(3), 6:4; **ივო კარლოვიჩი (ხორვ, 20)**-ჯეიმი ბეიკერი (ბრიტ) 6:4, 6:4, 6:7(1), 6:4; **კრისტოფ ფლიგენი (ბელგ)**-ოლივიე პატიენსი (საფრ) 6:0, 6:1, 7:6(3); **პაულ კაპდევილი (ჩილე)**-ბრაიდან კლაინი (ავსტრალ) 6:4, 7:5, 6:4; **პოლ-ანრი მატიე (საფრ, 23)**-ვიქტორ ჰანესკუ (რუმ) 6:1, 7:6(4), 6:2; **მარდი ფიში (აშშ)**-ბორის პაშანსკი (სერბ) 6:2, 6:3, 3:6, 6:3; **იარკო ნიემინენი (ფინ, 24)**-ფრანკ დანცევიჩი (კანადა) 6:3, 6:1, 5:7, 2:6, 6:1; **დუდი სელა (ისრ)**-მარტინ სლანერი (ავსტრ) 6:2, 6:4, 6:2; **ჯესი ლევინი (აშშ)**-მარტინ ვასალო არგელო (არგ) 6:1, 7:5, 6:1

## ქალები. პირველი წრე

**სიბილ ბამერი (ავსტ, 19)**-ტამარინ ტანასუგარნი (ტაილ) 6:7(6), 6:4, 6:2; **ალისია მოლიკი (ავსტრალ)**-კაია კანეპი (ესტ) 7:6(4), 7:5; **ვირჟინი რასანო (საფრ, 30)**-ეშლი ჰერკლროუდი (აშშ) 6:3, 7:5; **ნიკოლ ვაიდიშოვა (ჩეხ, 12)**-რალუკა ოლარუ (რუმ) 6:3, 6:0; **ტატიანა პერებიინისი (უკრ)**-მედისონ ბრენგლი (აშშ) 7:5, 6:2; **ფრანჩესკა სკიავონე (იტა, 25)**-ემილი ლუა (საფრ) 6:3, 7:6(5); **სანდრა კლიოზელი (გერ)**-ჯულია შრუფი (გერ) 6:1, 6:7(1), 6:4; **აი სუგიამა (იაპ)**-ვერა ზვონარევა (რუს, 23) 6:3, 1:1 (ზვონარევას ტრავმა); **კეისი დელ'აკვა (ავსტრალ)**-კარინ კნაპი (იტა) 4:6, 6:3, 8:6; **ფლავია პენეტა (იტა)**-დომინიკა ჩიბულკოვა (სლვკ) 6:4, 5:7, 6:4; **ანაბელ მედინა გარიგესი (ესპ)**-პეტრა ჩეტკოვსკა (ჩეხ) 7:6(1), 6:0; **მარია შარაპოვა (რუს, 5)**-ელენა კოსტანიჩ ტოშიჩი (ხორვ) 6:4, 6:3; **ელენა ვესნინა (რუს)**-იულია ვაკულენკო (უკრ, 32) 6:4, 1:6, 6:4; **იაროსლავა შვედოვა (რუს)**-ტატიანა მალეკი (გერ) 6:2, 6:2; **ამელი მორესმო (საფრ, 18)**-ტატიანა პუჩეკი (ბელა) 6:7(6), 6:0, 6:0; **პატი შნიდერი (შვეი, 15)**-ლილია ოსტერლო (აშშ) 6:3, 6:3; **ჰსიეჰ სუ-ვეი (ტაივ)**-კლარა ზაკოპალოვა (ჩეხ) 2:6, 6:4, 8:6; **ლინდსი დავენპორტი (აშშ)**-სარა ერანი (იტა) 6:2, 3:6, 7:5; **ელენა დემენტიევა (რუს, 11)**-ციპორა ობზილერი (ისრ) 6:2, 6:2; **ოლგა პუჩკოვა (რუს)**-მონიკ ადამაჩაკი (ავსტრალ) 6:4, 6:0; **შაჰარ პეერი (ისრ, 17)**-რენატა ვორაჩოვა (ჩეხ) 6:2, 2:6, 6:0; **ტატიანა გოლოვინი (საფრ, 13)**-სტეფანი კოენ-ალორო (საფრ) 6:1, 4:6, 6:3; **ვიქტორია აზარენკა (ბელა, 26)**-აკგულ ამანმურადოვა (უზბ) 6:2, 7:5; **ელენა იანკოვიჩი (სერბ, 3)**-ტამირა პაშეკი (ჩეხ) 2:6, 6:2, 12:10; **ჟუსტინ ანენი (ბელგ, 1)**-აიკო ნაკამურა (იაპ) 6:2, 6:2; **სერენა უილიამსი (აშშ, 7)**-იარმილა გაიდოშოვა (ავსტრალ) 6:3, 6:3; **ედინა გალოვიცი (ისრ)**-სტეფანი დუბუა (საფრ) 7:6(7), 6:3; **მენ იანი (ჩინ)**-ეკატერინა ივანოვა (რუს) 4:6, 6:4, 6:2; **არავან რეზაი (საფრ)**-კატერინა ბონდარენკო (უკრ) 7:6(4), 6:2; **ჯესიკა მური (აშშ)**-ჯული დიტი (ავსტრალ) 6:3, 6:2; **ჯილ კრეიბასი (აშშ)**-იანგ-იან ჩანი (ჩინ) 6:4, 6:2

სპორტული გაზეთი

მთავარი რედაქტორი
თენგიზ გაჩეჩილაძე

დირექტორი
პაატა გელაშვილი

რედაქტორები
მამუკა ჩიხლაძე
გია თვალაბეიშვილი

ქართული სპორტი
ნიკოლოზ ნეფარიძე
პაატა თოთაძე
მერაბ მამულაშვილი
დავით ცაგაძე
ლევან ჯანეზაშვილი
გია ტუხაშვილი
დავით თავართქილაძე
ირაკლი თავაძე
ვაჟა სიმონიშვილი
ზვიად შათირიშვილი
კობა ხატისაშვილი
ბესიკ ჯანგავაძე

უცხოური სპორტი
შალვა ბიბილაშვილი
გოტფრიდ ლენცი
ილია ნიკოლაიშვილი
მერაბ ლორთქიფანიძე
დავით ჩუბინიძე
ზურაბ თალაკვაძე

რეგიონული კორესპონდენტები:
დავით კოხრეიძე, ვასილ ბალახაძე, მერაბ გრძელიძე, მამუკა ქანთარია, ირაკლი დარცმელიძე, ნიკო ვაყელიშვილი

ფოტო
ალექსანდრე კოტორაშვილი
ნუგზარ სუარიძე

ტექნიკური რედაქტორი
მიხეილ ჯაში

ტექნიკური ჯგუფი:
მანანა აკიმოვა, მზია ელიზბარაშვილი, ხათუნა სამხარაძე, დავით გეგეჭკორი, დავით შალუტაშვილი, კობა გელაშვილი

კორექტურა
ლელა ხომასურიძე
ლევან ბიბილაშვილი

გავრცელების სამსახური და ფინანსური ჯგუფი:
დავით მაისურაძე (დირექტორის მოადგილე), გივი ვეშაპიძე, ქეთევან დიდბერიძე

მარკეტინგის სამსახური
თამარ ჯიშკარიანი (ტ: 46 34 48)
ბაქარ გაჩეჩილაძე (ტ: 899 91 87 17)

პირველი ნომერი გამოვიდა 1934 წლის 13 აპრილს თბილისში, სახელით "საქართველოს ფიზკულტურელი". 1936-39 წლებში ერქვა "ფიზკულტურელი", "ლელომდე" დაიბეჭდა 362 ნომერი. 1949 წლის 10 ივლისს გაზეთი აღადგინა მიხეილ კაკაბაძემ.

2006 წელს გაერთიანდა გაზეთ "სპორტთან".

სპორტი

გამოდიოდა 2002-06 წლებში.

ლელოს მთავარი რედაქტორები:
მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 64-76)
ერემო მახათაძე (1952-53)
ირაკლი უგულავა (1953-64)
ანზორ ბასილაია (1976-83)
არჩილ გოგელია (1984-85)
თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან)

დამფუძნებლები: შპს გაზეთი ლელო, შპს სპორტმედია

პარტნიორი: საქართველოს ოლიმპიური ფონდი

ახმეტელის 10ა.
0159 თბილისი
(დიღომი, ახალი კონსტუდია, პირველი სართული);

ტელეფონი: 46 30 98
46 30 56. 46 32 62
899 55 48 97 (მთ. რედაქტორი)
53 39 11

ფაქსი +995. 32 46 30 97

e-mail: sporti@sporti.ge
ინდექსი 66435 INDEX

გამოდის ყოველდღე, გარდა კვირისა